ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 15 სექტემბერი 1999 №176 (949) | ფასი 50 თეთრი

## ზედმეტი არავინაა

გუშინ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი სეზონის პირველი ტური მოულოდნელად დაიწყო. ყველაზე სენსაციური უკრაინელთა და პორტუგალიელთა საშინაო მარცხი გამოდგა. სლოვენიურმა „მარიბორმა" კიევში გამარჯვებით ერთხელაც დაამტკიცა, რომ ჩემპიონთა ლიგაში შემთხვევითი არავინაა

A ჯგუფი

დინამო 0:1 მარიბორი

ლევერკუზენი 1:1 ლაციო

B ჯგუფი

აიკ 1:2 ბარსელონა

ფიორენტინა 0:0 არსენალი

C ჯგუფი

ბოავიშტა 0:3 რუსენბორგი

ფეიენოორდი 1:1 დორტმუნდი

D ჯგუფი

მარსელი 2:0 შტურმი

მანჩესტერი 0:0 კროაცია

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი



გუშინ მანჩესტერში: მანჩესტერი — კროაცია. ხორვატმა დანიელ სარიჩმა მასპინძელთა ნორვეგიელ მცველ ჰენინგ ბერგს თავური არ გაატანინა

## 2 ფიფა: დინამომ მრეტებს უნდა გადაუხადოს!

VS

საქართველოს ჩემპიონი ურჩობისთვის, შესაძლოა, 20 ათასი ფრანკით დაჯარიმდეს

## 5 აეკ-ი შევარდნაძის აპარტამენტებში

მდიდარ აეკ-ს ქუთაისელები მდიდრულადვე ხვდებიან, ბერძნული პრესის ცნობით „შევარდნაძის ვილაში" აცხოვრებენ

## 7 ბარსელონადან რომში

იტალიის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „რომა" ესპანელი ვარსკვლავის ლუის ენრიკეს შეძენას ცდილობს



## 13 ჩემი გუნდის წინა ხაზი ქართული უნდა იყოს



ოთხქართველიანი ლიუბლიანის „სლოვანის" მთავარი მწვრთნელი ტომო მაპორიჩი ზაზა ფაჩულიას გადაბირებასაც აპირებს

## აზოტს დიდი ანგარიშით რომ მოვუგოთ, კიევში მაყურებელი აღარ მოვა



„ბკ კიევის" მწვრთნელი ალექსანდრ კოვალენკო (მარცხნივ) კურტის მაკენტსს მოძღვრავს

კორაჩის თასი. შესარჩევი წრე. I მატჩი

### აზოტი — ბკ კიევი

15 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18 საათი

რუსთაველთა მეტოქე „ბკ კიევს" გამარჯვება თურმე არც სტუმრად აქჭვებს და არც შინ. კიევური მატჩისთვის დარბაზის გავსებაზეღა ვფიქრობთო, განაცხადეს კიეველებმა. გუშინ თავდაჯერებულმა უკრაინელებმა ორჯერ ივარჯიშეს სპორტის სასახლეში, სადაც დღეს, 18 საათზე მათ რუსთავის „აზოტი" დაუხვდება. თავის მხრივ, არც რუსთაველები აპირებენ რამის დათმობას, ოღონდ სათქმელს სტუმრებზე მოკრძალებულად ამბობენ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

ტელეფაქსი
*საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია*
ბატონ ვალერი ჩოლარიას
გენერალური მდივანი
ციურიხი, 1999 წლის 6 სექტემბერი
*მოთამაშე* გიორგი ქინქლაძე
(ს.კ. მრეტები, ს.კ. დინამო, ს.კ. მანჩესტერ სიტი)

ძვირფასო ბატონო!

მოხარული ვართ, გაცნობოთ, რომ ზემოაღნიშნული საქმე ფორმალური გადაწყვეტისთვის ფიფას მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტის ბიუროს გადაეცა მის 24.08.99 სხდომაზე.

შეისწავლა რა გულდასმით ყველა მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია, ბიურომ გაითვალისწინა მოვლენების შემდეგი ქრონოლოგიური წყობა ამ დოსიეში.

11.07.92 ს.კ. მრეტებმა და ს.კ. დინამომ გააფორმეს ტრანსფერის შეთანხმება ფეხბურთელ ქინქლაძის შესახებ პირობით, რომ სკ დინამო სკ მრეტებს გადაუხდიდა 1 მილიონ რუბლს და რომ თუ ფეხბურთელი საზღვარგარეთ იქნებოდა ტრანსფერირებული, სკ დინამო მიღებული ტრანსფერის თანხის 50 პროცენტს სკ მრეტებს გადაუხდიდა.

11.07.95 ს.კ. დინამომ ფეხბურთელის ტრანსფერისთვის სკ მანჩესტერ სიტისთან გააფორმა კონტრაქტი ს.კ. დინამომ ს.კ. მრეტებს არ გადაუხადა კუთვნილი თანხა და ამ უკანასკნელმა კუთვნილი თანხის მისაღებად დახმარება მოთხოვა სფფ-ს.

02.01.97 სფფ-ს საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტმა განიხილა საკითხი და დაადგინა, რომ ს.კ. დინამოს მოსარჩლის 875 ათასი ამერიკული დოლარი მართებდა, ანუ ს.კ. მანჩესტერ სიტის მიერ გადახდილი ტრანსფერის თანხის ნახევარი. ს.კ. დინამოს დაევალა ამ თანხის გადახდა სამ ნაწილად.

14.04.97 სკ მრეტებმა ფიფას მიმართა მოთხოვნით, რომ ფიფა ჩარეულიყო, რათა სფფ-ს განეხორციელებინა თავისი 02.01.97 დადგენილება. სფფ-მ დააწესა გადახდის რამდენიმე უკანასკნელი ვადა, რომლებიც იგნორირებულ იქნა ს.კ. დინამოს მიერ.

16.04.98 ფიფამ მოთხოვა სფფ-ს, საკითხი მოეგვარებინა 15.05.98-მდე გადახდის ბოლო ვადის გადაწევის მიუხედავად, სფფ-მ მაინც არ გადაწყვიტა საქმე.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ბიურომ მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე თავდაპირველად შიდა საქმე იყო, ფიფა უნდა ჩარეულიყო. ვინაიდან ცხადი შეიქმნა, რომ ერთ-ერთი მხარე არ იქცეოდა მართებულად და რომ (ეროვნულმა) ასოციაციამ ვერ შეძლო თვითონ მოეგვარებინა საქმე.

ამასობაში სკ დინამომ საქმე თბილისის სამოქალაქო სასამართლოში გადაიტანა. რომელმაც 13.07.98-ს მიიღო გადაწყვეტილება.

გათვალისწინებულ იქნა, რომ თბილისის სამოქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა, ბათილად ეცნო ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი 11.07.92 ტრანსფერის შეთანხმება. შესაბამისად, გაუქმებულად გამოეცხადებინა სფფ-ს საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის 02.01.97 დადგენილება.

მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტის ბიურომ ცნო სამოქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება და არგუმენტაცია. კერძოდ, ბიურომ გაითვალისწინა, რომ თბილისის სამოქალაქო სასამართლომ ბათილად მიიჩნია 11.07.92 ტრანსფერის კონტრაქტი.

თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, ბიურომ ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ ფეხბურთელი ქინქლაძე ნამდვილად იქნა ტრანსფერირებული ს.კ. მრეტებიდან ს.კ. დინამოში და რომ ს.კ. მრეტებს არ მიუღია ფეხბურთელის მომზადებისა და დაოსტატების კომპენსაცია. ამრიგად, სამართლებრივად, ბიურო იძულებული გახდა დაესკვნა, რომ ერთ-ერთ მხარეს შესრულებული ჰქონდა თავისი ვალდებულება ფეხბურთელის ტრანსფერით. ხოლო მეორე მხარემ არ შეასრულა მისი ვალდებულება (კომპენსაცია არ იქნა გადახდილი). ბიურომ დაასკვნა, რომ ეს იყო ფედერალური სამართლის ქონებრივი ტრანსფერი ფეხბურთელის მიმართ ორ კლუბს შორის. მათ შორის რაიმე შემაკავშირებელი კონტრაქტის გარეშე (ვინაიდან კონტრაქტი ბათილად იქნა (ცნობილი სამოქალაქო სასამართლოს მიერ) და რომ [illegible] იდან ერთ-ერთ მხარეს [illegible] შესრულებული ჰქონდა მისი ვალდებულება, რომ [illegible] მართებულად და [illegible] დიანად იყო დაზღვეული.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ბიურომ მიიჩნია, რომ ფეხბურთელის მომზადების და დაოსტატების თანხა გადასახდელია. ამიტომ, ორივე კლუბს მიეთითებათ, შეათანხმონ ფეხბურთელ ქინქლაძის ტრანსფერის თანხა. თუ კლუბები ვერ შეთანხმდებიან მომზადების და დაოსტატების კომპენსაციის ოდენობაზე, ამ გადაწყვეტილების შეტყობინების თარიღიდან 30 დღის განმავლობაში, მაშინ საქმე გადაეცემა ფიფას საგანგებო კომიტეტს ფეხბურთელთა სტატუსის და ტრანსფერის მარეგულირებელი რეგლამენტის §17-ის შესაბამისად.

გარდა ამისა, ბიურომ მიიჩნია, რომ ს.კ. დინამომ უხეშად დაარღვია ფიფას სტატუსები, კერძოდ, ამ საქმის სასამართლოსთვის გადაცემით და, შესაბამისად, ფიფას სტატუსების 69-ე მუხლის §1-ის უგულვებელყოფით. შედეგად, ბიურომ გადაწყვიტა, რომ მისი საქციელის გამო, ს.კ. დინამო შეიძლება დაჯარიმებულ იქნას 20 ათასი შვეიცარიული ფრანკით, ფიფას სტატუსების დარღვევისთვის. ბიურო ასევე ხაზს უსვამს, რომ სფფ-მ ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი მიუხედავად ფაქტისა, რომ იგი სულ ცოტა, ოთხი წლის განმავლობაში იჭიმებოდა მის ფედერაციაში.

მადლობას გიხდით ზემოაღნიშნულის გათვალისწინებისთვის და მასთან დაკავშირებული შესაბამისი მხარეების სათანადოდ ინფორმირებისთვის.

პატივისცემით: ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია

**მიშელ ცენ რუფინენ**
*გენერალური მდივანი*

# მრეტები — დინამო! დავა გრძელდება

ალარ დამთავრდა, კაცო?! — იკითხავს გულშეღონებული გულშემატკივარი და მართალიც იქნება.

ისევ გიორგი ქინქლაძე და მის გამო მოდავე „მრეტები" და „დინამო". ისევ ფიფა და მისი გენერალური მდივანი ცენ-რუფინენი. ისევ ფულია გასაყოფი თუ გადასახდელი.

დავა ოთხი წლის წინათ დაიწყო. პირველად მაშინ აიმაღლა ხმა „მრეტების" თავკაცმა ვაჟა ჩხაიძემ. ოფიციალურდა მაშინ მოითხოვა მანჩესტერ „სიტიში" გაყიდული გიორგი ქინქლაძის საფასურის 50 პროცენტი.

ზუსტად ვერც ვიხსენებთ, რამდენი ფაქსი მოვიდა სფფ-ში ფიფადან, რამდენი წერილი გამოაგზავნა ვაჟა ჩხაიძემ ქართულ პრესაში.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს არასდროს დასრულდება. ფიფაც თითქოს ფეხს ითრევს, დავის გადაწყვეტას არ ჩქაროს.

საბოლოო დასკვნების გაკეთება ნაადრევია. არავინ იცის, მოვლენები როგორ წარიმართება. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მხოლოდ ფიფამ იცის.

ერთი რამ ნათელია, ხარჯის გაწევა სფფ-საც მოუწევს და „დინამოსაც", „მრეტები" ისედაც ზარალშია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამდენი სარჩელის სხვადასხვა უწყებაში შეტანას ცოტა ფული არ დასჭირდებოდა.

უხერხულად გრძნობს თავს გიორგი ქინქლაძეც. ძალაუნებურად იგია დავის საბაბი.

ფიფამ კი სფფ-ს მორიგი ფაქსი გამოუგზავნა, რომელსაც ხელს ქართული პრესისთვისთ კარგად ნაცნობი ცენ-რუფინენი აწერს...

# ტოტო ლოტო
## პენტაგონიდან ქველმოქმედებამდე

გუშინ „ტოტო ლოტოს" ცენტრალურ ოფისში საგანგებო მიღება გაიმართა ჟურნალისტებისთვის, მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ ამ ლატარიის ფუძემდებლები საქართველოში.

ქართველ დირექტორატსა და ლატარიის მესვეურებს მხარს უმშვენებდა მისტერ ბრენტ პენინგტონი — ტოტო ლატარიების კონსულტანტი საქართველოში.

უნდა ითქვას, რომ „ტოტო ლოტომ" მშვენივრად უმასპინძლა ქართულ მასმედიას — ოფისში მცირე ექსკურსიის შემდეგ, ორგანიზატორებმა წარმოგვიდგინეს თავიანთი პროექტის ძირითადი ასპექტები. აპარატურა, რომელზეც ლატარიის ბილეთებისა თუ სხვა აქსესუარების დამზადება ხდება, შეკითხვების დასმის საშუალებაც მოგვეცა და ბოლოს ყველაფერი მაჟორზე — „ა ლა ფურშეტით" დამთავრდა.

„ტოტო ლოტოს" მორიგი პირმშოს „ტოტო ფეხბურთის" მენეჯერი ზაზა ნოზაძე ლაკონიური და ზუსტი იყო — საერთოდ, ნებისმიერი ბიზნესის წარმატებისთვის სამი ძირითადი კომპონენტია მთავარი: სარეალიზაციო პროდუქტი, რეალიზაციის ქსელი, სარეკლამო კამპანია. ჩვენს მიერ ქართული სათამაშო ბაზრისთვის შეთავაზებული პროდუქტის მაღალ ხარისხს მოწინავე ევროპული ქვეყნების და ამერიკის გამოცდილება ადასტურებს. ვიზრუნეთ რეალიზაციის ქსელის მაქსიმალურ დახვეწაზეც. მომხმარებელი ყოველგვარი გაუგებრობისგან დაზღვეულია. მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთი ეშვება სარეგისტრაციო აპარატში, მოთამაშესა და „ტოტო ლოტოს" შორის მომენტალურად ფორმდება იურიდიული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ლატარიის ორგანიზატორები ანგარიშვალდებულნი ხდებიან მოთამაშის წინაშე.

სარეალიზაციო ქსელს თავისი შემადგენელი კომპონენტები გააჩნია, დაწყებული გადასაადგილებელი მაგიდებიდან, დამთავრებული სპეციალური ჯიხურებითა და ქოლგებით. ისინი მზისგან და უამინდობისგან დაიცავენ მოთამაშეებს.

მესვეურთა რწმუნებით, „ტოტო ლოტო" ერთადერთი ტიპის ლატარიაა, სადაც მოთამაშეს თავისი ნების გამოხატვის შანსი აქვს. იგი ირჩევს იმ ნომერს ან წყვილს („ტოტო ფეხბურთის" შემთხვევაში), რომელიც თავად უნდა, ამდენად, თავზე ვერავინ ვერაფერს მოახვევს.

ლატარიის იმიჯი უნდა განამტკიცოს იმ აპარატურამაც, რომელიც „ტოტო ლოტოს" გათამაშებას ემსახურება. ესაა უახლესი კომპიუტერული სისტემა, ნათამაშევი ბილეთების დამახარისხებელი „ონ ლაინ"-დანადგარი, მშრალი ოფსეტური საბეჭდი და „ვაქსის" ქსელში ჩართული სპეციალური აპარატურა (აღსანიშნავია,რომ მსგავსი აპარატებით სულ ცოტა ხნის წინ პენტაგონიც კი სარგებლობდა).



ახლა სარეკლამო კამპანიაზეც. „ტოტო ლოტო" ჰპირდება მასმედიას, რომ შემდეგშიც არ მოაკლებს ყურადღებას. მის ნებისმიერ გათამაშებაზე თვალყურის დევნება კი ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ამისთვის საკმარისია ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ „ტოტო სტუდიაში" გათამაშების მომენტში მისვლა. ლატარიის მესვეურები უახლოეს მომავალში „ტოტო სტუდიის" ბაზაზე აპირებენ დააარსონ სპორტული ტელეკომპანია „სპორტ პლუს". ესეც ახალი სიტყვა იქნება საქართველოში.

ჯერჯერობით კი სხვა ტელეკომპანიებში გაშვებულ სარეკლამო კლიპებს დასჯერდებიან. უკვე მზადაა ორი სამუშაო სარეკლამო კლიპი ტელევიზიისთვის (25 და 30 წამიანი) და ერთიც რადიოსთვის.

ახლა კონკრეტულად „ტოტო ფეხბურთზეც". იგი ნეტარხსენებული საბჭოური ეპოქის პოპულარული თამაშის „სპორტპროგნოზის" გარკვეული ვარიანტია. ოღონდ მოთამაშეს, „სპორტპროგნოზისგან" განსხვავებით, ცამეტის მაგიერ თერთმეტი ან თორმეტი ვარიანტის გამოცნობა უწევს, რათა მაქსიმალური მოგება მიიღოს, თუმც 9 ან 10 შედეგის გამოცნობაც იძლევა მოგების შესაძლებლობას.

თერთმეტვარიანტიანი „ტოტო ფეხბურთი" მოიცავს საქართველოს, რუსეთის, თურქეთის (ანუ ჩვენი და მეზობელი) ქვეყნების ლიგებს, თორმეტვარიანტიანი კი წამყვანი ევროპული ქვეყნებისას (ინგლისი, გერმანია, იტალია, ესპანეთი). პირველ გათამაშებას უცხოელმა ინვესტორებმა შესაბამისად 2000 და 10000 ლარი ჯეკპოტიც მიუმატეს. მომავალში კი ჯეკპოტიც და საპრიზო ფონდიც ბილეთების (ვარიანტების) რეალიზაციიდან მიღებული თანხის 50 პროცენტად განისაზღვრება.

ამგვარი ლატარიები (თუ ხალხმა მიიღო) სპორტის და კულტურის უდიდესი მეცენატი ხდება-ხოლმე. მაგალითად, იტალიური „ტოტო კალჩიო" იტალიურ სპორტს, კერძოდ ოლიმპიურ კომიტეტს, 600 მილიონ დოლარს აძლევს. მოგების დაახლოებით 98 პროცენტს აძლევს გერმანული „ტოტო ლატარია" იქაურ სპორტს და კულტურას. ასე რომ, მაგალითები საკმაოა. „ტოტო ფეხბურთს" თან დაჰყვება თავისი საინფორმაციო მხარდაჭერაც — გაზეთი „ტოტო ლოტო". მისი ტირაჟი სოლიდურია, ფასი მისაღები (30 თეთრი), შიგ არსებული ინფორმაცია კი თითქმის ამომწურავი. გაზეთის მთავარი რედაქტორი ქართული სპორტული მასმედიის წრეებში „ქართული საფეხბურთო სტატისტიკის მამად" მონათლული რევაზ შენგელიაა.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი ქველმოქმედების შესახებ.

უკვე საკმაოდ გახმაურებული ფაქტია — „ტოტო ლოტო" საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ სპონსორად იქცა. ვნახოთ, რამდენი მიბაძავს მას, ანაც შეძლებს თუ არა ეს ერთი მერცხალი, აალორძინოს ქართული ფეხბურთის დონე ანუ მოიყვანოს გაზაფხული საფეხბურთო საქართველოში.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ტოტალიზატორი

შეცდომაა? როგორ გეკადრებათ. ტოტალიზატორი ყველას კარგად მოგეხსენებათ. აი, ის მარცვალი კი, თქვენ რომ ზედმეტად მოგეჩვენათ, ზაზა ჯანაშიას ხათრით მოვახვედრე ამ სიტყვაში. არადა, როგორ მოუხდა? ტოტალ — ლათინურად ძალას ნიშნავს, ჰოდა, ზაზა ჯანაშიას ძალის შესახებ თქვენ თუ არ მოგეხსენებათ, „ალანიას" ქართველ მცველს მამუკა წერეთელს ჰკითხეთ და ის განგიმარტავთ... ტორი კიდევ ძველქართულად სხეულის ზედა კიდურს ნიშნავს. თუმცა ამჯერად ქვედა კიდურზე, კერძოდ კი ზაზა ჯანაშიას მარჯვენა ფეხზე უნდა გითხრათ. სწორედ ამ ფეხის ბარძაყის უკანა მხარე დაიზიანა ჯანაშიამ ვლადიკავკაზში თამაშისას და მოსკოვში ტრავმირებული გაბრუნდა. გუშინწინ კი თქვეს, ზაზას სერიოზული არაფერი სჭირსო, მაგრამ თუ „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის, იური სიომინის გუშინდელ განცხადებას დავეყრდნობით, ჯანაშია სრულ ჯანზე ვერაა და მხოლოდ 50-პროცენტიანი შანსი არსებობს იმისა, რომ ჩვენებური რკინიგზელებს კოპენჰაგენში გასამართ უეფას თასის მატჩში დაეხმაროს.

ალბათ მიმიხვდით, რატომ დამჭირდა ტოტალიზატორის ხსენება. მასთან მოსპარინგე აზარტულ ადამიანთა რიცხვი ხომ საქართველოში დღითი დღე იზრდება და მეტწილად ჯიბეს იცარიელებს... ჰოდა, ვისაც არ გაქვთ გადასაყრელი ფული და მაინც აპირებთ, დღესაც მიაკითხოთ ბუქმექერულ კანტორას, თქვენს გასაგონად ვამბობ: „ლიუნგბიუ" — „ლოკომოტივის" წყვილის ფსონების გადახედვისას გახსოვდეთ — არავინ უწყის, ითამაშებს თუ არა მოსკოველთა რიგებში ზაზა ჯანაშია. მე ჩემი გითხარით...

**ხვიჩა სანიკიძე**



[illegible] ფოტო

# ახალი და ძველი

*„ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში ხობის „კოლხეთის" არც თუ ურიგო სტარტმა ბევრი გააკვირვა, რადგან დებიუტანტი გუნდი ყველას გავარდნისათვის წინასწარ განწირულად მიაჩნდა. ფოთში ადგილობრივ „კოლხეთთან" გამარჯვებამ და შინ „მერანთან" ფრემ ხობელები „ბ" ჯგუფის ლიდერებად აქციეს და კატასტროფულად არც რუსთავში წაგებას გაუფუჭებია საქმე.*

*...და მაშინ, როცა ყველა ფიქრობდა, ხობელთა ხელმძღვანელები საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილნი არიანო, მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა — ხობის „კოლხეთს" ახალი მთავარი მწვრთნელი დაუნიშნეს. ძველი კი — მეორე მწვრთნელად ჩამოაქვეითეს.*

*ანზორ მიქავა (ხობის გამგებელი და კლუბის პრეზიდენტი): „არ ვეთანხმები მათ, ვინც ეროვნულ ჩემპიონატში გუნდის სტარტს წარმატებულად მიიჩნევს. ფოთში მოგების შემდეგ გუნდს მეტი უნდა გაეკეთებინა. სწორედ ამიტომ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება — ჯონი აბაიშვილი მთავარ მწვრთნელად დავნიშნეთ, ფრიდონ გოცირიძე კი მას დაეხმარება."*

*კლუბის მესვეურთა მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ არ იყო უინტერესო ფრიდონ გოცირიძის აზრის მოსმენა: „ეს გადაწყვეტილება ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო. მე ყოველთვის მხარში ვედექი ჩვენს ბიჭებს. რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი. დღეს „კოლხეთი" რომ პირველ ლიგაშია, ამაშიც დიდი წვლილი მიმიძღვის. კლუბის ხელმძღვანელობამ გათავისუფლების მიზეზად ცუდი სტარტი დამისახელა. არადა, პირველი მატჩებით ძალიან კმაყოფილი ვიყავი. დღეს მეტის მოთხოვნა არარეალურად მიმაჩნია. რაც შეეხება ჩემს ყოფნას მეორე მწვრთნელის პოსტზე, მე ჯერ გადაწყვეტილი არა მაქვს, შეიძლება საერთოდ წავიდე გუნდიდან. ძალიან ცუდად მომექცნენ."*

*ჯონი აბაიშვილი უფრო ძველი პლეადის გულშემატკივრებს თუ ემახსოვრებათ. იყო თბილისის „დინამოს" წევრი 1965 წელს, უთამაშია ბათუმის „დინამოში", გორის „დილაში", ლანჩხუთის „გურიაში" და რუსთავის „მეტალურგში". თბილისის „ტტუ"-ს რიგებში კი მილიონთა თასიც კი მოუპოვებია. ამის მერე ფეხბურთთან ახლო კონტაქტი დიდხანს არ ჰქონია. ეროვნული ჩემპიონატის ჩამოყალიბების შემდეგ კი ერთი პერიოდი „ზოოვეტში" გაუტარებია ელგუჯა გუგუშვილის თანაშემწედ.*

*...და ასე მოულოდნელად, პირდაპირ ხობელთა თავკაცად დაინიშნა.*

*ჯონი აბაიშვილთან ინტერვიუ შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. 12 სექტემბრის თსუ-ს წინააღმდეგ მატჩის დაწყებამდე და მატჩის შემდეგ.*

მატჩამდე:

— კლუბის ხელმძღვანელობა რუსთავთან მარცხის შემდეგ მელაპარაკა. შემომთავაზეს გუნდის გაძღოლა, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო. საერთოდ, არ ვიცი რატომ, მაგრამ ხობელთა გუნდი ჯერ კიდევ სსრკ-ის დროსაც მესიმპათიურებოდა და ყოველთვის მათი გულშემატკივარი ვიყავი. კონკრეტული საუბრის შემდეგ ამ წინადადებას უყოყმანოდ დავთანხმდი.

**— უშუალოდ გუნდს როდის ჩაუდექით სათავეში?**

— მოგეხსენებათ, III ტურის შემდეგ ჩვენი გუნდები კარგა ხანს ისვენებდნენ. მე 9 სექტემბერს ჩამოვედი ხობში და გუნდს იმ დღესვე შევხვდი. იმის მერე ყოველდღე ვვარჯიშობთ და აგერ დღეს უკვე თამაში გვაქვს.

**— გუნდს უკვე გაეცნობოდით.**

— ეს გუნდი ჩემთვის უცხო არ არის. მე „კოლხეთის" ხელმძღვანელობასთან დიდი ხანია ვმეგობრობ და ამ ზაფხულს, როცა ხობელები ვანის „სულორს" ხვდებოდნენ თბილისში და პირველი ლიგის საგზურს ეცილებოდნენ ერთმანეთს, მე მაშინაც მხარში ვედექი. შეიძლება ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ იმ დღეს კონსულტანტი მე ვიყავი და იმ გამარჯვებაში ჩემი წილიც ურევია.

**— გუნდის თითოეულ რგოლზე რას იტყოდით? რაიმეს შეცვლას ან ახალი ფეხბურთელების დამატებას ხომ არ აპირებთ?**

— ჯერ ძნელი სათქმელია. ასე ხაზგასმით ამის თქმა არ შეიძლება. ვარჯიშებზე ყველა ყველაფერს კარგად აკეთებს, მაგრამ ვარჯიში ერთია და ოფიციალური მატჩი მეორე. დღევანდელი შეხვედრა ბევრ საკითხს მოჰფენს ნათელს.

**— კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტი თუ გაგიფორმათ და რა მიზანი დაგისახათ?**

— კონტრაქტი ოფიციალურად ჯერ არ გაგვიფორმებია, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. მინიმუმ 6 თვე მაინც დავრჩები, მერე ვნახოთ. მიზანი კი ასეთია. პროგრამა მაქსიმუმად ჯგუფში ოთხეულში მოხვედრა დამისახეს, რაზეც თავი შევიკავე და ვერ შევპირდი. პროგრამა მინიმუმი კი პირველ ლიგაში დარჩენაა - აქ გარანტიას ვიძლევი. მე გარანტიით მოვედი. თუ ის მინიმალური პირობები შეასრულეს, რასაც ვითხოვ, „კოლხეთი" პირველ ლიგაში დარჩება.

**— დღევანდელ მეტოქეზე და დღევანდელ მატჩზე...**

— თსუ-ს საკმაოდ კარგად ვიცნობ, ამიტომ ვფიქრობ, თუ ფეხბურთელებმა ჩემი დავალებების 60-70% შეასრულეს, აუცილებლად მოვიგებთ. ისე დღეს ძირითად შემადგენლობას ფრიდონ გოცირიძე შეარჩევს. დღეს მან უფრო კარგად იცის, ვინ რისი მაქნისია.

ასე მშვიდად გამოიყურებოდა ხობელთა თავკაცი მატჩამდე. მატჩის შემდეგ კი აღელვებული ჩანდა. სახეზე მაშინვე შევატყვე, ისეთი რამის თქმას აპირებდა, რომელზეც თამაშამდე თავი შეიკავა. ვარაუდიც გამართლდა.

— დღეს თამაში კი არა საშინელება იყო. სათამაშო დისციპლინა ნოლის ტოლია, ფეხბურთელები უთავბოლოდ უტევდნენ.

დავალებები, რომელიც მივეცი, ვერ შეასრულეს, ის კი არა, არც უფიქრიათ შეესრულებინათ. ასეთ ტერიტორიულ უპირატესობას გუნდი რომ ვერ გამოიყენებს... ნორმალური თავდამსხმელის პრობლემა ნათლად გამოჩნდა.

ერთი რამე ცუდად მენიშნა. მატჩამდე ამის თქმა არ მინდოდა. ახლა კი უთქმელობით უფრო დაშავდება. დღევანდელი მატჩის მოგება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ მიუხედავად ჩემი რჩევებისა, ფრიდონ გოცირიძემ შეცვლები არასწორად და დაგვიანებით გააკეთა. მე ყური არ მიგდო. აშკარად ვატყობ, ნაწყენია, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. თამაშამდე სამი დღე არ გამოჩენილა და ამით ძალიან შემიშალა ხელი. რაც არ უნდა იყოს, იცნობს გუნდს და იმის მაგივრად, რომ მუშაობა გამიადვილოს...

*ასეთი ამბები ხდება დღეს ხობში. ახალი და ძველი ერთმანეთს ვერ ჰგუობს. რა იქნება ხვალ, ამას ალბათ მალე ვნახავთ. მაგრამ, უბედურება ისაა, რომ თუ ასე გაგრძელდა და კომპრომისი არ გამოინახა, ხვალ შეიძლება გვიანი იქნეს.*

**თენგიზ ქორჩუა ხობიდან**

# რეგიონალური ლიგა

## დასავლეთი

### „ა" ზონა

I ტური

12 სექტემბერი

**გურია 0:1 რწმენა**

0:1 ი. ფაცურია (45ს.კ.)
გაფრთხილება: მანჩხავა (გურია), ალფაიძე, გ. მელაძე (ორივე რწმენა)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

**ოკეანე 4:2 მაღაროელი**

1:0 ხელაძე (11), 1:1 კავთელაძე (63), 2:1 ლორთქიფანიძე (65), 2:2 კავთელაძე (79), 3:2 ხელაძე (82), 4:2 კრავეიშვილი (87)
გაფრთხილება: შეყლაშვილი, გოცაძე, კიპაროიძე (ყველა მაღაროელი), ჯანელიძე (ოკეანე)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**გაგრა 0:0 ინტერი**

გაფრთხილება: ნაროუშვილი (ინტერი), თირქია (დინამო გ.)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

13 სექტემბერი

**სულორი 1:1 მეტალურგი**

1:0 ბ. ნიკოლეიშვილი (33), 1:1 ქურციკიძე (86)
*ბრეგვაძემ (სულორი) ვერ გაიტანა პენალტი (62)*
გაფრთხილება: კ. დვალიშვილი, თ. დვალიშვილი (ორივე სულორი), ქურციკიძე, გობრონიძე (ორივე მეტალურგი).
გაძევება: ოდიკაძე (მეტალურგი)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**მარგვეთი 2:1 იბერია 2**

0:1 ოდიკაძე (47), 1:1 ლანჩავა (49), 2:1 ჩხეტია (72)
გაფრთხილება: თუთარაშვილი (იბერია 2)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**მეშახტე 2:2 რაჭა**

1:0 ხელაძე (7), 1:1 სახელაშვილი (42), 2:1 რ. პატარიძე (72), 2:2 შარაბიძე (79)
გაფრთხილება: დ. პაპიძე (რაჭა)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

### „ბ" ზონა

I ტური

12 სექტემბერი

**ზუგდიდი 5:1 სქური**

0:1 ჯოლოხავა (7), 1:1, 2:1 ჯურხაძე (10, 40), 3:1, 4:1 კ. სიჭინავა (57, 58), 5:1 ჯურხაძე (62)
გაფრთხილება: ბერაძე (ზუგდიდი), პ. კვარაცხელია (სქური)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**მერცხალი 0:1 მეგრი**

0:1 იოსავა (18)
*მ. მჟავანაძემ (მერცხალი) ვერ გაიტანა პენალტი (37)*
გაფრთხილება: იოსავა (მეგრი), ა. მჟავანაძე (მერცხალი)
მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

**შუქურა 10:0 ჩელა**

1:0 ჯიჯავაძე (10), 2:0 ჩადუნელი (23), 3:0, 4:0 ყულეჯიშვილი (40,49), 5:0 ფუტკარაძე (57), 6:0 ღლონტი (61), 7:0 ყულეჯიშვილი (73), 8:0 ღლონტი (81), 9:0 ფუტკარაძე (86), 10:0 მჟავანაძე (89)
გაფრთხილება: აბსანძე, ხუბუა, კანკავა (ყველა ჩელა)
გაძევება: ხუბუა (ჩელა)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

13 სექტემბერი

**ბათუმი 2 1:1 კოლხეთი 2**

0:1 კვირკველია (21), 1:1 ჩიჩუა (47)
გაფრთხილება: ბურჭულაძე (კოლხეთი 2), სიამაშვილი (ბათუმი 2)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ლაზიკა 4:1 ბახმარო**

1:0 ბ. მიქავა (13), 2:0 ლიპარტია (30), 2:1 გურგენიძე (50), 3:1, 4:1 თოდუა (68, 85)
გაფრთხილება: თავბერიძე, გორდაძე (ორივე ბახმარო)
მსაჯი: მ. სილაგავა (თბილისი)

**ფაზისი 2:1 სამეგრელო**

## აღმოსავლეთი

### „ა" ზონა

I ტური

12 სექტემბერი

**ცხინვალი 3:0 არაგვი**

1:0 მარგიევი (26), 2:0 მოსიაშვილი (66), 3:0 ეჯოშვილი (78)
*ტყემალაძემ და მოსიაშვილმა (ორივე ცხინვალი) ვერ გაიტანეს პენალტები (18, 55)*
გაფრთხილება: ი. ჩიტაური (არაგვი)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

**ივერია 3:0 ვარძია**

1:0 ნეკერაშვილი (34), 2:0 ხმალაძე (40), 3:0 ტოკლიკიშვილი (68)
გაფრთხილება: შემაზაშვილი, ცინაძე (ორივე ვარძია)
მსაჯი: მ. ელიკაშვილი

**თორი 5:1 მესხეთი**

1:0 რ. გლუნჩაძე (22), 2:0 ელირაშვილი (23), 3:0 ვარდიაშვილი (33), 4:0, 5:0 რ. გლუნჩაძე (36, 57), 5:1 სუდაძე (80)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

13 სექტემბერი

**ცხუმი 4:1 იბერია**

1:0 დევდარიანი (51), 1:1 ნ. დავითაშვილი (75), 2:1 დევდარიანი (78), 3:1 რცხილაძე (80), 4:1 კაკაბაძე (83)
გაფრთხილება: ბიწაძე (იბერია), კაკაბაძე, გორდეზიანი (ორივე ცხუმი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**საუ 1:2 განთიადი**

1:0 ალანია (38), 1:1 გ. ილურიძე (44), 1:2 მაქაცარია (80)
გაფრთხილება: ალანია (საუ), მოდილაშვილი (განთიადი)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

### „ბ" ზონა

I ტური

12 სექტემბერი

**ლოკომოტივი 2 5:1 ამირანი**

1:0 გილაური (37), 2:0 მორჩილაძე (45), 3:0 გილაური (52), 4:0, 5:0 ჩაჩუა (64, 65), 5:1 ბესელიძე (86)
*მორჩილაძემ (ლოკომოტივი 2) ვერ გაიტანა პენალტი (73)*
გაფრთხილება: შავიშვილი, გოგნაძე (ორივე ლოკომოტივი 2), ჭალიაშვილი, მიკუჩაძე, სარდინაშვილი, ადუაშვილი (ყველა ამირანი)
მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

**ხალიბი 97 0:3 ზოოვეტი**

0:1 ლ. კვარაცხელია (19), 0:2, 0:3 შედანია (50, 77)
გაფრთხილება: ბოსტოლანაშვილი, შელეგია (ორივე ზოოვეტი), ლ. კაპანაძე, სოხაძე, ჯალიაშვილი (ყველა ხალიბი 97)
გაძევება: სულაშვილი (ხალიბი 97), შედანია (ზოოვეტი)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

13 სექტემბერი

**ჭაბუკიანი 1:2 არსენალი 2**

1:0 მერებაშვილი (23), 1:1, 1:2 გოძიაშვილი (31, 58)
გაფრთხილება: ბერიანიძე (არსენალი 2)
მსაჯი: დ. ინდუაშვილი (რუსთავი)

**ყვარელი 1:1 თბილისი 2**

0:1 ნიშნიანიძე (24), 1:1 ოსეფაშვილი (60)
გაფრთხილება: სანადირაძე (ყვარელი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

14 სექტემბერი

**ენერგეტიკოსი 0:1 აკადემია**

# ბერძნები ცალ-ცალკე გვეწვევიან

**ხვალ** თბილისსა და ქუთაისში უეფას თასის გათამაშების პირველი მატჩები გაიმართება. საქართველოს ბერძნული კლუბები ეწვევიან.

ორივე ბერძნული კლუბი საქართველოში დღეს, ცალ-ცალკე ჩამოვა. აეკ-ი ჩარტერული რეისით პირდაპირ ქუთაისს ესტუმრება, პაოკ-ი კი თბილისში 14 საათზე ჩამოფრინდება და მაშინვე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასს" მიაშურებს.

უეფამ გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი გამოაგზავნა და ქართულ კლუბებს ამ მატჩებზე მოვლენილი მსაჯების ვინაობა შეატყობინა.

„ტორპედო" — აეკ-ის მატჩს, რომელიც ხვალ 17 საათზე დაიწყება, ირლანდიელი მსაჯები მოემსახურებიან. მთავარი იონ მაკდერმოტი იქნება, რომელსაც ედი ფულეი, ენტონი რაიანი დაეხმარებიან. მეოთხე სიმუს დევანია. დელეგატად პოლონელი ზბიგნევ კალინსკია დანიშნული.

„ლოკომოტივი" — პაოკ-ს კი უნგრელი არბიტრები განსჯიან: ატილა იუჰოში, ტიბორ ვამოში და იანოშ ბალატი. მეოთხე მსაჯი ბელა კიშია. დელეგატობას კი უკრაინელი ანატოლი პოპოვი გასწევს. ეს მატჩი 21 საათზე დაიწყება, ბილეთი კი 3-დან 5 ლარამდე ღირება.

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი ორივე მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას გეგმავს.

**ვანო ოქროპირიძე**

საქართველოს 11 ჩემპიონატი

4 ტური

# ევრიკა!

ევრიკა! იყვირა ღრმად პატივცემულმა და ნეტარხსენებულმა არქიმედმა და აბაზანიდან შიშველი გამოვარდა. მას შემდეგ დაყიალობს ეს სიტყვა გზაში და ბილიკზე, დაბლა და მაღლა, შენობაში და შენობის გარეთ და ყველგან რაღაც ახლის, იშვიათის აღმოჩენის შემდეგ ყვირიან — ხოლმე.

მეც უნდა ვიყვირო, საყვირელია და იმიტომ — ევრიკა! ქართველმა გუნდებმა დაცვა ისწავლეს. აგერ, ბატონო, მეთერთმეტე ეროვნულის მეოთხე ტურის რვა თამაში და მათში გატანილი ცამეტი ბურთი (აქედან ოთხი პენალტით და ერთი კუთხურიდან).

ენას ხავსი რომ არ ეკიდება, სხვებივით მეც ვიცი და ისიც ვიცი — ინტრიგანს რა დალევს. გამოხტება ეს ინტრიგანი და ამას იტყვის — დაცვა კი არ ისწავლეს ქართველმა გუნდებმა, გოლის გატანა დაავიწყდათო, მაგრამ...

ინტრიგანებისთვის სცხელა ქართულ ფეხბურთს?

მაშასადამე: ევრიკა!

ტურის მიმოხილვას „ლოკომოტივი“ — „ბათუმის“ მეტად მნიშვნელოვანი მატჩის პერიპეტიების აღწერით დავიწყებთ.

დუნე მატჩი იყო. უჯიგრო-ულაზათო. ხურცილავას ბიჭებმა თითქმის მთელი შეხვედრა შეტევაში კი გაატარეს, მაგრამ არც კარნევალე და კომპანია იყო ჯაბანი და მეტოქეები უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს. „ბათუმს“ იტალიური „კატენაჩო“ შეეყარა. ყოველ შემთხვევაში, ამის ნიშნები ნამდვილად ჩანს. თავად „იტალიანოს“ კი მარჯვენა ხელი აქვს შებანდულ-შებინტული. გუნდს კარგს ვაკეთებო, იმუქრება და „დიდოსტატის მარჯვენის“ მორიგი ვარიანტი ხომ არ თამაშდება, ნეტავ?!

არავინ იცის, როდის მოუშუშდება ამაგდარი კიდური სინიორ ჯანის, ის, კი ნათელია, რომ „ბათუმს“ ყველაზე ცოტა გააქვს (არ ეკადრება) და უფრო ცოტას უშვებს (ესეც ნუგეშია), რაც შეეხება „ლოკომოტივს“, პაოკ-თან სარეპეტიციოდ ქართულ ამბებში უკეთეს მეტოქეს ვერც ინატრებდა, მაგრამ საკითხავია, გამოიყენა კი?! არ ეტყობოდა ამ მატჩს, რომ რკინიგზელებმა რაიმე სიახლე დაამუშავეს. იქნებ საერთოდ დაუმალეს თამაში ბერძენ მსტოვარს, ვინ იცის. ასეა თუ ისე, ის კაცი საბერძნეთში ბევრს ვერაფერს მოუყვება პაოკ-ის მამებს და ღმერთს ვთხოვოთ, 16 სექტემბერს ეშიშვლოთ დამალული იარაღი რკინიგზელებს.

„ვიტ ჯორჯია“ „დინამომ“ დაამარცხა. მიხვდებით, ალბათ, რატი ალექსიძის პენალტით. ამჯერად არც ძელისთვის გაურტყამს ნაჩელსარ ალექსიძეს და არც მსაჯის გვერდში დგომა დასჭირვებია — დაარტყა და გაიტანა. ამ გამარჯვებით „დინამო“ ლიდერებში გაერია, მიღებულ-გატანილი ბურთების მარაგი კი ჯერაც უარყოფითი აქვს.

საკუთრივ მატჩზე ბევრი არაფერია სათქმელი. ფეხბრთელები ძირითადად მინდვრის ცენტრში ჯაჯგურ-ჭიდაობამ გადაიყოლა და ორივე გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, ჩოქბეჯენში არც ერთი გადასულა. კოტრიკაძის ტაქტიკაზე კი იმას ვიტყვით, რომ საკუთარი კარის მისადგომებთან ხუთიოდ ტალიკი ბიჭი დააყენა. ამათ შეტევაზე მეტად ჩაშლა ეხერხებათ და საერთოდ, მათთვის ბურთთან მუშაობაც არ იქნება ზედმეტი. ამის გამო იყო, „ვიტ ჯორჯიას“ გამართულად შეტევის წამოწყება-განვითარება ემლებოდა და „დინამოს“ ნახევარდაცვაც უდავო ფავორიტი იყო ამ მატჩში.

ასეა თუ ისე, „დინამომ“, როგორც იქნა, ყოველგვარი მიდგომ-მოდგომის გარეშე გაიმარჯვა და ჰა, შედეგიც — მარადი ჩემპიონი ცხრილში აღზევდა. ვეტერინარებმა სამი ქულა დაკარგეს, ლიდერობა არა და „ა“ ჯგუფს ჯერაც ზევიდან დაჰყურებენ.

რუსთავის „გორდა“ გორის „დილას“ ოხტში ამოვიდა. რუსთაველებმა ორბურთიანი უპირატესობით გაიმარჯვეს და „ბ“ ზონის მესამეადგილოსნებიც გახდნენ. არავინ ელოდა ორი სასტარტო მარცხის შემდეგ „გორდას“ საამქვეყნოდ შემობრუნებას, მაგრამ მონდომებამ და ერთ, რუსთავულ მუშტად შეკვრამ თავისი ქნა და აი, ალადაშვილი და მისი გუნდი სამეულშია.

ჰო-ჰო, რა ყოფილა ეს ბზიკაძე „სამგურალის“ მწვრთნელი ერთადერთია ევროპაში (და მსოფლიოშიც), ვისაც ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს — მისი თავკაცობით შარშანდელმა თასის ფინალისტმა ორიდან ორი მატჩი მოიგო, ორივე კინკილა ბურთით, „ბათუმს“ გაასწრო და „დინამოსთან“ ერთად. ცხელი სუნთქვით ზურგს უწვავს ვეტერინარებს. ერთადერთი ბურთი სუხიაშვილის პენალტიდან გავიდა. პენალტი კი ამ ბოლოს „სამგურალის“ მთავარ დამრტყმელ ძალად ქცეული ხაჭაპურიძის წაქცევისთვის დაინიშნა. ბედი საფეხბურთო წყალტუბოსი, რომ ვოლკოვს ილლიაში გაუძვრა ბურთი, თორემ კიდევ ერთი პენალტი გაუცუდდებოდა დამრტყმელს.

გაცუდებით კი „არსენალთან“ „თბილისის“ მიქაძეს გაუცუდდა. გიორგი იყო კიდეც ბრალიანი ამ მომენტში და არც იყო. პირველი დარტყმიდან მან გაიტანა პენალტი, მაგრამ თანაგუნდელებმა უმუხთლეს და დროზე ადრე შეირბინეს საჯარიმოში. განმეორებითი დარტყმის წინ არსენალელმა ხოსროშვილმა რაღაც ჩაუფუჩუნა თავის მეკარეს და აკი ჩლაიძემაც აიღო პენალტი. მაშასადამე, ერთიც „შევძახოთ — ევრიკა! ხოსროშვილი გულთმისანია.

ერთადერთი გუნდი, რომელმაც პენალტების და კუთხურების გარეშე მოიგო თამაში, ქუთაისის „ტორპედოა“. უყურეს ქუთათურებმა მეტოქეს, მთელი პირველი ტაიმი უმეოთველად ადევნეს თვალი დაცვაში მერანელთა გარჯას, მეორეში კი ამ „მერანივით“ არა, ტატოს მერანივით აიწყვიტეს. იონანიძის, ხვადაგიანის, მეგრელაძის სამ გოლს თოლორდავამ შორეული დარტყმით უპასუხა და 3:1 — ასე მოიგო „ტორპედომ“.

კიდევ ერთხელ დამარცხდა სამტრედიის „იბერია“. ამჯერად ფოთის „კოლხეთმა“ დაიდო იმერლების ცოდვა. ხისა და ცულის ტარის ამბის არ იყოს, ერთადერთ გოლში, რომელიც სამტრედიელთა კარში გავიდა, ექსიბერიელმა ხუჭუამ დაიდო წილი. პენალტი სწორედ მასთან ბრძოლაში აიკიდა ბიწაძემ. პირდაპირ პენალტიდან კი ვერ გაიტანა ტორჩინავამ, მაგრამ მოგერიებულს თავადვე დაუმატა და ანგარიშიც ასე გაიხსნა. პირველი ტურიდან მოყოლებული „იბერია“ აუტსაიდერია და თუ ასე გაგრძელდა, გაუჭირდებათ იმერლებს ოთხეულში დამკვიდრება. სიმპათიებს რა ვუთხარით, თორემ გაუჭირდებათ კი არა, თითქმის გამორიცხულიცაა ასეთი რამ — ძალიან ბევრი წამყვანი ფეხბურთელი წაჰგვარეს „იბერიას“.

დაბოლოს, „ხობი“ — თსუ. წესით, მასპინძლებს უნდა მოეგოთ. მთელი მატჩი ამას უჩვენებდა და ადასტურებდა, მაგრამ ხობელებს ერთი რამ გადაავიწყდათ — გოლი რომ გაიტანო, ბურთი კარში უნდა დაარტყა. ეს ორჯერ თუ მოახერხეს, მაშინაც მეკარემ ივაჟკაცა და შედეგადაც ტურის მეორე 0:0 შედგა.

მორიგი ტური ამ მატჩებიდან ერთ კვირაში უნდა გაიმართოს. მანამდე კი დიდი საევროპო სამზადისი და შუალედია. ვნახოთ, რას და როგორ იზამენ „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ ბერძნულ ფეხბურთთან ჯახში. მათთან სამეტოქოდ ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ცუდი სპარინგია, მაგრამ სხვა გზაც რომ არ არის?!

**კონსტანტინე გოგიშვილი**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 3 - ალექსიძე | *დინამო* |
| თოლორდავა | *მერანი* |
| გ. ქორიძე | *ვიტ ჯორჯია* |

### სიმბოლური ნაკრები

ზურაბ იონანიძე — *ტორპედო*
ლევან მელქაძე — *თბილისი*
ირაკლი ხაჭაპურიძე — *სამგურალი*
გიორგი ანჩაბაძე — *დინამო*
გიორგი გოგიაშვილი — *ტორპედო*
დავით ინასარიძე — *გორდა*
ჯაბა მუჯირი — *ვიტ ჯორჯია*
ოთარ ხიზანეიშვილი — *დინამო*
ზურაბ არჩვაძე — *ბათუმი*
ბადრი ახვლედიანი — *ტორპედო*
თემურ ვოლკოვი — *სიონი*

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე *დინამო*

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 3 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 2 | დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 3 | სამგურალი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 4 | ბათუმი | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 5 | არსენალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 6 | ლოკომოტივი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 7 | სიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 8 | თბილისი | 4 | 0 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 7 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 |
| 2 | კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 3 | გორდა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 1 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 4 | დილა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 |
| 5 | ხობი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | -2 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | -2 | 3 |
| 6 | თსუ | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 0 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 7 | მერანი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | -2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 |
| 8 | იბერია | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |

## «ა» ზონა

მცხეთა
11 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
1 500 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 0:1 დინამო

0:1 ალექსიძე (29პ)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, ხართიშვილი (კ. ალადაშვილი 79), ჯ. მუჯირი, თოდუა, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (ყიფიანი 79), კოტორაშვილი (ა. ბოკერია 73), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ზ. გვაზავა, მაზიაშვილი, ვ. გოჩაშვილი
დინამო: დონდტი, ხიზანეიშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, გ. შენგელია (ღლონტი 68), ა. სახვაძე, ანჩაბაძე, ალექსიძე, წიტაიშვილი (პ. ჯინჭარაძე 46), აშვეთია (ზირაქიშვილი 78), სიჭინავა
*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; კობიაშვილი, ვ. გიგიაძე, შაშიაშვილი
გაფრთხილება: სახვაძე (26), მუჯირი (83)
გაძევება: სახვაძე (67)
მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); გ. ასკაროღლი (ქარელი);
სფფ-ის დელეგატი: მ. მიმინოშვილი

თბილისი
11 სექტემბერი
17 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 75 000)

### ლოკომოტივი 0:0 ბათუმი

ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, გ. ჩიხრაძე, ბაქრაძე, ლ. მიქაძე, ბერაძე, ქობულაძე, კაციაშვილი, გოგიჩაიშვილი, ქებაძე, რუსია (შავგულიძე 80)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; ჩაჩუა, ბარამიძე, ვ. გველესიანი, კ. მელქაძე
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, თედორაძე, ქაცარავა (სიხარულიძე 46), ა. მუჯირი (რომანაძე 46), კობიძე, გელა ქორიძე, ტუღუში, მაჭუტაძე (გადელია 89)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; მინდაძე, აფხაზავა, უვაკვე
გაფრთხილება: ქაცარავა (38), მიქაძე (42), პაპიძე (59), მაჭუტაძე (70)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი); ე. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

წყალტუბო
11 სექტემბერი
17.06 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 1:0 სიონი

1:0 სუხიაშვილი (58პ)
სამგურალი: ო. ბობოხიძე, ჭელიძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი (ჯავახაძე 46), ძაგნიძე (კოხრეიძე 53), სუხიაშვილი, ი. ხაჭაპურიძე, ზ. ქუთათელაძე (ძოძუაშვილი 10), ფხაკაძე, ლონლაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ზურაბიანი, ნებიერიძე, გაბლაია
სიონი: ვოლკოვი, დიმიტრიშვილი, სიდამონიძე, შაკიაშვილი, ნ. მინდიაშვილი, სოლოლაშვილი, მ. გოგოლაძე (დ. სვანიძე 85), დ. გოდერძიშვილი, მოსეშვილი, დათუაძე (მ. მინდიაშვილი 80), თ. სამხარაძე (ლ. გაგუა 66)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ყიფშიძე, დ. ჯაფარიძე, მ. სამხარაძე
გაფრთხილება: სოლოლაშვილი (18), სიდამონიძე (60), ფრანგიშვილი (63), ჭელიძე (64), კოხრეიძე (68), გოდერძიშვილი (90)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); თ. გიორგაძე (სამტრედია)
სფფ-ის დელეგატი გ. ძამუკაშვილი

თბილისი
12 სექტემბერი
17 საათი
ისანი
2 500 (ტევადობა [illegible])

### არსენალი 1:1 თბილისი

0:1 რუხაძე (65პ), 1:1 კაკაშვილი (86[illegible])
მიქაძემ ვერ გაიტანა პენალტი (62, [illegible])
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ასპინ[illegible]შვილი, ლაცაბიძე, ჩალაძე, დაუშვილი ([illegible]მაშვილი 46), ხოსროშვილი, თარგამა[illegible], ამირიძე (კაკაშვილი 67), გონჩაროვი (სულაძე 83), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; რობაქიძე, ვ. ლუდუშაური
თბილისი: ა. ჩიხრაძე, რუხაძე, ზ. ხიზანიშვილი, აბრამიძე, ზამთარაძე, გველესიანი, ქემოკლიძე, ბურდული, ვალერი გაგუა (ი. შენგელია 64), გ. მიქაძე, ლ. მელქაძე
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; ტყეშელაშვილი, კანდელაკი, ებრალიძე, ნორაკიძე, აფციაური
გაფრთხილება: დაუშვილი (30), მელქაძე (33), ჩლაიძე (61), ზამთარაძე (70), ხიზანიშვილი (85)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ვ. [illegible] სილაგავა (ყველა თბილისი); ზ. ანი[illegible] (გორი)
სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

## «ბ» ზონა

ქუთაისი
11 სექტემბერი
17 საათი
ტორპედო
3 000 (ტევადობა 23 800)

### ტორპედო 3:1 მერანი

1:0 იონანიძე (51), 2:0 ხვადაგიანი (72), 3:0 მეგრელაძე (75), 3:1 თოლორდავა (85)
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, ხვადაგიანი, ვ. მაისურაძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე 79), კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იონანიძე (მ. ბობოხიძე 82)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; თავბერიძე, ამისულაშვილი, იმედაძე, თურმანიძე
მერანი: ნაჭყეპია, ივანიშვილი, ე. ალადაშვილი, პ. ლურსმანაშვილი, ხარებავა, ცქიფურიშვილი, ჯიშკარიანი (ბაჯელიძე 73), თოლორდავა, ბ. ამბიძე, დევიძე (როსტიაშვილი 28), ჭინჭარაული (კარიაული 82)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ლ. ამბიძე
გაფრთხილება: ივანიშვილი (23), მეგრელაძე (28), ცქიფურიშვილი (30)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში)
სფფ-ის დელეგატი გ. ფირცხალავა

რუსთავი
11 სექტემბერი
17 საათი
ფოლადი
2 000 (ტევადობა 10 700)

### გორდა 2:0 დილა

1:0 კილასონია (47), 2:0 ინასარიძე (90)
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, ვ. კილასონია, თელიაშვილი, მ. სახვაძე, კიტეიშვილი, მიშველიძე, ლ. ალადაშვილი (ბაჩილავა 88)
*სათადარიგონი:* გონგაძე; ა. ბუკია, კ. ჩიგოშვილი, დ. ბერიძე, ჩიტაური, ზ. ლაბაძე
დილა: სოლოლაშვილი, გაგნიძე, რ. ხაჭაპურიძე, ფეზუაშვილი (სულთანიშვილი 62), ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, თაყაძე, ციცქიშვილი, მარლიშვილი, ბ. ჩიტაია (აკოფიანი 68), შატაკიშვილი (არუთუნიანი 69)
*სათადარიგონი:* მდივანი; გ. ჩიტაია, ოლგესაშვილი, კარელიძე
გაფრთხილება: შატაკიშვილი (30), სულთანიშვილი (74), ქორიძე (77)
მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ზ. მენთეშაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

ფოთი
11 სექტემბერი
17 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 1:0 იბერია

1:0 ტორჩინავა (57)
ტორჩინავამ ვერ გაიტანა პენალტი (57, მეკარე)
კოლხეთი: გვასალია, გოროზია (ქუნთელია 20), ტორჩინავა, გ. გიორგაძე, პაპავა, ტრაპაიძე, მ. მელაძე, ხუჭუა, კედელაშვილი, ლაღანიძე, ბულუხია (დ. გოგოლაძე 66)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ჯღარკავა, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე, ბურკვაძე
იბერია: გ. დოლიძე, ბიწაძე, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე (დარსაძე 81), გ. ლურსმანაშვილი, ნიკოლეიშვილი, ივეჩიანი (ხურციძე 36), ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ნ. გიორგაძე, ლ. გიორგაძე, ხმალაძე, ჟვანია
გაფრთხილება: მეტრეველი (16), კედელაშვილი (72)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი)
სფფ-ის დელეგატი მ. ლაცაბიძე

ხობი
12 სექტემბერი
17 საათი
კოლხეთი
1 000 (ტევადობა 12 000)

### ხობი 0:0 თსუ

ხობი: ნიქაბერიძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, ვ. ალანია, გედენიძე, ხურცილავა (ქაშიბაძე 75), გოგიტაძე, ლ. გვაზავა, ლ. ბუკია, ჭიჭინაძე (დ. დანელია), ზაზა აიანდი
*სათადარიგონი:* ბაბუაძე; ჯამბურია, ტყებუჩავა, ვართაგავა, ჯიქია
თსუ: მერლანი, სვანაძე, ნინუა, ახალაძე, ფარქოსაძე (გ. გვაზავა 85), წუწუნავა, მესხი (ჯობაძე 58), ადამია (ბ. ნოზაძე 76), თ. ბოკერია, ერაძე, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ინწკირველი, შ. მახარაძე
გაფრთხილება: არჩვაძე (38)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

**აეკ (ათენი, საბერძნეთი)**

დაარსდა: 1924 წელს
პრეზიდენტი: სტეფანოს მამაციასი
მწვრთნელი: ლიუბიშა ტუმბაკოვიჩი (იუგოსლავია)
სტადიონი: „ნიკოს გუმასი" (ტევადობა 33 494)
საბერძნეთის ჩემპიონი (11): 1939, 1940, 1963, 1968, 1971, 1978, 1979, 1989, 1992, 1993, 1994
საბერძნეთის თასის მფლობელი (10): 1932, 1939, 1949, 1950, 1956, 1966, 1978, 1983, 1996, 1997



სარბიელის არქივიდან

დემის ნიკოლაიდისი

# ნამიწისძვრევს
# ჩვენ ყველანი ქეცბაიები ვართ?



სარბიელის არქივიდან

თემურ ქეცბაიას ათენური მონაგარი. საბერძნეთის თასი და სუპერთასი

— აეკ-ი დიდი გუნდია. ჩვენ ვიცით, რა არის ფეხბურთი. ყოველთვის მოგებული ვერ იქნები. ფეხბურთში კარგს ხშირად ცუდი სჭარბობს, მაგრამ ზღვარიც არსებობს — ეს სიტყვები გუშინდელ „სარბიელში" შეგიძლიათ ამოიკითხოთ ბერძნული კლუბის მწვრთნელის თანაშემწის ანდრეას სტომატიადისის ინტერვიუში.

აეკ-ი რა დიდი გუნდიაო, ამ სიტყვების წამკითხავი ბევრი გაიფიქრებდა. არცთუ უსაფუძვლოდ, აეკი-ი თავს ოდენ საშინაო ტიტულებით თუ მოიწონებს, საერთაშორისო სარბიელზე კი მისდარი გუნდი ბევრია.

დიდგუნდობისა რა გითხრათ და ბერძნული კლუბი რომ აწყობილი მექანიზმია ამას მისი 70-წლიანი ისტორია და კიდევ ერთი ფაქტი მოწმობს, რომელზეც ახლავე მოგახსენებთ.

ათენში ამასწინანდელი მიწისძვრისას დანგრეული „ნიკოს გუმასი" „ამსტერდამ არენის" ანალოგიური გეგმით აიგება და 70 მილიონი დოლარი დაჯდება — იუწყება გუშინდელი ბერძნული გაზეთი „ტა ნეა".

— ორ წელიწადში აშენდება ახალი სპორტული კომპლექსი, რომელმაც 2004 წელს ათენის ოლიმპიადას უნდა უმასპინძლოს. „ნიკოს გუმასი" 45 ათას მაყურებელს დაიტევს, თანვე საკალათბურთო დარბაზი, საცურაო აუზი, საკუთარი თეატრი და 4000 ავტომობილის სადგომი ექნება — დასძენს გაზეთი.

დიახ, ეს ყველაფერი აეკ-ისაა, 70 მილიონ დოლარსაც ათენის მერია კი არა, კლუბი, უფრო სწორად მისი დამფუძნებლები დახარჯავენ. ეს კი თავისთავად აეკ-ის დიდკლუბობაზე მიუთითებს, უცხოელი ინვესტორებიც შავ-ყვითლებით ტყუილად არ დაინტერესდნენ.

მაგრამ ერთია დიდკლუბობა და მეორე დიდგუნდობა.

აეკ-ი ახლა ახალ „დიდ გუნდს" აყალიბებს. საფუძველი მშვენიერია: ბოლო ოფიციალურ მატჩზე ნორვეგიაში საბერძნეთის ნაკრებს აეკ-ის 5 ფეხბურთელი — ატმაციდისი, კასაპისი, ნიკოლაიდისი, ლაკისი და ზიკოსი ახლდა. ამათგან პირველმა სამმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა.

ატმაციდისი ბერძენთა საუკეთესო მეკარეა, ნიკოლაიდისი კი მახლასთან ერთად საუკეთესო თავდამსხმელი. სხვათა შორის, ნიკოლაიდისი ქართულ ფეხბურთს პირველად, ალბათ, სწორედ ხვალ დაუპირისპირდება, რადგან ტრავმების გამო საქართველოს ნაკრებთან ორივე მატჩი გამოტოვა.

წლეულს გასაძლიერებლად ბერძნებს ფული არ დაუშურებიათ და აეკ-ის სანაკრებო ხუთეულს ფეხბურთელები „ბარსელონიდან", „კრისტალ პალასიდან", „შეფილდ იუნაიტედიდან" და „პარტიზანიდან" შემატეს.

ამიერიდან მწვრთნელიც ექსპარტიზანია. ბათუმში ორჯერ (პირველად დასაზვერად) ნამყოფი შარშანდელი თასების თასიდან ჩვენებურთა გამომძევებელი სერბი ლიუბიშა ტუმბაკოვიჩი. სწორედ ტუმბაკოვიჩის სახელს უკავშირდება „პარტიზანის" წარმატებები 90-იან წლებში, რაც, აეკ-ის არ იყოს, შინაური ტიტულების მოხვეჭით ამოიწურა. თუმცა იუგებს საპატიო მიზეზიც ჰქონდათ, დაყადაღებული იუგოსლავიის გუნდები ერთხანს საერთოდ არ მონაწილეობდნენ ევროთასებზე. ტუმბაკოვიჩი ტუმბაკოვიჩად და აეკ-ი, ჩვენთვის, ქართველებისთვის ნაცნობი და ახლობელი სხვაგვარადაცაა. ქართველ ლეგიონერთა გამო „სიტის" თუ „აიაქსის" ბედით დაინტერესებულ ჩვენებურ გულშემატკივრებს აეკ-ისთვის ერთხანს კიდეც უქომაგიათ.

— ქეცბაია აეკ-ში ნათამაშევ ფეხბურთელთაგან ერთ-ერთი უძლიერესი იყო — ეს სიტყვებიც ბერძნული კლუბის მწვრთნელის ნათქვამია.

ათენში ისევ ახსოვთ თემურ ქეცბაია და ახლა, როცა ორ ბერძნულ კლუბს წილისყრამ მეტოქედ ქართული გუნდები არგუნა, საქართველოს ისევ ქეცბაიას სამშობლოდ მოიხსენიებენ. აგერ, ახლა, ამ ციკლში არ იყო, ჩვენი ნაკრები საბერძნეთისას ორჯერ რომ ეთამაშა? თუმცა, რა გასაკვირია, ქართული კლუბების მეტოქეებს იმ მატჩებიდანაც თუ მხოლოდ ქეცბაია დაამახსოვრდათ. მათთვის ხომ ქართული ფეხბურთი ორ ნაწილად, ქეცბაიად და დანარჩენად იყოფა.

ვიდრე „ტორპედო" აეკ-ს „ლოკომოტივი" კი პაოკ-ს დაუმტკიცებდეს, რომ „ჩვენ ყველანი ქეცბაიები ვართ" (ერთ-ერთი ქართველი მწვრთნელის ერთი ძველი რეპლიკის არ იყოს), მანამდე ქუთაისელთა მეტოქის ბანაკში ბოლო კვირაში მომხდარ სიახლეებზე ვთქვათ.

*7 სექტემბერი.* კლუბმა განაცხადა, რომ უარით გაისტუმრა ისლანდიელი თავდამსხმელის არნარდ გრეტარსონის მსურველი იტალიური კლუბი „რეჯინა", რომელიც სერია „ა"-ში წლეულს ალზევდა და პირველ ორ ტურში „იუვენტუსს" და „ფიორენტინას" დაუზავდა.

— „არნი" ჩემს მომავალ გეგმებშია და მის გაშვებას არ ვაპირებ, — განაცხადა ტუმბაკოვიჩმა.

*10 სექტემბერი.* აპოსტოლოს ნიკოლაუს სავარძელი აეკ-ის ახალმა პრეზიდენტმა სტეფანოს მამაციასმა დაიკავა.

*12 სექტემბერი.* აეკ-მა ამხანაგურ მატჩში „პანიონიოსს" 2:1 მოუგო, ორივე გოლი შავ-ყვითელთა მთავარმა ბომბარდირმა დემის ნიკოლაიდისმა გაიტანა.

*13 სექტემბერი.* აეკ-ის ექიმმა განაცხადა, რომ „პანიონიოსთან" მატჩის 29-ე წუთზე დაშავებული მცველი მიხალის კაპსისი მუხლის ტრავმის გამო ქუთაისის „ტორპედოსთან" ვერ ითამაშებს. იგივე მიზეზით საქართველოს ვერც აეკ-ის სათადარიგო თავდამსხმელი სოტირის კონსტანტინიდისი იხილავს.

*14 სექტემბერი.* ცნობილი გახდა, რომ 30 სექტემბერს აეკ-ი „ტორპედოს" ათენისვე გარეუბან „ნეა სმირნის" 22 — ათასიან სტადიონზე უმასპინძლებს.

გუშინ კი ჩვენმა ბერძენმა კოლეგამ მანოს სტარამოპულოსმა ეს გვითხრა, კაპსისის და კონსტანტინიდისის ტრავმები საგანგაშო სულაც არაა და საერთოდ ყველანი ჯანზე არიანო. აეკ-ი ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტში დღეს ჩამოფრინდება და, როგორც ბერძენი ჟურნალისტები იუწყებიან, შევარდნაძის ვილაში იცხოვრებს. ალბათ მიხვდით, „შევარდნაძის ვილად" ბერძნებმა ვარციხის სამთავრობო რეზიდენცია მოიხსენიეს.

**ვახტანგ ბზიკაძე**



სარბიელის არქივიდან

ექსბარსელონელი დრაგან ჩირიჩი (მარცხნივ) რობერტო კარლოსთან ორთაბრძოლაში

**აეკ 1999-2000**

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ილიას ატმაციდისი | 24.04.69 |
| 15 | ხრისტოს მიხაილიდისი | 15.01.76 |
| 22 | ლეფტერის პეტკარისი | 05.03.82 |
| | **მცველები** | |
| 2 | ტრიანოს დელასი | 31.01.76 |
| 3 | გორდან პეტრიჩი | 30.07.69 |
| 5 | ნიკოს კოსტენოღლუ | 03.10.70 |
| 12 | პარის კოპიცისი | 05.03.69 |
| 17 | მიხალის კასაპისი | 06.08.71 |
| 21 | ვაიოს კარაგიანისი | 25.06.68 |
| 24 | ვლადიმირ მატიასევიჩი | 10.05.78 |
| 25 | იანის კალიცაკისი | 30.06.66 |
| 32 | მიხალის კაპსისი | 18.10.73 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | დიმიტრის მარკოსი | 30.01.71 |
| 7 | ხრისტოს მალადენისი | 23.05.74 |
| 8 | ტონი სავევსკი | 14.06.63 |
| 10 | დრაგან ჩირიჩი | 15.09.74 |
| 14 | ანდრეას ზიკოსი | 01.06.74 |
| 18 | ევრიპიდის კაცავოსი | 14.09.73 |
| 19 | გიორგოს კავაზისი | 15.01.80 |
| 23 | ვასილის ლაკისი | 10.09.76 |
| 26 | გიორგოს პასიოსი | 04.05.80 |
| 27 | ბრანკო მილოვანოვიჩი | 13.01.73 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ნენად ბიეკოვიჩი | 17.02.74 |
| 11 | დემის ნიკოლაიდისი | 17.09.73 |
| 16 | არნარდ გრეტარსონი | 20.02.72 |
| 20 | სოტირის კონსტანტინიდისი | 19.04.74 |

**ახალწვეულები**

პეტრიჩი (კრისტალ პალასი, ინგლისი), დელასი (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი), ჩირიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), კონსტანტინიდისი (ირაკლისი), ბიეკოვიჩი (პარტიზანი, იუგოსლავია), პეტკარისი (ნაპოლი, იტალია), მატიასევიჩი (ვოივოდინა, იუგოსლავია)

**საბერძნეთის თასი**
პირველი ეტაპი. პირველი ტური
ათენი. 7 აგვისტო. „ნიკოს გუმასი"

**აეკ 6:1 აიგალეო**

ბიეკოვიჩი (20), ჩირიჩი (22, 58, 75), ნიკოლაიდისი (46), მარკოსი (90)
აეკ: ატმაციდისი, ლაკისი, კასაპისი (კოპიცისი 59), კაპსისი, პეტრიჩი, ზიკოსი, ჩირიჩი, სავევსკი (ნიკოლაიდისი 46), მარკოსი, მალადენისი (კონსტანტინიდისი 38), ბიეკოვიჩი

**ჩემპიონთა თასი**
შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი
ათენი: 11 აგვისტო. „ნიკოს გუმასი"

**აეკ 0:0 აიკ**

აეკ: ატმაციდისი, ლაკისი, კოპიცისი (მატიასევიჩი 80), პეტრიჩი, კაპსისი, ზიკოსი, მარკოსი (მალადენისი 55), ჩირიჩი, ნიკოლაიდისი, ბიეკოვიჩი (კონსტანტინიდისი 72), სავევსკი
გაფრთხილება: კოპიცისი, კაპსისი, პეტრიჩი

**საბერძნეთის თასი**
პირველი ეტაპი. მეორე ტური
ანაიენისი. 21 აგვისტო, „სტ. კარდიცა"

**კარდიცა 1:6 აეკ**

პეტრიჩი (15), მარკოსი (24), ავტოგოლი (46), ბიეკოვიჩი (41), ჩირიჩი (78, 87)
აეკ: ატმაციდისი, ლაკისი, კასაპისი, კაპსისი (მატიასევიჩი 29), პეტრიჩი, ზიკოსი, ჩირიჩი, სავევსკი (გრეტარსონი 65), მარკოსი, მალადენისი, მიეკოვიჩი (პასიოსი 65)
გაფრთხილება: ზიკოსი, ლაკისი

**ჩემპიონთა თასი**
შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი
სტოკჰოლმი. 25 აგვისტო. „რასუნდა"

**აიკ 1:0 აეკ**

აეკ: ატმაციდისი, ლაკისი, კასაპისი, პეტრიჩი, დელასი, ზიკოსი, მარკოსი (მატიასევიჩი 76), ჩირიჩი, ნიკოლაიდისი, მალადენისი, სავევსკი (კონსტანტინიდისი 65)
გაფრთხილება: ჩირიჩი

**საბერძნეთის თასი**
პირველი ეტაპი. მესამე ტური
ათენი. 30 აგვისტო „ნიკოს გუმასი"

**აეკ 3:0 ათინაიკოსი**

ნიკოლაიდისი (5, 30) კონსტანტინიდისი (59)
აეკ: ატმაციდისი, კოპიცისი, დელასი (კალიცაკისი ??), პეტრიჩი (კოსტენოღლუ ??), კასაპისი, მარკოსი, ზიკოსი, ჩირიჩი, სავევსკი (გრეტარსონი ??), ნიკოლაიდისი, კონსტანტინიდისი

**ამხანაგური მატჩი**
ათენი. 2 სექტემბერი. „ნიკოს გუმასი"

**აეკ 3:2 კალიტეა**

აეკ: მიხალიდისი, კაცავოსი (კავაზისი 67), პეტრიჩი (კალიცაკისი 46), კაპსისი (პლატაკისი 67), დელასი, გრეტარსონი, პასიოსი, მარკოსი (მილოვანოვიჩი 46), კოპიცისი, კოსტენოღლუ, მალადენისი

**ამხანაგური მატჩი**
ათენი. 12 სექტემბერი. „ნეა სმირნი"

**პანიონიოსი 1:2 აეკ**

ნიკოლაიდისი (35, 40)
აეკ: მიხაილიდისი, კაპსისი (დელასი 29), პეტრიჩი, კასაპისი, ზიკოსი, მარკოსი, მალადენისი, სავევსკი (კონსტანტინიდისი 46), ლაკიცისი (კოპისი 46), ბიეკოვიჩი, ნიკოლაიდისი

# ერიდეთ ხილის წვენს 2006-ში

## სამარანჩს რა ენაღვლება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი მხარს უჭერს სამხრეთ აფრიკის ბრძოლას 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის. მოგეხსენებათ, ეს ქვეყანა ამ დღეებში სრულიად აფრიკის თამაშებს მასპინძლობს. 50 ქვეყნის 6 ათასი სპორტსმენისა და დანარჩენ სტუმართა მასპინძლობას სამხრეთაფრიკელებმა, როგორც ჩანს, წარმატებით გაართვეს თავი და ამიტომაც შეაშველა მათ იოჰანესბურგს ჩასულმა სამარანჩმა სიტყვა.

„ვგონებ, ნათლად გამოჩნდა, რომ თქვენ ძალიან მნიშვნელოვანი, დიდი შეჯიბრებების მოწყობა შეგიძლიათ" — მიმართა მათ სოკ-ის პრეზიდენტმა — „აფრიკული თამაშების წარმატება მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობის მოვლენა გახლავთ".

აფრიკულმა თამაშებმა 2006 წლის ჩემპიონატის მაძიებლებს მართლაც სულზე მიუსწრო. ქვეყანას სწორედ ახლა სჭირდებოდა საყოველთაო რეკლამა. ყველას უნდა ენახა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას დიდ შეჯიბრებათა გამართვა ხელეწიფება — ფიფა ხომ გაისად ივნისში ამოარჩევს ინგლისს, გერმანიას, ბრაზილიას, მაროკოსა და სამხრეთ აფრიკის შორის ერთს.



ხუან ანტონიო სამარანჩი

მოგეხსენებათ, მსოფლიო ფეხბურთის თავკაცის, ზეპ ბლატერის პოზიციაც. მას მრავალჯერ უთქვამს, რომ აფრიკას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის არასდროს უმასპინძლია და ამიტომ, ლოგიკის თანახმად, ამ კონტინენტის ჯერია.

გარდა ამისა, არსებობს პოლიტიკური მოტივიც: აპარტეიდის რეჟიმის დამხობა, რაც შესაძლებელია, ნაკლებად გაცხადებული, მაგრამ მნიშვნელოვანი არგუმენტია. რაგინდ ხშირად იმეორონ ჩინოვნიკებმა, რომ სპორტი და პოლიტიკა დაუკავშირებელი ცნებებია, აპარტეიდის დამმხობი ქვეყნის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატით დაჯილდოება ერთობ ბუნებრივი იქნება.

რა სჭირდება მსხვილი სპორტული მოვლენის მასპინძლობას? ესაა აკრედიტაციების გაცემა, გრაფიკის მიხედვით აწყობილი ტრანსპორტირება, გახსნის ცერემონიალის მომზადება, კვების უსაფრთხოების გარანტია...

„პრობლემათა ჩამონათვალი ჩვენთან დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მცირდება" — სიამაყით განაცხადა აფრიკული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მაობი ტიამზაშემ.

და მაინც, სამხრეთ აფრიკელები ერთ უსიამოვნო ინციდენტს ვერ გაექცნენ: როგორც ირკვევა, ხილის წვენმა 600 ბავშვი მოწამლა.

თამაშების პრესატაშემ, დუმილე მატეზამ განაცხადა: „სპეციალისტებმა მითხრეს, რომ მოწამვლა სავარაუდოდ წვენმა გამოიწვია".

მოწამლულ ბავშვებს მუცლის ტკივილმა, გულის რევამ და მაღალმა სიცხემ დარია ხელი. ისინი იოჰანესბურგის საავადმყოფოებში დააწვინეს. გაირკვა, რომ მოწამვლამდე მათ შემწვარი ქათამი და ხორცის კონსერვიც უჭამიათ.

ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ ლაბორატორიებში მალე ყველაფერს გაარკვევენ და ბავშვთა მოწამვლის მიზეზიც ოფიციალურად გაცხადდება.



1997 წლის ზაფხული. ვლადიმერ გუცაევი (მარცხნივ) და რუდი ფიოლერი ეროვნულ სტადიონზე

# რუდი ფიოლერი ელჩად დაინიშნა

რუდი ფიოლერი, გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გერმანიაში ჩატარების მომხრეთა ორგანიზაციის ერთ-ერთ ელჩად დაინიშნა. ქვეყნის ფეხბურთის კავშირის გადაწყვეტილებით, ფიოლერი ეცდება, სამშობლოს რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი მიუპოვოს.

— რუდი ფიოლერი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. იგი წლების განმავლობაში მსოფლიოს ფეხბურთის ვარსვლავი გახლდათ და ვფიქრობ, მისი დახმარება ·გერმანიის ფეხბურთის კავშირს ერთობ სჭირდება. გერმანიამ აუცილებლად უნდა მოიპოვოს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება და თუ ასე მოხდა, მაშინ ფიოლერის წვლილი უდიდესი იქნება — აცხადებს არანაკლებ ცნობილი და· სახელოვანი ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც ზემოხსენებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახლავთ.

გერმანიის ნაკრებში ოთხმოცდაათჯერ ნათამაშევი რუდი ფიოლერი მეოთხე ფეხბურთელია, რომელიც გერმანიის კანდიდატურის მხარდამჭერთა ორგანიზაციაში ელჩად დაინიშნა. მანამდე ამ თანამდებობაზე აირჩიეს ფიოლერის თანაგუნდელი იურგენ კლინსმანი, ევროპის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი, მიუნხენის „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი კარლ ჰანც რუმენიგე და წარსულში დიდად ცნობილი გიუნტერ ნეტცერი.

2006 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად ინგლისსა და გერმანიას შორის ძალიან დაძაბული ბრძოლაა, თუმცა მათ მეტოქეობას კიდევ სამი ქვეყანა უწევთ — ბრაზილია, მაროკო და სამხრეთ აფრიკა. ფიფა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძელს მომავალი წლის ივლისში დაასახელებს.

ჩვენს მხრივ შეგახსენებთ, რომ რუდი ფიოლერი 1997 წლის ზაფხულში თბილისსაც სტუმრობდა. მაშინ იგი ლევერკუზენის „ბაიერთან" ერთად ეწვია საქართველოს დედაქალაქს.

**ირაკლი ილაშვილი**

# კაპიტანის დაბრუნება

გერმანიის 1998 წლის ჩემპიონ „კაიზერსლაუტერნის" კაპიტანი ჩირიაკო სფორცა, რომელიც კლუბის მწვრთნელ ოტო რეჰეგალთან შეკამათების გამო კლუბიდან წავიდა, სავარაუდოდ, გუნდს დაუბრუნდება.

ხუთშაბათს, უეფას თასის გათამაშების პირველ წრეში, კაიზერსლაუტერნელები შოტლანდიურ „კილმარნოკს" ხვდებიან. გერმანული კლუბის წარმომადგენელთა თქმით, მწვრთნელი და ფეხბურთელი შერიგებულან და საერთო მიზნის მისაღწევად კვლავინდებურად ერთად იბრძოლებენ.

— ოტო რეჰაგელი და ჩირიაკო სფორცა ერთმანეთს კლუბის თავმჯდომარის, იურგენ ფრიდრიხის თანდასწრებით შეხვდნენ. თუ რის შესახებ ისაუბრეს მათ, ამის თქმა შეუძლებელია, თუმცა ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ შეხვედრით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა — განაცხადა „კაიზერსლაუტერნის" ერთ-ერთმა დირექტორმა გერჰარდ ჰერცოგმა.

კონფლიქტი ჩირიაკო სფორცასა და ოტო რეჰაგელს შორის, მას შემდეგ მოხდა, რაც ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში შვეიცარიელმა ფეხბურთელმა რეჰაგელს ტაქტიკა და მისთანები არ მოუწონა. გერჰარდ ჰერცოგისავე თქმით მართალია, ფეხბურთელი და მწვრთნელი შერიგდნენ, მაგრამ ითამაშებს თუ არა სფორცა უეფას თასის პირველ მატჩს, ეს კვლავინდებურად რეჰაგელის კომპეტენციაში შედის.

ბუნდესლიგის ბოლო ტურში უკაპიტნოდ მოთამაშე „კაიზერსლაუტერნი" ვერდერის „ბრემენთან" 0:5 დამარცხდა.

**ქოტე ვაიტაძე**

# მერვედფინალი უემბლიზე



არგენტინა ინგლისის დაპირისპირება გასული მსოფლიოს ჩემპიონატის მშვენება იყო

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ხორხე ვილავერდემ განაცხადა, რომ ინგლისელ კოლეგებთან მოლაპარაკებები ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე წარმატებით დასრულდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისი არგენტინას უმასპინძლებს. შეხვედრა 23 თებერვლისთვისაა დაგეგმილი და ცხადია, იგი „უემბლიზე" ჩატარდება.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით, ეს მატჩი ერთ-ერთი უკანასკნელი იქნება, რომელიც „უემბლიზე" გაიმართება. შეგახსენებთ, რომ გაისად მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სტადიონზე სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყება.

ინგლის-არგენტინის დაპირისპირებას 2000 წლის 23 თებერვლისთვის შესაძლოა სულ სხვა დატვირთვა ჰქონდეს, ვიდრე ახლა. თუ ალბიონელები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებენ, მაშინ ამხანაგურ მატჩს კონტინენტის პირველობისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ, ხოლო თუ ინგლისი ბელგია-ჰოლანდიის საგზურს ვერ დაეუფლება, მაშინ სწორედ არგენტინელებთან შეხვედრით დაიწყება იმ გუნდის შექმნა, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად რომ იბრძოლებს.

ოქტომბრამდე ინგლისელები ამხანაგურ მატჩში ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ მასპინძელ ბელგიას შეხვდებიან. შეხვედრა სანდერლენდში გაიმართება. ინგლისი ბელგიას ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფებამდე დაუპირისპირდება. მაშინ უკვე გარკვეული იქნება ინგლისელთა ბედი. შეგახსენებთ, რომ ინგლისელებს ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ერთი რამ სჭირდებათ — შვედეთმა ჯგუფის ბოლო მატჩში პოლონეთს აუცილებლად უნდა მოუგოს.

რაც შეეხება არგენტინასთან ამხანაგურ მატჩს, ინგლისელები მას მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის მერვედფინალის გაგრძელებად მიიჩნევენ — 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში, საფრანგეთში, თასისთვის ბრძოლას ინგლისი სწორედ არგენტინამ გამოთიშა. ის შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა, ხოლო პენალტების სერიაში არგენტინელებმა მოიგეს.

**ქოტე ვაიტაძე**

# გადადგნენ

ინგლისის პრემიერლიგის კლუბის „ლესტერის“ ორი დირექტორი თანამდებობიდან გადადგა.

სერ როდნი უოლკერმა, „ლესტერის“ ერთ-ერთი სპონსორის თავმჯდომარემ და ჯონი ელსონმა კლუბის მეპატრონეთა შეხვედრის დროს სხდომა დატოვეს.

ბრიტანული პრესის ცნობით, კლუბის ხელმძღვანელთა შორის დიდი განხეთქილება მოხდა, თუმცა უთანხმოების მიზეზი უცნობია. კონფლიქტის მიზეზის დასახელებისგან ახლა უკვე ექსდირექტორებიც თავს იკავებენ:

— კლუბს ხელმძღვანელობს ხალხი, რომლებმაც არ იციან, რა როგორ აკეთონ. ვთავაზობდით ათასგვარ სარგებლიან ვარიანტს, მაგრამ თითქოს ყველამ პირი შეკრა და ჩვენს წინააღმდეგ გაილაშქრა. ახლა თავის საქმეს თავად მიხედონ. ვფიქრობ, ძალიან გაუჭირდებათ — განაცხადა სერ როდნი უოლკერმა. მისივე თქმით, არაა გამორიცხული, „ლესტერში“ კრიზისი დაიწყოს.

ინგლისის ჩემპიონატის შვიდი ტურის შემდეგ „ლესტერი“ მეთერთმეტე ადგილზეა. კლუბმა შვიდი თამაშიდან მხოლოდ სამის მოგება შეძლო, ხოლო ბოლო ტურში „სანდერლენდთან“ დამარცხდა — 0:2.

# რეიტინგი

საინფორმაციო სააგენტო „როიტერმა“ გუშინ ევროპის კლუბების რეიტინგი გამოაქვეყნა.

„როიტერის“ რეიტინგი საკმაოდ ავტორიტეტულია და აქედან გამომდინარე, მისი გაცნობა, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება.

რეიტინგში ჩასათვლელი ქულები კლუბებს ამხანაგური შეხვედრების გარდა ყველა მატჩზე მიეცემათ, შინაური ჩემპიონატი იქნება ეს, ქვეყნის თასის გათამაშება თუ ევროტურნირები.

დღესდღეობით სათავეში გერმანიის ჩემპიონატის ახალგამომცხვარი ლიდერი „ჰამბურგია“. გერმანელთა საკმაოდ დამაჯერებლი პირველობა „როიტერის“ რეიტინგში იმანაც განაპირობა, რომ ბუნდესლიგას ბოლო ტურში „ჰამბურგმა“ ბერლინის „ჰერტა“ 5:1 გაანადგურა. ცნობისთვის გეტყვით, რომ წინა კვირის რეიტინგში ჩემპიონთა თასის 1983 წლის მფლობელი „ჰამბურგი“ მხოლოდ და მხოლოდ მეათე იყო.

მეორე ადგილზე აღზევდა „ბარსელონა“, რომელიც მეოთხე გახლდათ, ხოლო წინა კვირის ლიდერი, რომის „ლაციო“ მეხუთემდე დაეშვა. ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელმაც პრემიერლიგაში ბოლო ექვსი მატჩი მოიგო, მართალია მესამეა, მაგრამ არაა გამორიცხული, უკვე მომავალ კვირას რეიტინგში ლიდერადაც მოგვევლინოს.

ევროპის ყველაზე სუსტ კლუბებს რაც შეეხებათ, რეიტინგის უკანასკნელი, 473-ე საფეხური შოტლანდიურ „აბერდინს“ უჭირავს. მისი ქულათა რაოდენობა ზუსტად ნულია.

1. ჰამბურგი .......... 102,5
2. ბარსელონა .......... 98,4
3. მანჩესტერი .......... 92,1
4. ბრიუგე .......... 91,9
5. ლაციო .......... 90,9
6. რეინჯერსი .......... 90,8
7. მილანი .......... 87,7
8. ლევერკუზენი .......... 87,1
9. ჩელსი .......... 85,7
10. მარიბორი .......... 85,5
11. დეპორტივო .......... 85,1
12. ინტერი .......... 84,5
13. რეალი .......... 84,2
14. ვესტ ჰემი .......... 83,5
15. ეინდჰოვენი .......... 83,4
16. დინამო ბუქარესტი .. 82,9
17. ტიროლი .......... 82,5
18. უდინეზე .......... 82,4
19. სელტიკი .......... 80,9
20. ფიორენტინა .......... 80,5

# ბარსელონადან რომში

იტალიის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „რომა“ ესპანელი ვარსკვლავის ლუის ენრიკეს შეძენას ცდილობს. აპენინელებმა ამის თაობაზე გუშინ შუადღისას განაცხადეს.

ახალი ამბავი აღარაა, რომ ესპანელ ნახევარმცველზე გაჰოლანდიურებული „ბარსელონა“ უარს ამბობს. კატალონიური კლუბის მწვრთნელმა, ასევე ჰოლანდიელმა ლუის ვან გაალმა პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში, შინ „ესპანიოლთან“ 3:0 მოგებული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, არაა გამორიცხული, ლუის ენრიკემ „ბარსელონა“ დატოვოსო. ამ განცხადებამ ესპანეთის ჩემპიონთა ქომაგები სწორედ რომ დაზაფრა.

თავდაპირველად ვან გაალის ნათქვამი ლუის ენრიკეს თაობაზე ნაჩქარევ გადაწყვეტილებად მიიღეს, თუმცა როცა მეორე დღესვე გამოჩნდნენ ფეხბურთელის მსურველი კლუბები და თან სერიოზული დაინტერესებაც გამოთქვეს, მიხვდნენ, რომ კატალონიელთა ხელმძღვანელობას ბოლო წლების ალბათ საუკეთესო ესპანელი ფეხბურთელის გასხვისება სერიოზულად გადაეწყვიტა. ამას ისიც დაერთო, რომ „ბარსელონას“ მწვრთნელმა ლუის ენრიკე ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის შვედეთში თან არ იახლა.

— თუ წინადადება შესაფერისი იყო, ჩვენ ლუის ენრიკეს გავუშვებთ. მისთვის ასე აჯობებს. მთავარია, მისმა მსურველმა გუნდმა გადაიხადოს ის თანხა, რომელსაც „ბარსელონა“ ითხოვს. ესაა და ეს — აცხადებს ხაიმე ხოსე კოტორო, კატალონიური კლუბის წარმომადგენელი.



ლუის ენრიკე ესპანელი გულშემატკივრების კერპია

„ბარსელონა“ ესპანელი ფეხბურთელების სანაცვლოდ ცხრა მილიონ გირვანქას ითხოვს. იტალიელები ამ განცხადებას დიდი პროტესტით არ შეხვედრიან, თუმცა ამდენი გადახდა რომ არ ეპიტნავებათ, ესეც ცხადია. ეტყობა, დედაქალაქელთა სურვილი, თავისთან იხილონ ლუის ენრიკე, მართლაც ძალიან დიდია — ფაბიო კაპელო კლუბის ნახევარდაცვის თამაშით უკმაყოფილოა და შუა ხაზის გაძლიერება სურს. შეგახსენებთ, რომ „რომა“ ბოლო ხანებში ძალიან ცდილობდა, ლევერკუზენის „ბაიერიდან“ ბრაზილიელი ემერსონი შეეძინა, მაგრამ გერმანელებმა იგი არ დათმეს. ახლა „რომამ“ ლუის ენრიკეს დაადგა თვალი.

— იტალიის ჩემპიონატი წლეულს ისეთი დაძაბული იქნება, როგორც არასდროს. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ წარმატების მიღწევა გვსურს, ძლიერი გუნდი უნდა შევქმნათ. ძალას არ დავიშურებთ, რათა „რომა“ გაძლიერდეს და სუსტი წერტილები აღმოიფხვრას — განუცხადა კარლო ჯორჯამ „გაძეტა დელო სპორტს“.

ამავე გაზეთის ცნობით, თუ „ბარსელონა“ „რომას“ ვერ მოურიგდა ლუის ენრიკეს თაობაზე, არაა გამორიცხული, ესპანელმა მეორე იტალიური კლუბის, „მილანის“ მაისურა მოირგოს. როგორც ამბობენ, იტალიის ჩემპიონებს ახალი მოთამაშეების შესაძენად 30 მილიონი დოლარი გამოუყვიათ.

**ირაკლი ილაშვილი**

# ერთწლიანი შესვენების შემდეგ

ესპანელების აზრით, 2000 წელს ევროპის ჩემპიონები სწორედ ისინი გახდებიან. მათი იმედები შესარჩევ ტურნირში ბოლო დროს მოპოვებულ უდიდეს წარმატებებს ემყარება. შეგახსენებთ, რომ ესპანელებმა ახალი მწვრთნელის, ხოსე ანტონიო კამაჩოს ხელმძღვანელობით ბოლო ხუთი შესარჩევი შეხვედრა მოიგეს და თან მეტოქეებს პირწმინდად აჯობეს — ავსტრიას ორჯერ მოუგეს — შინ 9:0 და სტუმრად 3:1, სან მარინო მიწასთან გაასწორეს 9:0 და 6:0, ხოლო ბოლო მატჩში კვიპროსელებს 8:0 სძლიეს და შარშანდელი მარცხისთვის რევანში აიღეს.

დღესდღეობით ესპანეთი უკვე ევროპის ჩემპიონატის მონაწილეა, თან რაც დრო გადის, მათთვის გულისგასახარი ინფორმაციები სულ უფრო ხშირია. ასე მაგალითად, მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ კლუბის უპირველესი, მაგრამ დროებით ტრავმირებული თავდამსხმელი კიკო ნარვაესი მომჯობინდა და უახლოეს ხანებში ვარჯიშსაც განაახლებს. ცნობისთვის: კიკო ნარვაესი ესპანეთის ნაკრების ფორვარდიცაა.

— ფეხბურთელმა ინტენსიური მკურნალობის კურსი უკვე დაამთავრა და ახლა მსუბუქად ვარჯიშობს. დატვირთვები ჯერ ადრეა, თუმცაღა მალე კიკო უფრო სერიოზულად შეუდგება ვარჯიშს — აცხადებს მადრიდელთა წარმომადგენელი ხაიმე ხოსე ლოპეტი.

1998 წლის ნოემბერში, როცა პრიმერა დივიზიონის მატჩში კიკოს „ატლეტიკო“ „ბარსელონას“ ეთამაშებოდა, თავდამსხმელი უმძიმესად დაშავდა — კოჭის მყესები გაიწყვიტა. მას შემდეგ იგი მწვანე მინდორს ვერა და ვერ დაუბრუნდა. მისი არყოფნა კლუბსაც დაეტყო — მადრიდელებს მთელი სეზონის განმავლობაში აკლდათ ძლიერი თავდამსხმელი.

გაზეთ „მარკას“ ცნობით, კიკო ნარვაესი „ატლეტიკოს“ შუაგულ ოქტომბერში დაუბრუნდება. 27 წლის ფეხბურთელს, რომელსაც ესპანეთის ნაკრების ღირსება ოცდახუთჯერ დაუცავს, ფეხბურთი ძალიან მონატრებია.

**ირაკლი ილაშვილი**



გახარებულ ესპანელთა შორის მალე შესაძლოა კიკო ნარვაესიც ვიხილოთ





ივანო ფრაიცოლი

# მეთექვსმეტის გარდაცვალება

მილანის „ინტერი“ საზოგადოებრიობას კლუბის მეთექვსმეტე პრეზიდენტის, ივანო ფრაიცოლის გარდაცვალებას აუწყებს. ფრაიცოლი „ინტერის“ ოფისის თავკაცად 1968 წელს დანიშნეს. ლეგენდარული წინამორბედის, ანჯელო მორატის — დღევანდელი პრეზიდენტის, მასიმო მორატის მამის — მემკვიდრეობა იოლი საქმე არ გახლდათ, „ილ გრანდე ინტერისგან“ მხოლოდ დიდ წარმატებებს მოითხოვდნენ.

მემკვიდრემ იმედი გაამართლა. იგი 1984 წლამდე უძღვებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბის საქმეს. მისი მმართველობის დროს „შავ-ლურჯებმა“ 1971 და 1980 წლებში, იტალიის ჩემპიონის ტიტული ანუ სკუდეტო, ხოლო 1978 და 1982 წლებში ქვეყნის თასი მოიპოვეს.

ფრაიცოლის უშუალო მეცადინეობით სახელი გაითქვეს ფეხბურთელებმა, ივანო ბორდონმა („ინტერის“ მეკარეთა მწვრთნელია) და ლელე ორეალიმ (დღეს „ინტერის“ მენეჯერი გახლავთ). მისი პრეზიდენტობის ხანაში ამობრწყინდნენ ბერგომი, ფერი, ბონისენია, ალტობელი, ბეკალოზი, ბინი, ბელუჯი და მარინი.

პრეზიდენტობა პრეზიდენტობად და ფრაიცოლი უბრალოდ „ინტერის“ მარადი და თავგადაკლული ქომაგი გახლდათ. კლუბის ისტორიაში ბევრი ვერ დაიკვეხნის მის 68-წლიან უწყვეტ წევრობას. ამის დასადასტურებლად იგი ხშირად აჩვენებდა სტუმრებს საბუთს, რომელიც 1931 წელს გახლდათ გაცემული.

## დანია

VII ტური. ორჰუსი – ოდენსე 3:3; ვიბორგი – ბრონდბიუ 2:0; კოპენჰაგენი – ვაილე 1:0; აკადემისკი – სილკებორგი 1:1; ოლბორგი – ლიუნგბიუ 0:2; ჰერფიოლგე – ესბიერგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემისკი | 7 | 5 | 2 | 0 | 11:1 | 17 |
| ჰერფიოლგე | 7 | 4 | 3 | 0 | 12:6 | 15 |
| ვიბორგი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| ბრონდბიუ | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 |
| ოლბორგი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 13 |
| სილკებორგი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:4 | 11 |
| ლიუნგბიუ | 7 | 3 | 0 | 4 | 9:9 | 9 |
| კოპენჰაგენი | 7 | 2 | 1 | 4 | 3:6 | 7 |
| ორჰუსი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:9 | 6 |
| ესბიერგი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:16 | 4 |
| ოდენსე | 7 | 0 | 3 | 4 | 6:13 | 3 |
| ვაილე | 7 | 0 | 3 | 4 | 4:14 | 3 |

## ნორვეგია

XXII ტური. ბრანი – რუსენბორგი 2:1; სტრიომსგოდსეტი – სტაბეკი 4:3; ბოდიო გლიმტი – მოსი 4:0; კონგსვინგერი – ლილესტრიომი 1:1; მოლდე – ვიკინგი 3:4; ტრომსიო – სკეიდი 8:2; ვოლერენგა – ოდ გრენლანდი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 22 | 16 | 2 | 4 | 62:23 | 50 |
| ბრანი | 22 | 15 | 1 | 6 | 41:32 | 46 |
| ლილესტრიომი | 22 | 13 | 3 | 6 | 52:34 | 42 |
| მოლდე | 22 | 13 | 2 | 7 | 43:33 | 41 |
| ტრომსიო | 22 | 10 | 4 | 8 | 55:39 | 34 |
| სტაბეკი | 22 | 10 | 4 | 8 | 46:43 | 34 |
| ვიკინგი | 22 | 10 | 3 | 9 | 43:39 | 33 |
| ოდ გრენლანდი | 22 | 10 | 2 | 10 | 32:41 | 32 |
| ბოდიო გლიმტი | 22 | 9 | 4 | 9 | 46:44 | 31 |
| მოსი | 22 | 7 | 2 | 13 | 33:42 | 23 |
| სტრიომსგოდსეტი | 22 | 7 | 2 | 13 | 37:51 | 23 |
| ვოლერენგა | 22 | 6 | 3 | 13 | 33:48 | 21 |
| კონგსვინგერი | 22 | 5 | 2 | 15 | 29:50 | 17 |
| სკეიდი | 22 | 5 | 2 | 15 | 28:61 | 17 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თურქეთი

III ტური. ბეშიქთაში — დენიზლი 1:1; სამსუნი — ადანა 2:1; ერზურუმი — ქოჯაელი 3:3; ბურსა — გაზიანთეფი 0:1; გენჩლერბირლიგი — ვანი 1:1; ფენერბაჩე — ალთაი 3:1; გიოზთეფე — ისთანბული 2:0; გალათასარაი — ანკარაგიუჯიუ 5:0; ანთალია — ტრაბზონი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჩე | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| გენჩლერბირლიგი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| გალათასარაი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| ტრაბზონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| გაზიანთეფი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ანთალია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| სამსუნი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| გიოზთეფე | 3 | 1 | 2 | 0 | 2:0 | 5 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| ალთაი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ერზურუმი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| დენიზლი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ქოჯაელი | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| ისთანბული | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| ადანა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ვანი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ანკარაგიუჯიუ | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |
| ბურსა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

## პორტუგალია

III ტური

ალვერკა 1:0 კამპომაიორენსე

1:0 მილენკოვიჩი (62წ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქილ ვისენტე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| რიუ ავე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ბენფიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ალვერკა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ბოავიშტა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| გიმარაეში | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| პორტუ | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბელენენსეში | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| სეტუბალი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| სალგეირუში | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ფარენსე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| ამადორა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| სანტა კლარა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ლეირია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| მარიტიმუ | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ბრაგა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |
| კამპომაიორენსე | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

## ავსტრია

XI ტური. აუსტრია — გრაცერი 5:2; ლუსტენაუ — ზალცბურგი 1:0; რიდი — ბრეგენცი 5:1; რაპიდი — ტიროლი 2:4; შტურმი — ლინცერი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 11 | 10 | 0 | 1 | 26:5 | 30 |
| რაპიდი | 11 | 7 | 1 | 3 | 17:11 | 22 |
| შტურმი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:9 | 19 |
| რიდი | 11 | 5 | 1 | 5 | 17:11 | 16 |
| აუსტრია | 11 | 4 | 3 | 4 | 15:14 | 15 |
| ლუსტენაუ | 11 | 4 | 2 | 5 | 12:14 | 14 |
| ზალცბურგი | 11 | 4 | 2 | 5 | 7:10 | 14 |
| გრაცერი | 11 | 4 | 1 | 6 | 15:20 | 13 |
| ბრეგენცი | 11 | 2 | 1 | 8 | 7:28 | 7 |
| ლინცერი | 11 | 1 | 3 | 7 | 7:19 | 6 |

## ლატვია

მე-20 ტური: რეზეკნე — ვალმიერა 1:3; ვენტსპილსი — დინაბურგი 1:2; რიგა — პოლიციასი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 18 | 16 | 0 | 2 | 49:9 | 48 |
| მეტალურგსი | 19 | 13 | 3 | 3 | 54:19 | 42 |
| ვენტსპილსი | 19 | 13 | 2 | 4 | 39:16 | 41 |
| დინაბურგი | 20 | 10 | 5 | 5 | 28:21 | 35 |
| ვალმიერა | 20 | 6 | 4 | 10 | 23:31 | 22 |
| რიგა | 20 | 5 | 3 | 12 | 22:35 | 18 |
| პოლიციასი | 20 | 3 | 5 | 12 | 16:52 | 14 |
| რეზეკნე | 20 | 0 | 2 | 18 | 8:55 | 2 |

## სლოვენია

მე-6 ტური: მურსკა სობოტა — ცელიე 1:3; დრავოგრადი — ოლიმპია 0:4; აიდოვშინა — ბელტინჩი 2:2; დომზალე — რუსე 2:1; მარიბორი — ნოვა გორიცა 4:0; ველენიე — პრევალიე 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 6 | 6 | 0 | 0 | 23:4 | 18 |
| ოლიმპია | 6 | 4 | 0 | 2 | 16:5 | 12 |
| ველენიე | 6 | 3 | 1 | 2 | 11:9 | 10 |
| დრავოგრადი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:9 | 10 |
| აიდოვშინა | 6 | 2 | 3 | 1 | 11:7 | 9 |
| მურსკა სობოტა | 6 | 3 | 0 | 3 | 8:6 | 9 |
| ცელიე | 6 | 1 | 4 | 1 | 8:9 | 7 |
| დომზალე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:15 | 7 |
| ნოვა გორიცა | 6 | 1 | 3 | 2 | 6:1 | 6 |
| პრევალიე | 6 | 0 | 4 | 2 | 10:13 | 4 |
| ბელტინჩი | 6 | 0 | 3 | 3 | 2:11 | 3 |
| რუსე | 6 | 0 | 2 | 4 | 3:14 | 2 |

# ბოლოს და ბოლოს სერ ალექსი ადამიანია?

*ვისთვის რაა ფეხბურთი. ზოგისთვის სისულელეა, ზოგისთვის ანგარიში ტოტალიზატორში მოგებული ან წაგებული ფულის დასათვლელად. ზოგისთვის სანახაობა, ზოგსაც უყვარს და მორჩა, არ უფიქრია რატომ. ინგლისელი მესვეტე დენი კელი ფეხბურთს სულ სხვა კუთხით გვიჩვენებს. მისთვის იგი ცხოვრებაა, ამ სიტყვის ფართო, ცოდვა-მადლის გაგებით. ამჯერად კელი „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარეთა ყიდვის ამბავს ეხება.*




მარკ ბოსნიჩი



ალექს ფერგიუსონი

დღეს იმის რწმენა, რომ სერ აქელს ფერგიუსონი ადამიანი კი არა, ნამდვილი სატანაა, სრულიად ნორმალური გახლავთ. თუნდაც მისი ხაზგასმით წითელი სახე გვახსენებს ელ დიაბლოს პორტრეტებს. და დართ მოული „ვარსკვლავთ ომების" ახალი ფილმიდან? გარდა ამისა, ვერავინ უარყოფს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" ერისთვის (ინგლისისთვის) ასე სამულველ გუნდად მეტწილად სწორედ ალექსის თვისებებმა აქცია. განსაკუთრებით დიდი როლი მისმა მლიქვნელურმა „არავის ვუყვარვართ"-მა ითამაშა. ალექს, თუ არავის უყვარხართ, რად გინდა სტადიონი, რომელიც კარიბის კუნძულების მოსახლეობას თითქმის მთლიანად დაიტევს ან რატომ ხართ დილით, შუადღისას და საღამოს ტელეეკრანზე?

მაგრამ „იუნაიტედის" მეკარეთა გარშემო ბოლო ორ-სამ კვირაში დატრიალებულმა ამბებმა გამიჩინა ეჭვი, რომ მისი საფუძვლიანად შესწავლილი უსიამოვნო თვისებების მიუხედავად ფერგიუსონი, შესაძლოა, ადამიანი იყოს. მან დაამტკიცა თუ ხელახლა დაამტკიცა, რომ ძალიან მოხერხებული მზარეულია და სხვაში ვერასდროს აგერევათ.

ისტორია ასეთია — ყოველ შემთხვევაში, მე ვხედავ ასე:

1989 წელს „იუნაიტედმა" „სიდნეი კროაციასგან" შეიძინა ახალგაზრდა, ნიჭიერი მეკარე, ავსტრალიელი ყმაწვილი სახელად მარკ ბოსნიჩი. ამ ამბავმა ალექს ფერგიუსონი ძალიან გაახარა. ორი წლის მერე კი, საწუხაროდ, „იუნაიტედი" იძულებული შეიქნა თავისი მამლაყინწა გოლკიპერი სამშობლოში დაებრუნებინა, რადგან მას შრომის უფლების ფურცელი აღარ მისცეს.

ცოტა ხანში იგი დაბრუნდა, რადგან ინგლისელ მეგობარ გოგონასთან იქორწინა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ „იუნაიტედში" მისულიყო — პირველი კონტრაქტის უფლება სწორედ ამ კლუბს ჰქონდა — „ასტონ ვილასთან" დადო ხელშეკრულება. „ვილა პარკზე" იგი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ და თავისი ნაკრების სეზონურ წევრად იქცა. ახოვანი, ნიჭიერი და სასიამოვნო გარეგნობის მარკი ყოველმხრივ წარმატებულ, თანამედროვე ფეხბურთელად ჩამოყალიბდა.

მაგრამ იქ, სადღაც, „ოლდ ტრეფორდის" სიღრმეში ფერგი ბრაზობდა. ავსტრალიელმა მას გზა გადაუკვეთა. მის ძლევამოსილ „მანჩესტერ იუნაიტედს" ზურგი აქცია. ამას იგი ვერ დაივიწყებდა და ვერც აპატიებდა...

გამოხდა წლები, „მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისური ფეხბურთის აშკარა მეფე გახდა, ხოლო მისი სახელგანთქმული და მითოლოგიური მეკარე პიტერ შმაიხელი სხვაგან წავიდა, რადგან, ჩემი აზრით, მისი ცხვირის წვერის მარადიული დუღილის შესანარჩუნებლად მანკუნიანურ მცხუნვარე მზესთან განშორება სჭირდებოდა. ამასობაში სიცოცხლით სავსე ბოსნიჩს ბოსმანური ტრანსფერის შესაძლებლობამ უწია.

ფერგიუსონმა რვაწლიანი ლოდინის მერე შანსი იყონსა. მან ფართო ღიმილით დაუდო კონტრაქტი და „ოლდ ტრეფორდზე" დააბრუნა ავსტრალიელი, რომელიც ვერაფერს ეჭვობდა. ო, როგორი კმაყოფილებით იცინოდა იგი, როგორ კოხტაობდა. მან დიდ სერ ფერგის ჭკუაში აჯობა და ნომერ პირველი კლუბის ნომერი პირველი მეკარე გახდა.

თუმცა ბოსნიჩის ახდენილი ოცნება მალე ნამდვილ კოშმარს დაემსგავსა. სერ ალექსმა ყოველგვარი სევდის გარეშე, სულ რაღაც სამ კვირაში 4,4 მილიონი გირვანქა გადაიხადა გოლიათ იტალიელში, რომელსაც მასიმო ტაიბი ჰქვია. ხანგრძლივი ევროპული კამპანიის დროს თავის დაზღვევა მჭირდებაო, გამოსცრა გაღიმებულმა მწვრთნელმა.

ნებისმიერისთვის, ვისაც გონება უჭრის და ორი ფაქტის დაკავშირება შეუძლია, აშკარაა, ბოსნიჩი ძველმანებში ჩაუძახეს. ეს კი გახლავთ სახეწითელა შოტლანდიელისგან დასხლტომისა და იმ კლუბის უარყოფისთვის მიღებული სასჯელი, რომელიც მას მთელი ამ წლების განმავლობაში უყვარდა — ბოსნიჩი „მანჩესტერ იუნაიტედის" სათადარიგო მეკარეა და ასეთად დარჩება, სანამ სერ ფერგი სხვანაირად გადაწყვეტს.

ვაშა! ესეც საბუთი იმისა, რომ ყინულისსისხლიანი სუპერმენისგან განსხვავებით ალექს ფერგიუსონს წყენისადმი, გატეხვისა და ტკენისადმი მიდრეკილი ადამიანის გული აქვს. ისეთივე, როგორც ჩვენ, დანარჩენებს, რაც მის სასარგებლოდ მეტყველებს.

რაც შეეხება ბოსნიჩის გასაბმელად შედგენილ ბნელ გეგმას, იგი გენიალური გონების დამადასტურებელია და ილუსტრაციაა იმისა, როგორ შეუძლიათ დიდ კლუბებს, ბატონობის შესანარჩუნებლად ბოსმანის წესის გამოყენება.

როდესაც ალექს ფერგიუსონს მსხვერპლით გართობა მობეზრდება, გაყიდის და დღევანდელი ტარიფებით 5-6 მილიონ გირვანქას მიიღებს. და რას კარგავს „მანჩესტერ იუნაიტედი"? ორიოდ თვის ხელფასს, მეტს არაფერს.

ზუსტად იგივე გეგმაა, მადრიდის „რეალმა" სტივ მაკმანამანისთვის რომ შეადგინა: მუქთად აიყვანა, ამუშავებს და თუ გამოადგება, დიდებულია, თუ არა და 7-8 მილიონად გაყიდის. რამდენიმე წელიწადში ისინი ასობით მილიონ დოლარს იშოვნიან.

ალექს ფერგიუსონმა ყველაფერი საფუძვლიანად გათვალა. ერთი უმაღლესი დონის მეკარის ფასად ორი იყიდა. მას ვინც ოდესღაც აწყენინა, შეურაცხყოფა მიაყენა და „მანჩესტერ იუნაიტედი" სარფიან საქმეში ჩააბა — ის მოტირალ, უმწეო ბოსნიჩს გაყიდის.

ამიტომაც ვამბობ: ქუდი მოვიხაროთ ჩემპიონის, ადამიანის, გენიალური ცინიკოსის და დემონის წინაშე...

**დენი კელი**

**თარგმნა პაპუნა ბედიამ**

## ძალიან მძიმე ტრავმა




სტიუარტ პირსი

გამოცდილმა მცველმა სტიუარტ პირსმა ფეხი მოიტეხა და, ალბათ, მიმდინარე სეზონის დიდი ნაწილი გაუცდება. ფეხბურთელის კლუბის, ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის" განცხადებით, პირსის ტრავმა იმდენად მძიმეა, რომ მისთვის არათუ ფეხბურთის თამაში, სიარულიც კი აკრძალულია.

— ჯერჯერობით კომენტარებისგან თავს შევიკავებთ, მაგრამ ერთი რამის თქმა დანამდვილებით შემიძლია — სტიუარტ პირსი ჩვენს კლუბს მინიმუმ ხუთი თვით დააკლდა. შესაძლოა სარეაბილიტაციო პერიოდმა უფრო დიდხანს გასტანოს და ფეხბურთელის ეს სეზონი სულ ჩაუვარდეს — თქვა ჯორჯ მეილორმა, ლონდონური კლუბის პრეს-ატაშემ.

ინგლისელი ჟურნალისტების აზრით, არაა გამორიცხული, გამოცდილი მცველის კარიერა ამ ტრავმამ დაასრულოს. შეგახსენებთ, რომ სტიუარტ პირსი 37 წლისაა და მას „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" მხოლოდ და მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

## დათარსული



გარი ნევილი

გარი ნევილი, „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი, ორი თვით ჩამოშორდება ფეხბურთს. ალექს ფერგიუსონმა ხორვატიულ „კროაციასთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ კიდევ ერთი ფეხბურთელი მოისაკლისა.

ფეხბურთელს ხეირიანად საზარდულის ტრავმა ვერ მოეშუშებინა და კვლავ დაშავდა. ინგლისის ნაკრებში გარი ნევილი პოლონეთში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სათამაშოდ თან იახლეს. ფეხბურთელი სწორედ სანაკრებო მატჩში დაშავდა.

— მიძნელდება გარის ტრავმაზე საუბარი, მაგრამ აბა, რა ვქნა? ჯერ კიდევ საკითხავია, იგი მხოლოდ ორი თვით დაგვაკლდება, თუ უფრო დიდხანს მოვისაკლისებთ. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულები ახალ გათამაშებას მართლაც რომ დიდი პრობლემებით ვხვდებით — განაცხადა ფერგიუსონმა.

# ხველა ფრთხილადაა, ყველა იმედოვნებს

ჩემპიონთა ლიგა. I ტური

რა ხანია პირეოსის „ოლიმპიაკოსს" ნაღდი ფეხბურთი — ოფიციალური მატჩი არ უთამაშია. ბოლოს საბერძნეთის ჩემპიონმა საზაფხულო არდადეგებამდე ჩაატარა შეხვედრა, რომელიც მართლა ნიშნავდა რაღაცას და აი, დღეს პირდაპირ წისქვილის ბორბალში უწევს ჩახტომა. დღეს ეგეოსის ზღვის პორტს მადრიდის „რეალი" სტუმრობს: „ოლიმპიაკოსი" — „რეალი" ჩემპიონთა ლიგის მატჩია, თითოეული ქულა, თითოეული გოლი პირდაპირი მნიშვნელობით ძვირად ფასობს.

„ამთავითვე ღრმა წყალში გვიწევს ჩაყვინთვა. ფავორიტთან, „რეალთან" ვთამაშობთ, თუმცა მადრიდელებს თუ ჰგონიათ, რომ ათენის ოლიმპიურ სტადიონზე მსუბუქ საღამოს მოიწყობენ, დიდი სიურპრიზი ელით" — თქვა „ოლიმპიაკოსის" ერთ-ერთმა დირექტორმა.

პირეოსელთა ათენში თამაში ნუ დაგვაბნევს. ჯერ ერთი პირეოსი თითქმის ათენია, მეორე საბერძნეთში ცოტა ხნის წინ მიწისძვრა იყო და ბევრი ნაგებობა შეილახა. სამწუხაროდ იყო მსხვერპლიც — 27 ადამიანი — და სწორედ ამის გამო დააყოვნა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული პირველობის დაწყება.

„მიწისძვრით მიღებული შოკის მიუხედავად მატჩისთვის მზად ვართ. ეჭვი არ მეპარება, რომ „რეალი" ჩვენთან გაცილებით უკეთ ითამაშებს ვიდრე კვირას ბილბაოს „ატლეტიკთან" ითამაშა, მაგრამ ქვეყნად არ არსებობს გუნდი ხარვეზი რომ არ ჰქონდეს და გამონაკლისი არც „რეალია". ერთი ფაქტია, რომ სტუმრებს სივრცეებს ვერ დავუთმობთ, თორემ ნიკოლა ანელკა, რაული და სტივ მაკმანამანი აგვიკლებენ" — ბრძანა „ოლიმპიაკოსის" იუგოსლაველმა მწვრთნელმა დუშან ბაიევიჩმა.

პირეოსისა და მადრიდის ცასა და მიწასავით განსხვავებული კლასის გუნდების დაპირისპირება ლიგის E ჯგუფისა გახლავთ. ჯგუფის კიდევ ორი გუნდი ნორვეგიული „მიოლდე" და „პორტუ", იმავე დროს მიოლდეში შეებმებიან.

თბილისის „დინამოს" 1996 წლის ნაცნობმა („დინამომ" ორი თამაშის ჯამში გაიმარჯვა 1:0, 0:0), „მიოლდემ", შეიძლება მცველი, პალ ლიდერსენი ვერ ათამაშოს — ექიმები ბოლო წუთამდე ვერაფერს ამბობენ.

„პორტუს" ნამდვილად არ ეყოლება თავდამსხმელი დომინგუშ პასიენსა და ნახევარმცველი პაულინიო სანტუში, რომელმაც გზადაყრილ თანაგუნდელებს დარიგება არ დააკლო:

„აუცილებელია საუკეთესოდ ვითამაშოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიურპრიზი არ იქნება გამორიცხული".

F ჯგუფში მიუნხენის „ბაიერნი" ჰოლანდიურ „ეინდჰოვენს" (ბათუმის „დინამოს" 1997 წლის ნაცნობი 1:1, 0:3) მასპინძლობს. მოგეხსენებათ გერმანელთა და ჰოლანდიელთა მეზობლობას — ყოველ შემთხვევაში, როდესაც საქმე ფეხბურთს ეხება — ტკბილს ნამდვილად ვერ უწოდ კაცი და ამიტომაც, ამ წყვილის დაპირისპირებაში საყოველთაო გამაღიზიანებლებს კერძოც ემატება.

მიუნხენის გუნდში შესაძლოა ნამკურნალევი გოლკიპერი ოლივერ კანი დაბრუნდეს. სამაგიეროდ ჩემპიონთა თასის გასული გათამაშების ფინალისტი ნამდვილად ვერ გამოიყენებს ბრაზილიელი ჯოვანი ელბერ ნიჭსა და ოსტატობას.

„მთელი კვირის განმავლობაში დასვენება მიბრძანეს" — განაცხადა ფორვარდმა, რომელიც ბუნდესლიგის ბოლო ტურში, „დუისბურგის" წინააღმდეგ (2:1) სულ რამდენიმე წუთით შევიდა მინდორზე — „ხუთი წუთით თამაშს დიდი აზრი არ აქვს. ჯობს შინ დავჯდე და ტრენაჟორს დავუმეგობრდე".

„ამიერიდან ყველა თამაში, რომელშიც „ბაიერნი" მიიღებს მონაწილეობას, მისი გამარჯვებით უნდა დასრულდეს და ეს „ეინდჰოვენთან" მატჩით უნდა დავიწყოთ" — ეს სიტყვები კი მიუნხენელთა გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, შტეფან ეფენბერგს ეკუთვნის.

„ეინდჰოვენის" თავკაცი, ქართველი მაყურებლისთვის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანის დასაწყისიდან კარგად ნაცნობი ბელგიელი ერიკ გერეცი კი თავისას იჩემებს:

„მწამს, ჩვენ უკეთ გვეხერხება თამაში ვიდრე „ბაიერნს". ესეც რომ არ იყოს, გერმანელთათვის ქულების გატანება დაუშვებელია.

ამავე ჯგუფში ესპანური „ვალენსია" შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს" მასპინძლობს, გლაზგოელთა თავდამსხმელს, გაბრიელ ამატოს კი კარგად მოეხსენება, რომ მის გუნდს თავის იმით დაიმედება, რომ „ვალენსია" ესპანეთის პრიმერა დივიზიონში ჯერჯერობით ცუდად თამაშობს, შესაძლოა ძვირად დაუჯდეს.

მოგეხსენებათ, „ვალენსიამ" ესპანეთის პირველობაზე სამივე თამაში წააგო, „რეინჯერსმა" კი ექვსი შოტლანდიური მატჩიდან ექვსი გამარჯვება იზეიმა.

ამატო „ვალენსიას" თაობაზე ასე დარწმუნებით იმიტომ საუბრობს, რომ ძალიან კარგად იცნობს მის მწვრთნელს ეკტორ კუპერს, რომელთანაც „მალიორკაში" ერთი სეზონი უმუშავია. თან ორივენი არგენტინელები არიან.

„კუპერის ამბავი ვიცი, მას შეუძლია გუნდში მდგომარეობა სულ ცოტა ხანში საპირისპიროდ შემოაბრუნოს, თუმცა, ცხადია მოხარული ვარ, რომ „ვალენსიას" ახლა ვხვდებით და არა სეზონის მიწურულს, როდესაც იგი უეჭველად კარგ ფორმაში იქნება" — თქვა ამატომ.

G ჯგუფში პრაღის „სპარტა" „ბორდოს" მასპინძლობს, ხოლო თბილისის „დინამოს" კიდევ ერთი, 1998 წლის ნაცნობი და გამანდაგურებელი (0:3, 0:3) „ტილბურგი" ანუ „ვილემ მეორე" ნაცნობთა ნაცნობს, მოსკოვის „სპარტაკს".

ტილბურგელთა მწვრთნელმა, კო ადრიანსემ აღიარა, რომ „სპარტაკთან" მისი გუნდი აუტსაიდერია, მაგრამ შეუტევს. მოსკოველთა კარს აუცილებლად შეუტევს უსმან სანუ, რომელიც ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრაში „ჰერენვენის" წინააღმდეგ, მოედანზე ბოლო ხუთ წუთში შევიდა და ორი გოლის შეგდება მოახერხა. ვერ ითამაშებს მაროკოელი თავდამსხმელი იასინ აბდელაუ. ის ავადაა.

„სპარტაკს" სამი ფეხუბთელი ჰყავს დაშავებული: ვიქტორ ბულატოვი, ალექსანდრ შირკო და დმიტრი ანანკო. სამაგიეროდ კაპიტანი ილია ციმბალარი საზარდულის ოპერაციის შემდეგ მომჯობინდა და მზადაა ჰოლანდიელების წინააღმდეგ სათამაშოდ.

რაც შეეხება ანბანის მიხედვით ბოლო, H ჯგუფს იქ ლონდონის „ჩელსი" „მილანს" მასპინძლობს.

„ჩემპიონთა თასის მოპოვება ჩემი, როგორც ფეხბურთელის კარიერაში უდიდესი წარმატება გახლადთ და როგორც მწვრთნელიც სიამოვნებით ავღმართავდი მას" — ინატრა „ჩელსის" თავკაცმა ჯანლუკა ვიალიმ, რომელმაც ეს ჯილდო 1996 წელს ტურინის „იუვენტუსის" შემადგენლობაში მოიპოვა.

„მეტოქე ინგლისური გუნდია, თუმცა მენტალიტეტით უფრო იტალიურს მაგონებს. არც ვიალის წარმატება მაკვირვებს. ის დიდი ფეხბურთელი იყო და აშკარაა იმ მწვრთნელთაგან, რომელთაც შეხვედრია, ბევრი აქვს ნასწავლი" — ზოგადად ისაუბრა „მილანის" მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ.

რაც შეეხება ბერლინის „ჰერტას", — იგი ძველი, 1978 წლის თბილისის „დინამოს" ნაცნობია (0:2, 1:0, „დინამო" დამარცხდა) — თავიდან მიწისძვრებით დაზარალებულ თურქეთში, კერძოდ სტამბოლში, „გალათასარაისთან" სათამაშოდ ჩასვლას შიშობდა, რადგან იქ სტიქია ჯერაც ახსენებს მოსახლეობას თავს, მაგრამ...

„თავიდან, მიწისძვრის განმეორების შესახებ რომ შევიტყვეთ, შეგვეშინდა, მაგრამ მერე დავწყნარდით და ახლა მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობთ" — განაცხადა გერმანელთა პრეს-მდივანმა ჰანს გორეფლდერმა

**ბაკუნა ძიდია**

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისის „მინორ ლიგაში" ისტორიული ფაქტი მოხდა — კიდერმინსტერის „ჰარიერსა" და ნუნიტონის „ბოროს" შორის გამართულ შეხვედრაში მანდილოსნებმა იმსაჯეს. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდის მწვრთნელი საკმაოდ კმაყოფილი დარჩა მსაჯობის დონით.

**უკრაინის ჩემპიონი კიევის „დინამოს" ექიმის განცხადებით, გუნდს ჩემპიონთა ლიგის პირველ სამ შეხვედრაში ტრავმის გამო ნახევარმცველი არტიომ იაშკინი ვერ დაეხმარება. იაშკინი გუნდს გასულ წელს ელისტას „ურალანიდან" შეუერთდა და ძირითადში ადგილი სწრაფადვე დაიმკვიდრა.**

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „ჰადერსფილდს" აიაქსელი ნახევარმცველის დენ გორის შეძენა სურს. 28 წლის ფეხბურთელს ამსტერდამულ კლუბთან კონტრაქტი 2002 წლამდე ჰქონდა, მაგრამ ბოლო დროს მწვრთნელი იან ვოუტერსი ძირითად შემადგენლობაში თითქმის აღარ აყენებს.

**იტალიურმა „კალიარიმ" სერია A-ს გასული სეზონის ბრინჯაოს პრიზიორი „ფიორენტინასგან" 3 მილიონ გირვანქად ორი ფეხბურთელი — დომინიკო მორფეო და ლუის ოლივეირა შეიძინა. წარმოშობით ბრაზილიელი, ხოლო შემდეგ ბელგიის მოქალაქეობამიღებული ოლივეირა 90 წლების შუაში სწორედ „კალიარის" ღირსებას იცავდა.**

ინგლისურმა „უოტფორდმა" „რეალ სარაგოსასგან" ჰოლანდიელი ფორვარდი ნორდინ ვუტერი იყიდა. ვუტერი „სარაგოსამდე" პრემიერლიგელი „დერბი ქაუნთრის" ღირსებას იცავდა.

**ინგლისის ბირმინგემის „ასტონ ვილას" მეკარე დევიდ ჯეიმსი გასულ შაბათს „არსენალთან" გამართულ მატჩში დაშავდა და სავარაუდოდ ორი კვირა ვეღარ ითამაშებს. მას სათადარიგო გოლკიპერი პიტერ ენკელმანი შეცვლის, რომელიც პირველ მატჩს ლიგის თასზე მესამედივიზიონელი „ჩესტერის" წინააღმდეგ ჩაატარებს.**

არგენტინის ჩემპიონატის მე-6 ტურის მატჩები. ინდეპედიენტე — რივერ პლეიტი 1:1; ბოკა ხუნიორსი — ფერო კარილი 2:0; კოლონი — ლა პლატა 1:1; ესტუდიანტესი — ლა პლატა 1:1; არგენტინოს ხუნიორსი — ველეს სარსფილდი 0:2; ბელგრანო — ოლდ ბოისი 0:0; ლანუსი — გიმნაზია 2:0; სან ლორენცო — ჩაკარიტა ხუნიორსი 3:1; ინსტიტუტო — რასინგ კლუბი 0:1. ჩემპიონატს 16 ქულით სან ლორენცო ლიდერობს. რომელსაც ხუთი თამაში აქვს მოგებული და ერთიც ფრედ დასრულებული. მას კუდში 14-14 ქულით ბოკა ხუნიორსი და რივერ პლეიტი მისდევენ.

**ბრაზილიის ჩემპიონატის მე-10 ტური. სანტოსი — ბოტაფოგო 2:0; გამა — ფლამენგო 1:1; სან პაოლო — კორიტიბა 2:1; ვასკუ და გამა — პონტე პრეტა 3:1; კორინთიანსი — პალმეირასი 1:4; გრემიო — ინტერნაციონალი 1:0; იუვენტუდე — ვიტორია 2:1; ვოტაფოგო — პარანეანსი 0:1; სპორტ რასიფე — გუარანი 3:2. ჩემპიონატს 24 ქულით კორინთიანსი ლიდერობს. მას 8 თამაშიდან რვავე მოგებული აქვს. მისი მდევრები არიან ფლამენგო (19) და სან პაოლო (18 ქულა).**

რუმინეთის ჩემპიონატი. მე-8 ტური. ექსტენსივი (კრაიოვა) — რაპიდი (ბუხარესტი) 1:2; პეტროლული (პლოეშტი) — ბრაშოვი 1:0; დინამო (ბუხარესტი) — როცარი (ბუხარესტი) 3:0; ოტელული (გალადი) — ონესტი 2:1; არჯეში (პიტეშტი) — ფარული (კონსტანტა) 2:1; ბაკეუ — ასტრა (პლოიეშტი) 1:2; გლორია — ნაციონალი (ბუხარესტი) 1:0; ჩახლაუ — უნივერსტიატა (კრაიოვა) 1:1; სტიაუა (ბუხარესტი) — რესიტა 5:0. ჩემპიონატში პირველ ადგილზეა ბუხარესტის დინამო, 8 თამაშიდან რვავე მოგება. მას კუდში არგესი და ოტელული მისდევენ. შესაბამისად 18 და 16 ქულით.

**ბულგარეთის ჩემპიონატი. მე-5 ტური. ცსკა (სოფია) — სლავია (სოფია) 3:1; ლოკომოტივი (სოფია) — სპარტაკი (ვარნა) 5:0; მინორი — დობრუგა 4:0; ოლიმპიკი (ტეტევანი) — ლევსკი (სოფია) 0:1; ბელასიცა (პეტრიჩი) — შუმენი 1:0; ველბეჟი — ბოტევი (პლოვდივი) 2:0; ნეფტოხიმიკი (ბურგასი) — პირინი (ბლაგოევგრადი) 1:1; ხუთი თამაშიდან ხუთი მოგებით პირველ ადგილზეა ლევსკი (სოფია), ხოლო II-III-IV ადგილს 12 ქულით სამი გუნდი ლოვეში, ცსკა (სოფია) და ველბეჟი იყოფენ.**

სლოვაკეთის ჩემპიონატის მე-7 ტური. დუკლა — ტრენცინი 1:0; დუნაისკა — ტატრანი 1:2; ინტერი (ბრატისლავა) — ზილინა 2:0; ნიტრა — ბანიკი 2:1; დუბნიცა — კოშიცე 2:0; სენეცი — სლოვანი 0:1; ჰუმენე — სპარტაკი (ტრანვა) 1:0; რუბომბეროკი — არტმედია 2:2; ჩემპიონატს 7 თამაშიდანა 14 ქულით ინტერი (ბრატისლავა) ლიდერობს, მას 13 ქულით ტეტრანი მისდევს.

**ლიტვის ჩემპიონატი. არდენა — ჟალგირისი (ვილნიუსი) 0:3; დაინავა — კარედა 0:4; ნევეჟისი — ჟალგირისი (კაუნასი) 0:2; ბანგა — ეკრანასი 0:2; ატლანტასი — ინკარასი 3:2. პირველ მეორე ადგილებს კაუნასი და ეკრანასი იყოფენ 18-18 ქულით, მათ ორი ქულით კარედა ჩამორჩება.**

# ჯოუნსი ფეხბურთს თავს ანებებს

ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი რობ ჯოუნსი იძულებულია, მრავალრიცხოვანი და ძნელად სამკურნალო ტრამვების გამო ფეხუბრთს თავი დაანებოს. ჯოუნსი ის კაცია, რომელმაც „ლივერპულის" შემადგენლობაში 200-მდე მატჩი ჩაატარა და რვა სხვადასხვა ტიტული მოიპოვა.

ივლისში იგი „ვესტ ჰემში" გადავიდა, მაგრამ ბოლო ორ სეზონში გადატანილმა ოთხმა ოპერაციამ მაინც დაასვა საბედისწერო დაღი მის კარიერას. 27 წლის ფეხბურთელი დაღონებით აცხადებს, რომ კიდევ ითამაშებდა დიდი სიამოვნებით, მაგრამ ექიმები კატეგორიულად უკრძალავენ.

„ძალიან მინდა, კიდევ რამდენიმე წელი ვითამაშო, მარამ ჩემზე აღარაფერია დამოკიდებული. როგორც ექიმებმა მითხრეს, თუ ახლა თამაშს გავაგრძელებ, შეიძლება მთელი ცხოვრება ინვალიდად დავრჩე" — ამბობს ჯოუნსი.



რობი ჯოუნსი



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიაში ქალთა ფეხბურთი ძალიან პოპულარულია

# ისტორია სამ თვეში დასრულდა

კაროლინა მორაჩი, იტალიური პროფესიონალური საფეხბურთო კლუბის პირველი მწვრთნელი ქალი, რომელიც ამ თანამდებობაზე ივნისში დაინიშნა, რამდენიმე დღის წინ კლუბიდან წავიდა.

ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს განცხადებით, სერია C-ს კლუბ „ვიტერბეზეს" დამრიგებელი კაროლინა მორაჩი გუნდიდან იმიტომ წავიდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდა. კერძოდ, მორაჩი „ვიტერბეზეს" პრეზიდენტ ლუჩანო გაუჩის დაპირისპირებია.

მორაჩის თქმით, მას შემდეგ, რაც კლუბი „კროტონესთან" 2:5 დამარცხდა, გაუჩიმ მისი თანაშემწე, ასევე ქალი ბეტი ბავანოლი დაუკითხავად გაათავისუფლა თანამდებობიდან, რამაც იგი ძალიან აღაშფოთა.

იტალიელ ქალთა ფეხბურთის ისტორიაში კაროლინა მორაჩი საუკეთესო მოთამაშეა. 35 წლის მორაჩის „სკუადრა აძურას" ღირსება თავის დროზე 150-ჯერ დაუცავს. ქალთა სერია A-ში პირველად რომ ითამაშა, 14 წლისა იყო, ხოლო ხანგრძლი[illegible] რიერის მანძილზე რვა კლუბში [illegible] რეზა, ქვეყნის ჩემპიონატი, არც [illegible] არც ნაკლები, 12-ჯერ მოიგო, [illegible] ის თასი კი ოთხჯერ აღმართა. [illegible] ერის მანძილზე მორაჩიმ ხუთასზე მეტი გოლის გატანა მოახერხა, მათ შორის ოთხი ბურთი „უემბლი[illegible]" აგდო 1990 წელს, როცა [illegible] ინგლისს ხვდებოდა.

„ვიტერბეზეს" მწვრთნელად დანიშვნამდე მორაჩი სატელევიზიო პროგრამებში მონაწილეობდა, ხოლო მოგვიანებით „ლაციოს" ფეხბურთელ ქალთა გუნდსაც წვრთნიდა.

იტალიელ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ მორაჩის „ვიტერბეზედან" წასვლაში კლუბის პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩია დამნაშავე. შეგახსენებთ, რომ გაუჩი ამავდროულად სერია A-ს კლუბის, „პერუჯას" პრეზიდენტიცაა. საერთოდ, იტალიის საფეხბურთო სამყაროში მას მწვრთნელთა მომხსნელ-დამნიშვნელის რეპუტაცია აქვს.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.09 | 509 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — რეალი (ესპანეთი) | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| | 510 | მოლდე (ნორვეგია) — პორტუ (პორტუგალია) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 511 | ბაიერნი (გერმანია) — პსვ (ჰოლანდია) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 512 | ვალენსია (ესპანეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 513 | სპარტა (ჩეხეთი) — ბორდო (საფრანგეთი) | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | 514 | ტილბურგი (ჰოლანდია) — სპარტაკი (რუსეთი) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 515 | ჩელსი (ინგლისი) — მილანი (იტალია) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 516 | გალათასარაი (თურქეთი) — ჰერტა (გერმანია) | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 15.09 | 523 | ჰიკ (ფინეთი) — ლიონი (საფრანგეთი) | (10,0-1,02) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 16.09 | 524 | ვიკინგი (ნორვეგია) — სპორტინგი (პორტუგალია) | (5,0-1,1) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 525 | ბენფიკა (პორტუგალია) — დინამო (რუმინეთი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 526 | პარმა (იტალია) — კრივბასი (უკრაინა) | (1,01-15,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 527 | მტკ (უნგრეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | (2,8-1,3) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 528 | მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — ლანსი (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 529 | ტეპლიცე (ჩეხეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 530 | ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) — ვერდერი (გერმანია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 531 | ზენიტი (რუსეთი) — ბოლონია (იტალია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 532 | სკონტო (ლატვია) — ვიძევი (პოლონეთი) | (2,3-1,4) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 533 | ცსკა (ბულგარეთი) — ნიუკასლი (ინგლისი) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 534 | რომა (იტალია) — სეტუბალი (პორტუგალია) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 535 | მონაკო (საფრანგეთი) — სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 536 | ანორთოსისი (კვიპროსი) — ლეგია (პოლონეთი) | (3,1-1,25) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 537 | ინტერი (სლოვაკეთი) — რაპიდი (ავსტრია) | (5,0-1,1) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 538 | გორიცა (სლოვენია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 539 | ვოივოდინა (იუგოსლავია) — სლავია (ჩეხეთი) | (1,9-1,55) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 540 | სიგმა (ჩეხეთი) — მალიორკა (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 541 | ტორპედო (საქართველო) — აეკ (საბერძნეთი) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 542 | ჰაიდუკი (ხორვატია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (1,3-2,8) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 543 | როდა (ჰოლანდია) — შახტარი (უკრაინა) | (1,25-3,1) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 544 | ლოკომოტივი (რუსეთი) — ლიუნგბიუ (დანია) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 545 | ლეხი (პოლონეთი) — გიოტებორგი (შვედეთი) | (5,0-1,1) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 546 | ჰელსინგბორგი (შვედეთი) — კარპატი (უკრაინა) | (1,15-4,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 547 | სელტიკი (შოტლანდია) — ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 548 | ვესტ ჰემი (ინგლისი) — ოსიეკი (ხორვატია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 549 | ტოტენჰემი (ინგლისი) — ზიმბრუ (მოლდოვა) | (1,02-10,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 550 | ანდერლეხტი (ბელგია) — ოლიმპია (სლოვენია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 551 | ციურიხი (შვეიცარია) — ლიერსი (ბელგია) | (3,1-1,25) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 552 | ლოზანა (შვეიცარია) — სელტა (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 553 | ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ბრიუგე (ბელგია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 554 | ბეირა მარი (პორტუგალია) — ვიტესი (ჰოლანდია) | (3,1-1,25) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 555 | იონიკოსი (საბერძნეთი) — ნანტი (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 556 | გრაცერი (ავსტრია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) | (1,3-2,8) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 557 | აკადემისკი (დანია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (2,5-1,35) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 558 | აიაქსი (ჰოლანდია) — დუკლა (სლოვაკეთი) | (1,01-15,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 559 | კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — კილმარნოკი (შოტლანდია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 560 | იუვენტუსი (იტალია) — ომონია (კვიპროსი) | (1,01-15,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 561 | ამიცა (პოლონეთი) — ბრონდბიუ (დანია) | (3,1-1,25) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 562 | ლოკომოტივი (საქართველო) — პაოკ (საბერძნეთი) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 563 | არისი (საბერძნეთი) — სერვეტი (შვეიცარია) | (1,9-1,55) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 564 | ატლეტიკო (ესპანეთი) — ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### ჰოლანდია. გადადებული მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.09 | 001 | ალკმარი — უტრეხტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 002 | სპარტა — გრააფსხაპი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### იტალია. თასის I ეტაპი. VI ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.09 | 003 | ტერნანა — ლეჩე | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | 004 | ლუკეზე — ფ. ანდრია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 005 | სავოია — ჩეზენა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 006 | პალერმო — სამპდორია | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 007 | ჯენოა — ემპოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 008 | მონცა — ლუმეცანე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 009 | ატალანტა — პისტოიეზე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 010 | კიევო — კრემონეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 011 | გუალდო — რეჯინა | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | 012 | კოზენცა — ტრევიზო | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 013 | სალერნიტანა — ფერმანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 014 | კომო — ნაპოლი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 015 | სტაბია — რეჯანა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 016 | პესკარა — ბრეშა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | 017 | სპალ — ვიჩენცა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | 018 | რავენა — ალძანო | 1,4 | 2,9 | 8,0 |

### ინგლისი. ლიგის თასი. II ეტაპი. I მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.09 | 042 | სიტი — საუთჰემპტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 043 | ნოტინგემი — ბრისტოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია**
(ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### ჩემპიონთა ლიგა

| | I ადგ. | ჯგ. გასვლა | IV ადგ. | თასი |
|---|---|---|---|---|
| ლაციო | 1,2 | 1,02 | 25,0 | 4,0 |
| ლევერკუზენი | 3,0 | 1,4 | 6,0 | 10,0 |
| დინამო | 5,0 | 2,0 | 4,0 | 25,0 |
| მარიბორი | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| ბარსელონა | 1,7 | 1,3 | 15,0 | 2,5 |
| ფიორენტინა | 2,0 | 1,4 | 12,0 | 5,0 |
| არსენალი | 3,0 | 1,5 | 10,0 | 7,0 |
| აიკ | 25,0. | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| დორტმუნდი | 1,7 | 1,2 | 6,0 | 7,0 |
| ფეიენოორდი | 2,0 | 1,5 | 2,5 | 15,0 |
| რუსენბორგი | 4,0 | 2,0 | 1,8 | 25,0 |
| ბოავიშტა | 6,0 | 3,0 | 1,6 | 50,0 |
| მანჩესტერი | 1,15 | 1,01 | 25,0 | 2,5 |
| მარსელი | 3,0 | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| კროაცია | 6,0 | 3,0 | 2,0 | 25,0 |
| შტურმი | 25,0 | 10,0 | 1,2 | 100,0 |
| რეალი | 1,15 | 1,02 | 10,0 | 6,0 |
| პორტუ | 3,0 | 1,3 | 2,5 | 15,0 |
| ოლიმპიაკოსი | 8,0 | 3,0 | 1,5 | 50,0 |
| მოლდე | 10,0 | 4,0 | 1,2 | 100,0 |
| ბაიერნი | 1,8 | 1,3 | 8,0 | 5,0 |
| ვალენსია | 2,5 | 1,6 | 2,2 | 10,0 |
| პსვ | 4,0 | 2,0 | 1,7 | 15,0 |
| რეინჯერსი | 4,0 | 2,0 | 1,5 | 25,0 |
| ბორდო | 1,7 | 1,15 | 6,0 | 15,0 |
| სპარტაკი | 2,0 | 1,35 | 2,2 | 25,0 |
| სპარტა | 5,0 | 2,5 | 1,8 | 50,0 |
| ტილბურგი | 8,0 | 3,5 | 1,4 | 50,0 |
| მილანი | 1,7 | 1,1 | 8,0 | 2,5 |
| ჩელსი | 1,8 | 1,15 | 6,0 | 5,0 |
| ჰერტა | 4,0 | 2,0 | 2,0 | 15,0 |
| გალათასარაი | 10,0 | 4,0 | 1,1 | 50,0 |

### უეფას თასს მოიგოვებს

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 | ვერდერი | 10,0 |
| პარმა | 4,0 | ვოლფსბურგი | 15,0 |
| რომა | 5,0 | ანდერლეხტი | 15,0 |
| ლიდსი | 5,0 | ბრიუგე | 15,0 |
| ტოტენჰემი | 5,0 | ლიონი | 15,0 |
| აიაქსი | 5,0 | ნანტი | 15,0 |
| უდინეზე | 7,0 | ლანსი | 15,0 |
| ბოლონია | 7,0 | მონპელიე | 25,0 |
| ნიუკასლი | 7,0 | ბენფიკა | 25,0 |
| ვესტ ჰემი | 10,0 | ლოკომოტივი | 50,0 |
| სელტა | 10,0. | ვიტესი | 50,0 |
| ატლეტიკო | 10,0 | სელტიკი | 50,0 |
| დეპორტივო | 10,0 | სპორტინგი | 50,0 |
| მალიორკა | 10,0 | გიოტებორგი | 100,0 |
| მონაკო | 10,0 | ცრვენა ზვეზდა | 100,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 | როდა | 100,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ერთი და იგივე სახის კოეფიციენტების (I ადგილი — I ადგილზე, გასვლა — გასვლაზე, IV ადგილი — IV ადგილზე, თასის აღება — თასის აღებაზე)*

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.

რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა 23

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

ხელბურთი

# დავიხედოთ დაბლა. რას ვხედავთ?



ბადრი კითიაშვილის ფოტო

ზაზა დოლიძე: რა იქნება დანიაში?

დღეს დილით საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები დანიაში გაემგზავრა, სადაც შაბათს ევროჩემპიონატის პლეი ოფის საპასუხო მატჩს გამართავს მასპინძლებთან. მატჩს, რომლისგანაც ალარაფერს ველით, რადგან შინ 25:32 წავაგეთ.

მარცხის მიუხედავად, ჩვენი ნაკრები ძველებური ინტენსივობით ემზადება განმეორებითი მატჩისთვის. გუნდი შეკრებას ისევ სტუ-ში არსებულ ბაზაზე გადის და იქვე ვარჯიშობს. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ძველებურადა — ვარჯიშებიც, პირობებიც, მაგრამ ცვლილებაც თვალშისაცემია. გუშინდელ ვარჯიშზე მისულმა ბიჭების მოქმედებაში ის აზარტი და შემართება ვერ დავინახე, პირველ თამაშამდე რომ ეტყობოდათ. მაშინდელი ხალისი შარშანდელი თოვლივით სადღაც გამქრალა. მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძესაც ხმა გაუმკაცრებია და მოთამაშეთა თითოეულ შეცდომაზე ემოციურად რეაგირებს. ვარჯიშების სქემა უცვლელია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი გუნდი დანიაში ისეთივე ტაქტიკით ითამაშებს, როგორც თბილისში.

შემადგენლობაში კი ცვლილება ნამდვილად მოხდება. დანიაში გაემგზავრება ანდრო ანდრიაშვილიც, რომელსაც ტრავმა აწუხებდა. ჯერჯერობით უცნობია, ვის ადგილს დაიჭერს ის. დოლიძემ ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი ვერ გაგვცა. მხოლოდ ეს გვითხრა, ჯერ საბოლოოდ არაფერი გადამიწყვეტიაო. ტიტე კალანდაძის თამაშის იმედიც საბოლოოდ გამოირიცხა. იმედოვნებდნენ, იქნებ დანიაში მატჩამდე მაინც გამოჯანმრთელდესო, მაგრამ ამაოდ. იგი თბილისში დარჩება.

დანიაში სასწაულის მოხდენის არავის სჯერა. მარცხისთვის წინასწარ ვართ განწირული. აკი თქვეს კიდეც თავის დროზე ევროპელმა სპეციალისტებმა, საქართველო დებიუტანტია და ამ წყვილში ფავორიტად დანია მიგვაჩნია, თუმცა ქართველებმა შინ ისეთი თამაშები მოიგეს, თბილისში მათი დამარცხება იოლი არ იქნებაო. მათი ვარაუდი გამართლდა. ჩვენ კი ნუ ვიტყვით, რომ ეს პლეი ოფი ჩვენი იმედების სასაფლაოდ იქცა. ეს საფლავი ხომ ჯერ კიდევ მაშინ გაითხარა, როცა სპორტი უყურადღებობისთვის გაიწირა და ენთუზიასტთა იმედზე დარჩა. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გავსულიყავით ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე? ჩემპიონატით მოვიწონებთ თავს, სათამაშო სარბიელით თუ ხელბურთისადმი გამოჩენილი ყურადღებით? დღევანდელი ნაკრები ხომ თითქმის ერთი კლუბია — „სტუ-შევარდენი“, რომელმაც მართლა ნაკრებებს მოუგო. ამიტომ ძალიანაც ნუ ვუსაყვედურებთ ბიჭებს. თუ უფრო დიდი მიღწევები გვსურს, მაშინ მაღლა ცქერას შევეშვათ და დაბლაც დავიხედოთ. იქნებ მაშინ მაინც დავინახოთ ფრინველთა სკორეთი და ბუმბულით მოფენილი ის დარბაზი, რომელშიც ჩვენი გუნდი დანიელებთან პირველი თამაშისთვის ემზადებოდა.

ირაკლი თავაძე

შაბათ-კვირას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფის მატჩი თბილისის გარდა, სადაც საქართველო დანიასთან 25:32 დამარცხდა, სხვაგანაც გაიმართა. განთესილი გუნდებიდან მხოლოდ სამმა, მაკედონიამ, იუგოსლავიამ და უნგრეთმა ვერ გაიმარჯვეს. იუგებმა ჩვენს შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე გასულ პორტუგალიასთან წააგეს. თუ იუგოსლავიასა და უნგრეთს ფინალურ ეტაპზე გასვლა, ალბათ, მაინც არ გაუჭირდებათ, სამაგიეროდ მაკედონიელების მიერ შინ ისლანდიის ათბურთიანი სხვაობით დამარცხება ძნელი წარმოსადგენია.

ახლა გაგაცნობთ პლეი ოფის ყველა შედეგს:

**საქართველო 25:32 დანია**
**ავსტრია 22:28 ესპანეთი**
**თურქეთი 24:29 რუსეთი**
**იტალია 17:26 ნორვეგია**
**ისლანდია 32:23 მაკედონია**
**უკრაინა 29:21 ბელარუსი**
**პორტუგალია 30:28 იუგოსლავია**
**სლოვენია 32:29 უნგრეთი**
**პოლონეთი 16:26 გერმანია**
**რუმინეთი 15:22 საფრანგეთი**

*საპასუხო მატჩები მომავალ უქმეებზე გაიმართება.*

ცურვა

# მსოფლიოს რეკორდები ღვთის ნება ყოფილა

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სამხრეთაფრიკელმა მოცურავე პენი ჰეინსმა უარყო ბრალდება, თითქოს ბოლო ორი თვის განმავლობაში მის მიერ დამყარებული ცხრა მსოფლიოს რეკორდის საწინდარი კრეატინი ყოფილიყოს.

— კრეატინი რომ ასეთი სასწაულმოქმედი ნივთიერება იყოს, მაშინ ნებისმიერი მოცურავე ბევრად უკეთ იასპარეზებდა, რადგან მას ყველა იყენებს — ამბობს ჰეინსი.

კრეატინი, რომელიც საკვების საგანგებო დანამატია, ძალას მატებს, ამაგრებს და აძლიერებს კუნთებს, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აკრძალულ პრეპარატთა ნუსხაში არ არის. მიუხედავად ამისა, კრეატინის თემა საკამათოდ ითვლება.

— სიმართლე ისაა, რომ წარმატებებში უფალი მეხმარება. მე მორწმუნე ვარ, მაგრამ ხალხს ამის გაგონებაც არ უნდა — წუხს ჰეინსი.

მისი თქმით, ეს სეზონი, საუკეთესო მის ცხოვრებაში, ქრისტიანული მრწამსით იყო გაცისკროვნებული.

— გაისად 24 წლისა რომ გავხდები, უფრო სწრაფად გავცურავ. ვიცი, რომ უფალს სიდნეიში ჩემი ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობა და იქ გამარჯვებაც განუზრახავს, მეც მთელი არსებით ვესწრაფვი ამას.

გიგა გურასაშვილი


# დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც ***საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*** აწყობს ***კომპანია „მეგაკომთან“*** ერთად.

ჩვენი ტელეფონებია: 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.

**დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!**

გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

*ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „საგანგებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი) ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული“.*

სარეფერენდუმო კომიტეტი,
საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია

სსჟა

მეგაკომი


## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**გურამ მინაშვილი**

**კალათბურთი**

დაიბადა 1936 წლის 25 ნოემბერს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი, ევროპის სამგზის (1957, 1959, 1963) ჩემპიონი, ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული თამაშების (1957) ვიცე-ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა თასის (1962) მფლობელი, რომის ოლიმპიადის (1960) ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის (1963) ბრინჯაოსმედალოსანი



1. 1963 წლის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში მილანის „სიმენტალს“ ვხვდებოდით. მოგეხსენებათ, წინა წელს თასი ჩვენ მოვიგეთ. პირველი თამაში თბილისში ჩატარდა. შეხვედრა მთავრდებოდა, ჩვენ შვიდ ქულას ვაგებდით. მსაჯის სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ჩავაგდე და საბოლოოდ ხუთი ქულით დავმარცხდით. საპასუხო მატჩი მილანში ალმავლობით ჩავატარეთ და თამაშის ბოლოს ოთხი ქულით ვიგებდით. შეხვედრის დამთავრებამდე წამები რჩებოდა, ეს ანგარიში ხელს არ გვაძლევდა. ჩვენ წუთშესვენება ავიღეთ და კომბინაციაც გავითვალეთ, მაგრამ მოედანზე არ გამოგვივიდა. თუმცა ბურთი მაინც ჩემთან აღმოჩნდა. იმდენად ცოტა დრო რჩებოდა, რომ მხოლოდ სროლას ვასწრებდი. მეც მეტი რა დამრჩენოდა და რთული პოზიციიდან ვისროლე. ბურთი ჩავარდა. ის თამაში ექვსი ქულით მოვიგეთ, ხოლო საერთო ანგარიშში იტალიელებს ერთი ქულით ვაჯობეთ. ესაა ჩემი სპორტული კარიერის ყველაზე ტკბილი მოგონება.

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ამის მერე მოსკოვის ცსკას ვხვდებოდით, ის კი — ჩემპიონთა თასზე ჩვენსა და მილანელებს შორის მოგებულს. პირველი თამაშის მერე ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მილანში მოუწევდათ ჩასვლა. ეს მოგზაურობა რომ ჩავუშალეთ, იმდენად განაწყენდნენ, მთელი თამაში მოღუშულები გვიყურებდნენ და გვეჩხუბებოდნენ.

ყველაზე გულდასაწყვეტი ამბავი კი 1959 წელს შემემთხვა. მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩილეში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა. იქ რვაგუნდიანი ფინალური ჯგუფი იყო. ტურნირი წრიული სისტემით ტარდებოდა. ჩვენ მოვიგეთ ზედიზედ ექვსი თამაში, მათ შორის საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში პირველად დავამარცხეთ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები. გვრჩებოდა ბოლო თამაში ტაივანის გუნდთან. ამ დროს მსოფლიოს ჩემპიონობა ისედაც თითქმის განაღდებული გვქონდა, ტაივანის დამარცხება რა პრობლემა იყო. მაგრამ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება, მათთან არ გვეთამაშა. ჩვენც რას ვიზამდით, არ ვითამაშეთ. ტაივანელებს ზუსტად იმავე მიზეზით არც ბულგარელები ეთამაშნენ. საბოლოოდ ორივე გუნდი მოგვხსნეს გათამაშებიდან. ცხრილში ჩვენ მეშვიდე ადგილზე გადაგვიყვანეს, ბულგარელები — მერვეზე.

2. მგონი, დაფინანსებაში რაღაც განსხვავება უნდა არსებობდეს. ვისაც წარმატების მიღწევა შეუძლია, იმათ ფული არ უნდა მოაკლონ. თუ გაჭირვებაა, მაშინ წინასწარ წასაგებად განწირულებს ნუ დააფინანსებენ. რა აზრი აქვს იმ გუნდის ტურნირებზე გაშვებას, რომელიც პირველ წრეშივე დამარცხდება? თუნდაც ჩვენი კალათბურთელთა ნაკრები ავიღოთ. როგორ შეიძლება ის დააფინანსო და ამ დროს ნინო სალუქვაძეს ფული აკლდებოდეს?

აუცილებელია ბავშვთა სპორტის განვითარებაც. ის მასობრივი უნდა გახდეს. საამისოდ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს. თუ ბავშვები ერთხელ „მოიწამლნენ“ სპორტით, მერე მათი „განკურნება“ ძალიან ძნელია. ეს კი ქუჩას მოწყვეტს ბავშვებს და ხელს შეუწყობს მათ სწორ აღზრდას.

3. ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანეევი, ბორის პაიჭაძე
ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნინო სალუქვაძე



# აზოტს დიდი ანგარიშით რომ მოვუგოთ, კიევში მაყურებელი აღარ მოვა



გუშინ ოთარ ხმელიძემ მატჩამდე ბოლოჯერ ავარჯიშა „აზოტი“

კორაჩის თასზე რუსთავის „აზოტის“ მეტოქე „ბკ კიევმა“ გუშინ დილითვე დააჭაშნიკა სპორტის სასახლის სარბიელი. უკრაინელები სულ რაღაც ერთ საათს შეყოვნდნენ სასახლეში, მსუბუქად დაიტვირთნენ და დანარჩენი სალამოს ვარჯიშისთვის გადადეს. ასე, ოთხი საათისთვის დარბაზში უკრაინელთა პირველი წარმომადგენელი გამოჩნდა. უცნობი, რომელიც თავად გამეცნო, „ბკ კიევის“ ადმინისტრატორი ლეონიდ ვაინერმანი აღმოჩნდა და რაკი თავისიანებს მოსვლა უგვიანდებოდათ, საუბარი გავაბით. სანამ ბატონი ვაინერმანი ჩემს პროფესიას შეიტყობდა, უფრო გახსნილად და თავისუფლად ლაპარაკობდა, მერე უცებ შეცბა, ერთი ეჭვის თვალით გადმომხედა, თუმცა... ყოველივეს ჩვენს საუბარში ხელი დიდად არ შეუშლია. მოგვიანებით გაირკვა, რომ აგერ უკვე მერვე წელია, ვაინერმანი უკრაინის ნაკრებშიც იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც კლუბში. „ბკ კიევში“ კი თავად ალექსანდრ ვოლკოვს მიუწვევია. მოგეხსენებათ, უკრაინული სპორტის მინისტრი ვოლკოვი ამ გუნდის უშუალო დამაარსებელიც გახლავთ, თბილისში ჩამოსვლის სურვილიც დიდი ჰქონია, მაგრამ ჩემი მოსაუბრის განმარტებით, გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები გამოუჩნდა და...

მეტისმეტად ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ამაში თავადაც დარწმუნდებითო, განაგრძობდა თხრობას ვაინერმანი, რომელსაც თურმე წლების მანძილზე საბჭოთა დროინდელი „სტროიტელის“ ტექნიკურ დირექტორადაც უმუშავია. აზრი არ დაემთავრებინა, დარბაზის ზღურბლზე მისი თანამემამულეები რომ გამოჩნდნენ. ხორხოცითა და ჟრიამულით შემოლაგდნენ მაღალ-მაღალი უკრაინელები. სახელდახელოდ მოწესრიგდნენ და მთავარი მწვრთნელის, ალექსანდრ კოვალენკოს განკარგულების მოლოდინში პირით ხაზზე ჩამწკრივდნენ. სულ მალე მწვრთნელიც გამოჩნდა. საშუალო ტანის, ტიპიური უკრაინელის შეხედულების კოვალენკომ ჩემზე საკმაოდ ენერგიული კაცის შთაბეჭდილება დატოვა. არცთუ მკაცრი შესახედაობის მიუხედავად, აშკარაა, რომ გუნდში დისციპლინას წინა პლანზე აყენებს. დედიმისის შვილი იყო და რომელიმე კალათბურთელს მისი ნებართვის გარეშე ხმა ამოეღო, ანაც ზედმეტი მოძრაობა გაეკეთებინა, ფეთქებადი ხასიათის კოვალენკო ყველას საკადრის პასუხს გასცემდა. ერთ ასეთ სცენას შევესწარი: ერთ-ერთი უკრაინელი კალათბურთელი მწვრთნელის დავალებას რაღაცნაირად უგულოდ ასრულებდა, კოვალენკომ უმალ შენიშნა ეს, სავარჯიშო პროცესი შეაჩერა, ურჩ მოთამაშეს თავისთან უხმო და მკაცრად, მუქარანარევი ხმით მიმართა: არ გეგონოს, რომ შენ ეს შეგრჩება, ჩავალთ კიევში, გაგიხსენებ და პასუხსაც მერე მოგთხოვო. მწვრთნელი დანაპირებს უეჭველად სისრულეში მოიყვანს, ეს შერისხული კალათბურთელის თვალებშიც ნათლად იკითხებოდა...

უკრაინელთაგან ყველაზე ასაკოვანი მათი ძირითადი ცენტრი გრიგორი ხიჟნიაკია. 28 წლის ხიჟნიაკი უკრაინის ნაკრების წევრიცაა, შარშანდელი სეზონი კი სარატოვის „ავტოდორში“ გაატარა. „ბკ კიევში“ გადმოსვლა ძირითადად იმან განაპირობა, რომ დაბადებულ-გაზრდილი კიევში ვარ, მშობლიურ გარემოში ტრიალი კი ყველაფერს მირჩევნიაო, მეუბნება 216-სანტიმეტრიანი ხიჟნიაკი, რომელსაც „აზოტთან“ წარმატებაში ეჭვი არ ეპარება.

ასევე სტაბილურად ხვდება ეროვნულ გუნდში უკრაინელთა უმრწემესი მოთამაშე, 20 წლის სტანისლავ მედვედენკოც, რომელიც ამპლუით თავდამსხმელია, თუმცა დროდადრო ცენტრობასაც ითავსებს. „ბკ კიევის“ ამერიკულ ტურნირზე ყოფნისას მედვედენკოს იქაური სკაუტები იმდენად მოუხიბლავს, რომ კოვალენკოს მოსვენება დაუკარგესო, ამბობს იგივე ვაინერმანი, რომელიც ჩემს გვერდზე მოკალათდა და აქედან ადევნებდა თვალს თავისიანთა ვარჯიშს. როცა მას დღევანდელი მატჩის პროგნოზირება ვთხოვე, ბევრიც არ უფიქრია: მართალია, თქვენს გუნდს საერთოდ არ ვიცნობ, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ მეტი შანსი გვაქვს. წინასწარ რაიმეს თქმა ძალიან მიჭირს, მაგრამ... ვნახოთ, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება. თუ შევატყვეთ, რომ „აზოტს“ ადვილად ვუსწორდებით, თავს აღარ შევაკლავთ. გულშემატკივარზეც უნდა ვიზრუნოთ, თუ აქვე მოვითავებთ საქმეს, კიევში ჩვენს საქომაგოდ აღარავინ მოვა. ეს კი ძალიან არ გვინდა, გვსურს აქაც და იქაც მაყურებელმა სანახაობით ისიამოვნოს.

თავად ვარჯიშის დასაწყისში კოვალენკომ მოთამაშეები დააწყვილა და აქეთ-იქით შეტევები დაავალა. ამ ვარჯიშში ნელ-ნელა სხვა და სხვა ელემენტებიც შეაპარა და მთელი ნახევარი საათი გუნდი ამგვარად არბენინა. ამის შემდეგ მოთამაშეებმა უკლებლივ ყველა კუნთი გაიხურეს, გაწელვებიც მოილიეს და სროლებს მიეძალნენ. საშუალო თუ შორი მანძილიდან უკრაინელები სნაიპერული სიზუსტით ისროდნენ. გაჩერებულს ვერც ერთს დაინახავდით, ამ კომპონენტის შესრულებას კოვალენკო ყველას მოძრაობაში სთხოვდა და ისინიც მოულალავად ასრულებდნენ მწვრთნელის ბრძანებას. არ გეგონოთ, ყოველივეს კოვალენკო მშვიდად ადევნებდა თვალს. იგი მთლიანად ჩართული იყო სავარჯიშო პროცესში და თუ რამე ეხამუშებოდა, არც ყვირილს ერიდებოდა. ისედაც ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, დარბაზში მხოლოდ მისი ხმა და ბურთის ტყაპუნი ისმოდა.

თამაშის დრო რომ დადგა, მწვრთნელმა ორად, პირობითად ლურჯებად და წითლებად დაყო შეგირდები. ერთი ორჯერ მოთამაშეებს კომბინაციების კეთება დაავალა, მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა, ალბათ, მზვერავების თუ შეეშინდა კოვალენკოს. სამაგიეროდ, იგი ძალიან ხშირად ხმარობდა სასტვენს და შესაბამისად კალათბურთელებს მითითებებს აძლევდა. ყველაზე მეტს ამერიკელ ლეგიონერს, საყურიან ზანგ გამთამაშებელ კურტის მაკენტს ეჩიჩინებოდა. ხელებით, ფეხებით, რუსულად თუ ინგლისურად, მთავარი იყო აზრი მაკენტსამდე მიეტანა და ახერხებდა კიდეც.

ბიჭები უკვე გვარიანად მოქანცულიყვნენ, როცა კოვალენკომ ვარჯიშის დამთავრებისა ჩასტვინა. იქნებ ეს პროცესი იმანაც დააჩქარა, რომ დარბაზში მათი მეტოქე აზოტელები შემოვიდნენ და უკრაინელებს მუშტრის თვალით შეაცქერდნენ.

ასეა თუ ისე, ახლა უკვე სასახლე რუსთაველებს უნდა დათმობოდათ და სტუმრებიც აიბარგნენ, თუმცა მანამდე კიდევ ერთხელ მოქუჩდნენ, მოედნის ცენტრთან ხელი ხელს მისცეს და გამარჯვების ჟინით ანთებულებმა ვარჯიშს წერტილი ომახიანი შეძახილით დაუსვეს.

„აზოტის“ ვარჯიშს უკრაინელთაგან მხოლოდ ალექსანდრ კოვალენკო დაესწრო, თანაც ისე, თვალს არ აშორებდა კალათბურთელებს, რაც მის მეტოქე-კოლეგას, ოთარ ხმელიძეს ძალიან აღიზიანებდა. მინდა გუნდს კომბინაციები გავამეორებინო და ამისათვის კოვალენკოს დარბაზიდან ხომ არ დავითხოვო, შემომჩივლა ხმელიძემ, რომელიც უკრაინელს არაკოლეგიალობაში ადანაშაულებდა — ასეთი რამ რა საკადრისიაო.

ვიცე-ჩემპიონთა ვარჯიშსაც ჩვეულებრივი ეთქმოდა. არაფერი განსაკუთრებული, ძუნძული, მოთელვა, გაწელვები, სროლები და ბოლოს, როგორც წესი, ორმხრივი თამაში, სადაც ის ხუთეული გამოიკვეთა, რომლის გამწესებასაც დღევანდელ მატჩში ოთარ ხმელიძე აპირებს: ჟღენტი, გაბისონია, გოგობერიშვილი, ბერუაშვილი, ჯაფარიძე. შეიძლება ცვლილებებიც მოხდესო, დასძინა მწვრთნელმა და მზერა ისევ კოვალენკოსკენ გააპარა, იქნებ ინამუსა და წავიდაო. თქვენც არ მომიკვდეთ, კოვალენკო გაუნძრევლად იჯდა და უბის წიგნაკში დროდადრო რაღაცეებს ინიშნავდა.

არც ვაციე, არც ვაცხელე, კოვალენკოს გვერდზე ჩამოვჯექი და რამდენიმე კითხვით მივმართე. ამით მას ყურადღებაც გავუფანტე და ჩემი ცნობისმოყვარეობაც [illegible].

**— თითქმის საათ-ნახევარია, ჩვენი კალათბურთელებისთვის [illegible], როგორია თქვენი პირველი შეხედულება „აზოტზე“?**

— საკმაოდ საინტერესო გუნდი ჩანს. სიმაღლეში აშკარაა ჩვენი უპირატესობა, თუმცა თქვენც ბევრი პლუსები გაქვთ.

**— მაინც რას გულისხმობთ?**

— თუნდაც იმას, რომ „აზოტი“ უფრო გამოცდილი კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული, ვიდრე ჩვენ. მოთამაშეებიც შეთამაშებულნი ჩანან, ჩვენ კი საამისოდ ძალიან ცოტა დრო გვრჩებოდა. გუნდი მხოლოდ პირველ აგვისტოს შევკრიბეთ და თბილისში გამოფრენამდე ხუთი დღით ადრე შევძელით საბოლოოდ ჩამოყალიბება.

**— სამაგიეროდ, ზურგს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა და იქაურ ტურნირებში მონაწილეობა გიმაგრებთ...**

— გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ ხომ ფაქტობრივად ყველაფერი ნულიდან დავიწყეთ, გუნდს ჯერ ერთი ოფიციალური შეხვედრაც კი არ უთამაშია. მგონი, ეს ბევრს ნიშნავს.

**— თბილისს სრული შემადგენლობით ეწვიეთ?**

— შეიძლება ითქვას, ასეა. მხოლოდ ლებედევი გამოგვაკლდა, რომელიც ფიბას განაცხადში დროულად ვერ შევიყვანეთ.

**— „ბკ კიევის“ რომელ რგოლს გამოყოფდით?**

— ყველა რგოლში თანაბარი სიძლიერის მოთამაშეები გვყავს. რომელიმეზე აქცენტის გაკეთება ძალიან მიჭირს.

**— დაბოლოს. როგორ შეაფასებდით მეტოქეთა შანსებს?**

— პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. ისე კი, ვფიქრობ, თანაბარი თამაში გამოვა. ალბათ ძალიან დაგეხმარებათ საკუთარი კედლების ფაქტორიც. ყოველთვის მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, ბურთი მრგვალია, მგონი მიმიხვდით რის თქმაც მსურს, ანუ წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

ეგ იყო და აზოტელებიც მორჩნენ ვარჯიშს. ორიოდ კითხვით ოთარ ხმელიძესაც მივმართე:

— თავადაც ნახეთ „ბკ კიევი“ როგორი მაღალი გუნდია. აქედან გამომდინარე აქცენტი სწრაფ კალათბურთზე უნდა გადავიტანოთ. თუ მეტოქე სისწრაფეში დავჩაგრეთ, მერე ალბათ აღარ გაგვიჭირდება. ამას კი ორგანიზებული პირველი შეტევებით უნდა მივაღწიოთ.

**— ბოლო ხანს გუნდში ფინანსური სიძნელეები შეიქმნა. რა გავლენას იქონიებს ყოველივე კიეველებთან თამაშის ხარისხზე?**

— კუთვნილ ხელფასებს თამაშამდე დაგვპირდნენ და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ალბათ, შეასრულებენ კიდეც. აი, სპორტული ფეხსაცმლის საკითხი კი კვლავაც ღიად რჩება და არა მგონია, უახლოეს მომავალში რამე შეიცვალოს. სხვა მხრივ მე მჯერა ჩემი ბიჭების, ისინი ნამდვილი კაცები არიან და სხვა თუ არაფერი, გულშემატკივარს ამაგს წყალში არ ჩაუყრიან.

**— უკრაინელები ძალიან კი იმუქრებიან...**

— რაც უნდათ, ის თქვან, მთავარია, მოედანზე რა მოხდება.

ასეა, მოსახდენი დღეს, სპორტის სასახლეში მოხდება — „აზოტი“ — „ბკ კიევი“. იქნებ ამ ჯერზე მაინც დაძლიონ რუსთაველებმა უკრაინული ბარიერი. დონეცკელთა შარშანდელ წყენაზეც ჯავრია ამოსაყრელი და ქართველ გულშემატკივარსაც ხომ ძალიან მოენატრა საქომაგო გუნდის გამარჯვება.

**გიორგი ბიკაშვილი**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**




გრიგორი ხიჟნიაკი



სტანისლავ მედვედენკო




კურტის მაკენტსი

## ბკ კიევი

| მოთამაშე | სიმაღლე | ამპლუა | დაბ. წელი | მოქალაქეობა |
|---|---|---|---|---|
| ოლეგ იუშკინი | 198 | უკანა ხაზი | 1975 | ბელარუსი |
| კურტის მაკენტსი | 185 | უკანა ხაზი | ? | აშშ |
| ვლადიმირ შევჩენკო | ? | ? | 1973 | უკრაინა |
| რომან დოროშჩენკო | 195 | ფორვარდი | 1977 | უკრაინა |
| ალექსანდრ ნიზკოშაპკა | 201 | ფორვარდი | 1975 | უკრაინა |
| კონსტანტინ გალიონკინი | 204 | ფორვარდი | 1971 | უკრაინა |
| დენის ჟურავლიოვი | 207 | ფორვარდი | 1971 | უკრაინა |
| სტანისლავ მედვედენკო | 208 | ცენტრი | 1979 | უკრაინა |
| გრიგორი ხიჟნიაკი | 216 | ცენტრი | 1971 | უკრაინა |
| სტანისლავ ბალაშოვი | 206 | ცენტრი | 1979 | უკრაინა |

# ჩემი გუნდის წინა ხაზი ქართული უნდა იყოს

*ლიუბლიანის „სლოვანის" მთავარი მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი 32 წლის კი არის, მაგრამ გამოცდილება ნამდვილად არ დაენუნება. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ლიუბლიანის „ოლიმპიაში" მივიდა და ცხრა წელიწადი იმუშავა განთქმული მწვრთნელის ზმაგო საგადინის პირველ თანაშემწედ. შუალედში მთავარი მწვრთნელობაც მოასწრო — 1996 წელს პროვინციული „კრშკო" სლოვენიის მეორე პრიზიორი გახადა. ამ ზაფხულში მაჰორიჩი „სლოვანის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და გუნდში მისულმა ოთხი ქართველი კალათბურთელის, ვლადიმერ ბოისას, ნიკა ცქიტიშვილის, დავით უგრეხელიძის და ირაკლი კეიდიას წვრთნა დაიწყო.*

**— სლოვენიის გუნდების უმრავლესობაში ამერიკელი, იუგოსლაველი და ხორვატი კალათბურთელები თამაშობენ. „სლოვანის" ლეგიონერები კი მხოლოდ ქართველები არიან. რა არის ამის მიზეზი?**

— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი კლუბის დირექტორი იანეს რაიგერი არაერთხელ ყოფილა საქართველოში და კარგად უწყის თქვენებური კალათბურთელების ნიჭისა და შესაძლებლობების შესახებ. ამის მაგალითია რაიგერის აღმოჩენილი ვლადიმერ ბოისა, რომელმაც სლოვანიის წინა ჩემპიონატში რიგიანად ითამაშა.

შემდეგ რაიგერმა კიდევ სამი ქართველი ახალგაზრდა ჩამოიყვანა. პირველ რიგში მათ ასაკს მივაქციეთ ყურადღება. სამივე ახალგაზრდაა, ჩვენ კი ამგვარებს ვეძებთ. „სლოვანი" ის გუნდია, რომლის ჩამოყალიბებაც ოთხ-ხუთ წელიწადს გაგრძელდება და ეს ბიჭები ზედგამოჭრილნი არიან ჩვენი გეგმისთვის.

ამერიკელი კალათბურთელი ძვირი ღირს, თანაც, ევროპაში უკვე ასაკოვანები მოდიან, ჩვენ კი ამგვარი არ გვაინტერესებს. იუგოსლავიიდან კი თითქმის შეუძლებელია ახალგაზრდა მოთამაშის წამოყვანა: იქაური მწვრთნელები და მენეჯერები ძალიან ყურადღებით მუშაობენ. იქ ყველა ჭაბუკი, პერსპექტიული თუ უპერსპექტივო, მკაცრ კონტროლზეა აყვანილი. იგივე ხდება ხორვატიაშიც. „სლოვანი" მოთამაშეებს სხვაგან ეძებს. საქართველოს გარდა, რაიგერი აფრიკაშიც იყო და მალიდან ორი კალათბურთელი ჩამოიყვანა.

**— ზარშან „ოლიმპიაში" მუშაობდით, რომელსაც ეკუთვნის ვლადიმერ ბოისა. მისი „სლოვანში" გადმოყვანა თქვენი იდეა იყო?**

— დიახ, „სლოვანში" ბოისა საჭიროა. ამ მომენტისთვის ბოისა არ არის მზად „ოლიმპიას" ძირითადი შემადგენლობისთვის. თანაც, იგი უცხოელია და მასზე ლეგიონერთა ლიმიტი მოქმედებს. ეს ნორმალურია: ბოისა მხოლოდ 18 წლისაა, გაძლიერება სჭირდება. ვფიქრობ, მომავალ წელს იგი „ოლიმპიასთვის" მზად იქნება.

**— დანარჩენი ქართველები რა პრინციპით შეარჩიეთ?**

— ასაკზე უკვე გითხარით. სამივე ქართველი მებრძოლია, მოედანზე ფიქრი შეუძლიათ და კარგი ბუნებრივი მონაცემები აქვთ. ჩვენც ისეთი მოთამაშეების აყვანა გვინდოდა, რომლებსაც სლოვენიურთან მიახლოვებული კულტურა და აზროვნება ექნებოდათ. ჩემი აზრით, სლოვენიელები და ქართველები არცთუ ძალიან განსხვავდებით.

**— შეგიძლიათ სათითაოდ დაგვიხასიათოთ თქვენი გუნდის ქართველი წევრები?**

— ცქიტიშვილით დავიწყებ. ძალიან ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ფიზიკურად სუსტია. ამ ნაკლის გამოსასწორებლად პირველივე დღიდან ვმუშაობთ. შედეგი უცბად არ იქნება. ჩემი აზრით, მეორე წრის შუაწელში ცქიტა ფიზიკურად გაძლიერებას დაიწყებს.

თავისი ასაკისთვის უგრეხელიძე ძლიერიცაა და სწრაფიც, მაგრამ კაცების წინააღმდეგ თამაშისთვის ეს საკმარისი არაა. მას ბევრი თამაში სჭირდება, მისთვის აუცილებელია სათამაშო გამოცდილების შეძენა. „სლოვანში" დავიტოვებდი, მაგრამ აქ ცოტა თამაში მოუწევს. ამიტომაც გავანათხოვრეთ კრანის „ტრიგლავში". მომავალ სეზონში უგრეხელიძეს დავიბრუნებთ. ძალიან გონიერი ყმაწვილია. ჯერჯერობით არც სლოვენიური იცის და არც ინგლისური, მაგრამ საკმარისია ერთხელ აჩვენო კომბინაცია, რომ უმალ ითვისებს. „ტრიგლავში" კი ითამაშებს, მაგრამ ვარჯიშით აქ, ჩემს თვალწინ ივარჯიშებს. მისი ყოველდღიური მდგომარეობა უნდა ვიცოდე (ორიოდ დღის წინ მაჰორიჩმა დაიბრუნა უგრეხელიძე, რომელიც ამ სეზონს „სლოვანში" ითამაშებს. ამის მიზეზია ის, რომ „სლოვანში" აღარ მოვიდა მაღელი ცენტრი სამაილა სამაკე, მისი ადგილი კი ქართველმა კალათბურთელმა დაიკავა — რედ.).

კეიდიას ჩვენთან ერთწლიანი კონტრაქტი აქვს. ვნახოთ, დავაკვირდებით, თუ მოუმატა, აუცილებლად დავიტოვებთ. მონაცემები მასაც კარგი აქვს. საერთოდ, ჩვენი გუნდის წევრი ქართველები დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. რასაც დაავალებ, ასრულებენ. ამგვარ კალათბურთელებთან მუშაობა ძალიან იოლია.

**— თქვენი ვარჯიშების შემხედვარეს გამიჩნდა აზრი, რომ ბოისას და ცქიტიშვილს სასტარტო ხუთეულისთვის ამზადებთ...**

— გამოკვეთილი სასტარტო ხუთეულის წინააღმდეგი ვარ. ჩემი ათივე მოთამაშე 30-35 წუთის სათამაშოდ მზად უნდა იყოს, ამდენად, ნებისმიერს უნდა შეეძლოს ძირითადი მოთამაშის დონეზე ასპარეზობა. რაც შეეხება ბოისას და ცქიტიშვილს, ვფიქრობ, წინა ხაზში მათ შევაწყვილებ. ისინი ფრთად და თავდამსხმელად ითამაშებენ. ჩემს სათამაშო სქემაში ეს ორი ამპლუა ერთიდაიგივეა. ასე რომ, ბოისას და ცქიტიშვილს ამპლუების ცვლა მოუწევთ. ჩემი მიზანია ორივეს თანაბრად ავათვისებინო ფრთის, თავდამსხმელის და ცენტრის პოზიციაზე თამაში. სხვაგვარად არ გამოვა, კალათბურთი იმ მიმართულებით განვითარდა, რომ აღნიშნული უნივერსალიზმი აუცილებელი გახდა.

ცქიტიშვილის ძირითადში აყვანა, ჩემი მხრიდან, რისკიანი ნაბიჯია, მაგრამ მჯერა ამ ბიჭის. ტექნიკურად არაუშავს, შორიდან სროლაც შეუძლია. ბოისა ტექნიკურად ისე ძლიერი არ არის, მაგრამ ფიზიკურად გამძლეა, ეშმაკია და თამაშის დროს თავხედია, რაც საკმაოდ კარგი თვისებაა.

**— ესე იგი, „სლოვანი" აქცენტს სწრაფ თამაშზე გააკეთებს?**

— აბა, რაზე უნდა იფიქრო, როცა გუნდის საშუალო ასაკი 20 წელია. ჩვენ ვალდებულებიც ვართ, რომ სწრაფად ვითამაშოთ.

**— კორაჩის თასის შესარჩევ წრეში უნგრეთის „ატომერომუს" ხვდებით. საერთოდ, რას ისახავთ მიზნად ევროპაში?**

— „ატომერომუს" დამარცხება შეგვიძლია, თუმცა ამის გარანტიას ვერ ვიძლევი. „ატომერომუ" ჩვენგან აბსოლუტურად განსხვავებული გუნდია, ჩამოყალიბებული, გამოცდილი. იგი ნელ კალათბურთს თამაშობს, მაღალი მოთამაშეებიც არ ჰყავს. სამაგიეროდ, მებრძოლი გუნდია. ჩვენ სისწრაფით და სიმაღლით უნდა ვაჯობოთ. სიტუაციას რეალურად თუ შევაფასებთ, „სლოვანს" შეუძლია დაძლიოს შესარჩევი წრე და მოხვდეს ჯგუფურ ეტაპზე. ამ სეზონში მეტზე არც ვფიქრობთ.

**— სლოვენიის ჩემპიონატში რაღას გეგმავთ?**

— ამ სეზონში მეექვსე ადგილს. მეტი არ შეგვიძლია, რადგან გუნდი ახალგაზრდულია და არ გვყავს ძლიერი ცენტრი. მეექვსე ადგილი კი იმად გვსურს, რომ ექვსეული ორ წრედ აგრძელებს ასპარეზობას. ესე იგი, დამატებით ათი თამაშის გამართვა მოგვიწევს, რაც გამოცდილების მიღების კარგი გზაა. ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ასე აღარ ვიფიქრებთ. მოთამაშეები გაიზრდებიან, მეც გავიზრდები...

**— თქვენ ხომ გაქვთ მთავარ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება?**



ტომო მაჰორიჩი

— 1995 წელს „ოლიმპიამ" ევროპის საკლუბო თასი მოიგო და მწვრთნელი ზმაგო საგადინი ხორვატიაში წავიდა სამუშაოდ, მე კი პირველი ლიგის დებიუტანტს „კრშკოს" ჩავუდექი სათავეში. ეს იყო უფულო, უდარბაზო და უსპონსორო გუნდი. რაღა ბევრი გავაგრძელო, სლოვენიის ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავეთ, გადამწყვეტ მატჩში კი ერთადერთი ქულით დავმარცხდით „ოლიმპიასთან". მომდევნო სეზონში საგადინი „ოლიმპიას" დაუბრუნდა და მეც წამიყვანა.

**— იმავე წელს „ოლიმპიას" სასტარტო ხუთეულში ადგილი დაიმკვიდრა ვლადიმერ სტეფანიამ...**

— „ოლიმპია" დიდი გუნდია და იქ მოხვედრა, იქაური ვარჯიშების და კონკურენციის გაძლება მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია. სტეფანიაც ამგვარია, მისი მონაცემების პატრონი სხვანაირი არ უნდა იყოს, მაგრამ ამ კალათბურთელთან დაკავშირებით მუდამ პრობლემები გვქონდა.

სტეფანია მერყევი ხასიათის კალათბურთელი იყო. მას შეეძლო შესანიშნავად ეთამაშა „ბარსელონას", „სტეფანელის" ან „პანათინაიკოსის" წინააღმდეგ, მარტოს მოეგო მატჩები, მაგრამ შემდეგ სლოვენიის ჩემპიონატის აუტსაიდერთან თამაშს ჩააგდებდა.

ვერ ვიტყვი, რომ ზარმაცი იყო, მაგრამ არასაკმარისად შრომობდა. მისი მერყევი ხასიათი აქაც ჩანდა: დღეს კარგად, სრული დატვირთვით ივარჯიშებდა, ზედმიწევნით შეასრულებდა მწვრთნელის დავალებას; მეორე დღეს კი გამოგიცხადებდა, საკმარისად ნავარჯიშევი ვარო და გაჩერებული იყო.

იმ მოთაამეებისგან განსხვავებით, რომელთაც თავად იციან როგორ უნდა ივარჯიშონ, სტეფანიას ჯოხით უნდა დადგომოდი თავზე. სულ ვეუბნებოდი, რომ დიდი ნიჭი გაქვს და ნუ ფლანგავ-თქო... ძალიან გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ ვლადიმერზე ნაწყენი ვარ. სრულებითაც არა, მან „ოლიმპიასთვის" ძალიან ბევრი რამ გააკეთა და მნიშვნელოვანი გამარჯვებებიც მოუტანა. უბრალოდ, მაინც მგონია, რომ სტეფანია თავის ნიჭის შესაბამისად არ შრომობდა.

**— ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სტეფანიას გადასვლას როგორღა ახსნით?**

— სტეფანიას აბსოლუტურად ყველა მონაცემი აქვს, დიდი კალათბურთელი რომ გახდეს. განა შრომისმოყვარეობა აკლდა? არა, მაგრამ მხოლოდ მაშინ ავლენდა ამ უნარს, როცა თავად სურდა.

სულაც არ მგონია, რომ სტეფანია „სიეტლის" სათადარიგო მოთამაშედ დაასრულებს ამერიკულ კარიერას. ახლა მისთვის მთავარია აითვისოს გუნდური თამაში და ევროპულ ინდივიდუალიზმს გადაეჩვიოს. თუკი ამას შეძლებს, ვლადიმერი მართლა დიდი მოთამაშე გახდება.

**— „სლოვანის" ქართველებთანაც ხომ არა გაქვთ მსგავსი პრობლემები?**

— ჯერჯერობით, არა. ესენი დამჯერი სპორტსმენები არიან, თანაც სტეფანია „ოლიმპიაში" რომ მოვიდა, ამათზე უფროსი იყო.

**— მოკლედ, სლოვენიელი მწვრთნელებიდან ქართველებთან მუშაობის და ურთიერთობის ყველაზე დიდი გამოცდილება გაქვთ...**

— თანახმა ვარ, ეს ურთიერთობები გაგრძელდეს. ქართველებს შეგიძლიათ კარგი კალათბურთის თამაში, ოღონდ, რას იზამ, ამის საშუალება არა გაქვთ. ვფიქრობ, ახალგაზრდა ქართველების სლოვენიაში ყოფნა მათთვის კარგი უნდა იყოს. აქ მათ კარგი სავარჯიშო და საყოფაცხოვრებო პირობები, მაღალი ხელფასი, ბევრი თამაშის და სხვადასხვა სტილის მოთამაშეებთან ასპარეზობის საშუალება აქვთ. მაგალითად, თურქეთში ან საბერძნეთში ახალგაზრდა კალათბურთელი ვერ გაიზრდება. იქ საკალათბურთო მეურნეობა სხვაგვარად, ჩამოყვანილ ვარსკვლავებზეა აწყობილი. სლოვენიაში კი მოთამაშეები იზრდებიან და მერე მიდიან დიდ კლუბებში. ნახეთ, ორ წელიწადში სლოვენიის კლუბებში გამოზრდილი სამი კალათბურთელი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვდა. ესენი არიან მილიჩი, ნესტეროვიჩი და სტეფანია.

იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრები უახლოეს მომავალში, ბოლოსდაბოლოს, მოხვდება ევროპის ჩემპიონატზე. ეს წარმატება კი ჩემმა დღევანდელმა მოსწავლეებმა უნდა მოიტანონ. დავუმატოთ ამ ოთხეულს სტეფანია, ფაჩულია... კარგი ნაკრების გაკეთება შეგიძლიათ.

ერთ საიდუმლოს გაგანდობთ: ძალიან მომწონს ზაზა ფაჩულია. არ ვიცი, რა სახის კონტრაქტი აქვს მას „ულქერთან", მაგრამ მის „სლოვანში" გადმოსაყვანად უკვე ვმუშაობთ. რეალურად ვფიქრობ, რომ ჩემი გუნდის წინა ხაზი ქართული იყოს. ფაჩულიასთვისაც ასე აჯობებს: აქ მეტს ისწავლის და მერე ნებისმიერი დიდი გუნდის კარი მისთვის ღია იქნება.

**მერაბ რატიშვილი**
**ლიუბლიანა — თბილისი**

## სლოვენია

I ტური

სლოვანი — პივოვარნა ლაშკო 62:72, ზაგორიე — როგლა 65:62, კრაშკი ზიდარი — ოლიმპია 67:87, ლოკა კავა — სავინსკი 67:83, კრკა — ჰელიოსი 86:50, მარიბორი — ტრიგლავი 70:80

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კრკა | 1 | 1 | 0 | 86:50 | 2 |
| ოლიმპია | 1 | 1 | 0 | 87:67 | 2 |
| სავინსკი | 1 | 1 | 0 | 83:67 | 2 |
| ტრიგლავი | 1 | 1 | 0 | 80:70 | 2 |
| პივოვარნა | 1 | 1 | 0 | 72:62 | 2 |
| ზაგორიე | 1 | 1 | 0 | 65:62 | 2 |
| როგლა | 1 | 0 | 1 | 62:65 | 1 |
| მარიბორი | 1 | 0 | 1 | 70:80 | 1 |
| სლოვანი | 1 | 0 | 1 | 62:72 | 1 |
| ლოკა კავა | 1 | 0 | 1 | 67:83 | 1 |
| კრაშკი ზიდარი | 1 | 0 | 1 | 67:87 | 1 |
| ჰელიოსი | 1 | 0 | 1 | 50:86 | 1 |

## იტალია

I ტური

ბენეტონი — იმოლა 69:66, კინდერი — ძუკეტი 77:60, ოლიმპია — ვარეზე 72:61, აეროპორტი — ვიოლა 79:67, პეპსი — მიულერი 67:60, კანტუ — ტრიესტი 73:65, სიენა — რეჯანა 81:60, სკავოლინი — ფორტიტუდო 79:90

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 1 | 1 | 0 | 81:60 | 2 |
| კინდერი | 1 | 1 | 0 | 77:60 | 2 |
| აეროპორტი | 1 | 1 | 0 | 79:67 | 2 |
| ფორტიტუდო | 1 | 1 | 0 | 90:79 | 2 |
| ოლიმპია | 1 | 1 | 0 | 72:61 | 2 |
| კანტუ | 1 | 1 | 0 | 73:65 | 2 |
| პეპსი | 1 | 1 | 0 | 67:60 | 2 |
| ბენეტონი | 1 | 1 | 0 | 69:66 | 2 |
| იმოლა | 1 | 0 | 1 | 66:69 | 1 |
| მიულერი | 1 | 0 | 1 | 60:67 | 1 |
| ტრიესტი | 1 | 0 | 1 | 65:73 | 1 |
| სკავოლინი | 1 | 0 | 1 | 79:90 | 1 |
| ვარეზე | 1 | 0 | 1 | 61:72 | 1 |
| ვიოლა | 1 | 0 | 1 | 67:79 | 1 |
| ძუკეტი | 1 | 0 | 1 | 60:77 | 1 |
| რეჯანა | 1 | 0 | 1 | 60:81 | 1 |

## ესპანეთი

III ტური

კასერესი — რეალი 73:68, ხირონა — ფუენლაბრადა 87:76, პამესა — ბადალონა 85:78, უნიკახა — კახა სან ფერნანდო 65:59, ლეონი — ტაუ 66:83, ხიხონი — ბარსელონა 79:69, კანტაბრია — გრან კანარია 79:83, ბრეოგანი — ფორუმი 64:89, ადეკო — ტდკ 74:68

„ბარსელონა" პირველად დამარცხდა. კვირას ქვეყნის ჩემპიონი „ხიხონს" ეწვია და პირწმინდად დაუთმო მატჩი. ბარსელონელებმა არეულ-დარეულებმა ითამაშეს. ძნელად იტყოდა ვინმე, რომ იგივე გუნდმა, ორი დღის წინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავებისგან დაკომპლექტებულ ნაკრებს 4:78 მოუგო. მატჩი „ბარსელონას" ასწლოვან იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა. „ხიხონმა" კი არად ჩააგდო, რომ მის მეტოქეს პიპენი, ბარკლი, ვან ჰორნი, ჰოვარდი და ძმანი მათნი ჰყავდა დამარცხებული, თავიდანვე შეუტია და უპირატესობა ერთი წუთითაც არ დაუკარგავს.

კვლავ წააგო მადრიდის „რეალმა". ამჯერად მისი დამჩაგვრელი „კასერესი" აღმოჩნდა, უფრო სწორად, ამ გუნდის ამერიკელი დენია აბრამსი (29 ქულა, 16 მოხსნა). მატჩი, ძირითადად, თანაბრად მიმდინარეობდა, ოღონდ ხანდახან „კასერესი" 5-8 ქულით წინ გაიჭრებოდა ხოლმე. როცა ანგარიში 63:63 იყო, აბრამსმა თანაგუნდელები აიყოლია და „კასერესმა" ერთი მონაკვეთი 6:0 მოიგო. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა, „რეალს" კი შესანიშნავმა ალბერტო ერეროსმაც (17 ქულა) ვერ უშველა.

აბრამსი, მეორე ტურის საუკეთესო მოთამაშე, მესამეშიც შესწვდა ამ ტიტულს, ოღონდ ამჯერად პატივი ვალენსიის „პამესას" ამერიკელ ჰოფკინსთან გაიზიარა. ჰოფკინსმა 28 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი და 4 ჩაჭრა გაუკეთა „ბადალონას". „პამესას" ადრევე გამოაკლდა ტანოკა ბერდი (8 ქულა), ვინც ჩხუბი ატეხა და გააგდეს. „ბადალონამ" ვერ შეირგო უპირატესობა, მის რიგებში მხოლოდ ფერან მარტინესი (32 ქულა, 12 მოხსნა) გამოირჩეოდა.

„პამესასთან" ერთად დაუმარცხებელ სვლას აგრძელებს „ხირონა", რომელმაც აქამდე წაუგებელ „ფუენლაბრადა" იმსხვერპლა. ხირონელმა ლასომ 8 პასი ჩამოარიგა, რომელთა უმრავლესობა ამერიკელმა მიდლტონმა (26 ქულა, 10 მოხსნა) კალათში დააბინავა. არ გამოუვიდა თამაში „ფუენლაბრადას" ლიდერს ველიმირ პერასოვიჩს (11 ქულა).

ზედიზედ მესამედ დამარცხდა ევროლიგის ბინადარი, განთქმული მწვრთნელის ხავიერ იმბროდას „კახა სან ფერნანდო". არანაკლებ დიდმა სტრატეგოსმა ბოჟიდარ მალკოვიჩმა სწორი ტაქტიკით ათამაშა თავის „უნიკახა" და მეორე გამარჯვება მოიპოვა. მოგებულთა შორის საუკეთესო იყო ველკო მრშიჩი (19 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი).

ცხრილის ბოლოს კი „ბრეოგანი" დაფუძნებულა. იგი თავიდან უგებდა ვალიადოლიდის „ფორუმს" და ტაიმიც თავის სასარგებლოდ დაასრულა (38:35), შესვენების შემდეგ კი ხელები ჩამოუშვა და, საბოლოოდ, 25 ქულით წააგო.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 3 | 3 | 0 | 250:226 | 6 |
| ხირონა | 3 | 3 | 0 | 241:218 | 6 |
| ფორუმი | 3 | 2 | 1 | 232:163 | 5 |
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 225:206 | 5 |
| კასერესი | 3 | 2 | 1 | 244:234 | 5 |
| უნიკახა | 3 | 2 | 1 | 201:192 | 5 |
| ხიხონი | 3 | 2 | 1 | 196:188 | 5 |
| ფუენლაბრადა | 3 | 2 | 1 | 240:238 | 5 |
| ადეკო | 3 | 2 | 1 | 227:229 | 5 |
| გრან კანარია | 3 | 2 | 1 | 221:223 | 5 |
| ტდკ | 3 | 1 | 2 | 232:217 | 4 |
| რეალი | 3 | 1 | 2 | 234:230 | 4 |
| ტაუ | 3 | 1 | 2 | 227:232 | 4 |
| ლეონი | 3 | 1 | 2 | 209:234 | 4 |
| კანტაბრია | 3 | 1 | 2 | 210:251 | 4 |
| სან ფერნანდო | 3 | 0 | 3 | 197:220 | 3 |
| ბადალონა | 3 | 0 | 3 | 227:251 | 3 |
| ბრეოგანი | 3 | 0 | 3 | 193:254 | 3 |

# ტაისონს ნორისი დააჯახეს

მაიკ ტაისონი რინგს უბრუნდება. 23 ნოემბერს, ლას ვეგასის „ემჯიემ გრენდში" ის თორმეტრაუნდიან ბრძოლაში შეერკინება ორლინ ნორისს.

ტაისონი 24 მაისს გამოვიდა მერილენდის შტატის ქალაქ როკვილის ციხიდან, სადაც ორი მძღოლის გალახვისთვის იხდიდა სასჯელს. სანიმუშო მოქცევის გამო რკინის მაიკი ოთხ თვეში გაათავისუფლეს.

ციხიდან გამოსულმა ტაისონმა მოწინააღმდეგის ძებნა დაიწყო. მისმა მენეჯერმა შელი ფინკელმა თვალი დაადგა ორმოცს მიტანებულ ჯეიმს „ბასტერ" დაგლასს. ბასტერი ხომ ის კაცია, ვინაც ამ ცხრა წლის წინათ ნოკაუტში ჩააგდო მაიკი ტოკიოს რინგზე, პირველი მარცხიც აგემა და ჩემპიონობაც წაართვა. მაგრამ იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. 1990 წელს დაგლასმა ლამის უბრძოლველად გადაულოცა ტიტული ევანდერ ჰოლიფილდს და კრივსაც გამოეთხოვა. იგი გვარიანად გასუქდა და დიაბეტით ტანჯული კომაშიც კი ჩავარდა. მაშინ ექიმები სამ დღეს იბრძოდნენ ყოფილი ჩემპიონის გონს მოსაყვანად. ასოთხმოცკილოგრამიანი დაგლასი სამი წლის წინათ დაუბრუნდა რინგს და მეორეხარისხოვან ბრძოლებში მონაწილეობით შოულობდა ფულს.

ნევადის შტატის ათლეტთა კომისიამ „ბასტერ" დაგლასის გამოკვლევა გადაწყვიტა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლად სცნო ამგვარი რანგის ბრძოლისთვის. ტაისონის მენეჯერი შელი ფინკელიც აღარ გაჯიუტებულა: „მაიკი სერიოზულად ემზადება და ისეთ მოკრივესთან ბრძოლა ურჩევნია, რომელიც ფიზიკურადაც და სულიერადაც მზად იქნება კრივისთვის. ამიტომ, ჩვენს მიერ 2 ოქტომბრისთვის დაგეგმილი ბრძოლა არ შედგება".

ასე დაიწყო ახალი მოწინააღმდეგის ძებნა და მორიგი დაბრუნების თარიღად 23 ნოემბერი გამოცხადდა. ლაპარაკი იყო ორ კაცზე: 30 წლის პოპულარულ ხორვატ ჟელკო მაკროვიჩზე, რომელსაც შარშან ქულებით მოუგო ლენოქს ლუისმა და 33 წლის ამერიკელ ორლინ ნორისზე.

ტაისონის ხალხმა ნორისი აირჩია.

„მათ ჰგონიათ, რომ ორლინი იოლი გასალახია", — თქვა ნორისის მენეჯერმა, სკოტ ვუდვორტმა — „მაგრამ ორლინი ცნობილია დიდოსტატური დაცვით და ახლო ბრძოლაში ოსტატობით".

ნორისს 44-ჯერ მოუგია (აქედან 26 ნოკაუტით) და 5 წაგება აქვს.

ბრძოლის შედეგისდა მიუხედავად, ის 800 ათას დოლარს მიიღებს, ტაისონი კი 10 მილიონს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



მაიკ ტაისონი

# პაატა გვასალია ისევ რუსებთან მიდის

## მაფია კრივშიც უკვდავია

გეხსომებათ, აგვისტოში ამერიკულმა ქალაქმა ჰიუსტონმა მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. ის ჩვეულებრივად დაიწყო, მაგრამ უჩვეულოდ დამთავრდა — ჯერ იყო და, სამოყვარულო კრივის ლეგენდად ქცეული კუბელი ქვემძიმეწონოსანი ფელიქს სავონი არ გავიდა ფინალში საჩხუბრად (რითაც მსოფლიოს ჩემპიონის მეშვიდე ტიტულზეც თქვა უარი), მერე კი მთლიანად კუბის დელეგაციამ მიატოვა პროტესტის ნიშნად ტურნირი.

ეს ყოველივე თავისთავად საინტერესოა. მაგრამ ჩვენ უფრო ქართველთა გამოსვლა გვაინტერესებდა. მაშინ მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ საქართველოს სამკაციანი გუნდი (დანარჩენები ვერავინ დააფინანსა) — პაატა გვასალია (63,5), გოჩა აბაშიძე (67) და მურად სულთანოვი (75) — ნაადრევად გამოეთიშა ჩემპიონატს. ამათგან კი, რა დასამალია, ყველაზე მეტად პაატა გვასალიასი გვეიმედებოდა...



პაატა გვასალია

**— პაატა, მოდით, დაწვრილებით ვისაუბროთ, რა მოხდა ჰიუსტონში. დიდი იმედით გაგაგზავნეს, მაგრამ ... კარგი მოგონებებით არ ჩამოხვიდოდით.**

— ნამდვილად არა: ფაქტობრივად, მსაჯებმა წამაგებინეს. იქ ისეთი არაობიექტური მსაჯობა იყო, მსოფლიოს ჩემპიონატს არც ჰგავდა. ალბათ, იცით, რომ კუბელთა დელეგაციამ საერთოდ მიატოვა ტურნირი, ფელიქს სავონმა ფინალში არ იჩხუბა, ფრანგებმაც გამოთქვეს პროტესტი. ამას კი დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.

რაც შეეხება ჩემს გამოსვლას, მეოთხედფინალში წავაგე ტაივანელ მეტოქესთან. თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ოთხივე რაუნდი მე მოვიგე, მაგრამ მსაჯებმა მაინც წაგება ჩამითვალეს. მას აქამდე არ შევხვედრივარ. ისე, საკრივო სამყაროში უცნობიც არაა — წლეულს მსოფლიოს თასის ფინალში გავიდა. თუმცა ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა — მე მას აშკარად ვჯობდი. საბოლოოდ 7:6 ჩამითვალეს წაგება და მეც გაბრაზებულმა დავტოვე რინგი. სხვათა შორის, ატლანტის ოლიმპიადის წინაც, სალიცენზიო ევროპის ჩემპიონატზეც ზუსტად ამ ანგარიშით წამართვეს მოგება. ამერიკული ჩემპიონატის მოუწესრიგებლობის ნიმუშად იმასაც გავიხსენებ, რომ ორგანიზატორებს ჩვენთვის რატომღაც არც ტურნირის ოქმები მოუციათ, არადა წესით უნდა მოეცათ.

მოკლედ, საერთაშორისო ფედერაციაში პატრონია საჭირო, რომ არ დაგჩაგრონ.

**— მერედა, თქვენც ხომ გყავდათ პატრონი— ზურაბ ფალიანი, რომელიც საერთაშორისო ფედერაციაში ტექნიკური კომიტეტის წევრია**

— ზურაბ ფალიანი, როგორც საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, თავის მოვალეობას კი ასრულებდა, მაგრამ ის იქაურ მაფიასთან ბევრს ვერაფერს გახდება. ეგ კი არა, კუბელებს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი თეოფილო სტივენსონი ახლდათ და მანაც ვერაფერი ილონა, სტივენსონის ავტორიტეტი კი მოგეხსენებათ. თანაც ის საერთაშორისო ფედერაციის წევრიცაა. მიუხედავად ამისა, კუბელები მაინც აიძულეს, ტურნირი დაეტოვებინათ. ფელიქს სავონი მეშვიდედ გახდებოდა მსოფლიოს ჩემპიონი. ეს კი რამხელა წარმატებაა. ის ავიდა რინგზე, თავის დაკვრით ყველას მიესალმა და უხმოდ ჩამოვიდა. კუბის დელეგაციამ დარბაზი ჰიმნით დატოვა, ხოლო ამერიკა — ფიდელ კასტროს გამოგზავნილი თვითმფრინავით.

მოკლედ, ჩვენ ძალიან სუსტები ვართ, მაგრამ სუსტები ვართ ეკონომიკურად და არა იმდენად სპორტული მომზადებით.

**— თუ მართლა მსაჯებმა წაგაგებინეს, რას გერჩოდნენ? ან ის ტაილანდელი რატომ სარგებლობდა მათი სიმპათიით?**

— აქ აზიურმა ფაქტორმა იმოქმედა. კრივის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჩაუდსი პაკისტანელია, მაგრამ ტაილანდელი მეუღლე ჰყავს. თან ჰიუსტონში იმდენი ტაილანდელი იყო ჩამოსული, თავი ბანგკოკში გეგონებოდათ. აქ კონტინენტებს შორის ჯიბრმაც ითამაშა როლი. საკრივო ქვეყნები ძირითადად აზიაში, ევროპასა და ჩრდილო ამერიკაშია. ისინი მედლებისთვის გამუდმებით ექიშპებიან ერთმანეთს.

**— სულთანოვმა და აბაშიძემ როგორ იჩხუბეს?**

— აბაშიძემ პირველი ბრძოლა კარგად ჩაატარა. მეორესაც იგებდა ერთი ქულით. დამთავრებამდე ათი წამი რჩებოდა. ჩვენ კომპიუტერთან არავინ გვყავდა, რომ მისთვის ეს ეთქვა, უმწვრთნელოდ ვიყავით, ამიტომ ამ ფუნქციას ფალიანი ასრულებდა. ტიბუა კი მსაჯია და იქ მისვლის უფლება არ ჰქონდა. ამ დროს გოჩას უნდა ემოძრავა, დრო გაეყვანა. მან კი ანგარიში არ იცოდა და მეტოქეს ჩხუბში აჰყვა, რაც წაგებად დაუჯდა.

სულთანოვმა ჯერ კორეელს მოუგო, მერე რუს ევგენი კაზანცევს შეხვდა. მურადი, ადრე ჩემსავით რუსეთში ვარჯიშობდა. ჰოდა, რუსები გამუდმებით გვაყვედრიდნენ, ჩვენთან ვარჯიშობდით და ახლა უფლება არ გაქვთ, მოგვიგოთო. ისინი სულთანოვს მთელი დღე ამას ეჩიჩინებოდნენ და ეტყობა, ამან ფსიქოლოგიურად მოშალა. შეიძლება ვარჯიშიც აკლდა. ის ჩემთან ერთად ემზადებოდა მალთაყვაში, სადაც რომან მელიამ ბინა მოგვცა. მაგრამ სპარინგ-პარტნიორები არ გვყავდა. მართალია, ზუგდიდელი ლევან ჯანჯლავა კი გვეხმარებოდა მომზადებაში, სპარინგობას გვიწევდა, მაგრამ ეს 71 კილოიანი ბიჭი ჩემთვის დიდი იყო, სულთანოვისთვის — პატარა. ამიტომ ვერ მოვემზადეთ სათანადოდ.

**— პაატა, რუსეთში უკეთეს პირობებში ემზადებოდით, იქაური ფედერაცია საერთაშორისო ასპარეზზეც უკეთ გიპატრონებდათ, ხომ არ ნანობთ საქართველოში ჩამოსვლას?**

— საქართველოში ჩამოსვლას არ ვნანობ, პირობებზე კი ძალიან მწყდება გული. სპორტსმენს ხელფასიც უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამაზე არ ვლაპარაკობ, შეკრება ხომ მაინც უნდა გაიაროს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ? რუსეთში ექვსი წელი ვიყავი და მთელი ეს დრო შეკრებიდან შეკრებაზე თუ ტურნირიდან ტურნირზე მოგზაურობაში გავატარე. ამდენი თავისუფალი დრო, რაც საქართველოში დაბრუნების მერე მაქვს, რუსეთში მთლიანად არ მქონია. რაც მთავარია, აქ რიგიანი სპარინგების საშუალება არაა.

**— მომავალში რას აპირებთ?**

— ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ვოცნებობ, ან მედალზე მაინც. კრივში ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოს კი არა, კავკასიასაც მხოლოდ ერთი ჰყავდა — ვლადიმერ ენგიბარიანი, ამ წარმატებაზე თავად სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს. აქ მარტო ჩემზე არ ვლაპარაკობ. ჩვენთან ბევრი ნიჭიერი მოკრივეა.

**— ოლიმპიური ლიცენზიები სად და როდის გაიცემა?**

— ევროპის კრივის ფედერაციის ოთხ სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირში. ლიცენზიებს პირველ — მეორე ადგილებზე გასულები მიიღებენ. პირველი სალიცენზიო ტურნირი, სექტემბრის ბოლოს გაიმართება სევასტოპოლში, სადაც გოჩა რუსია, ვლადიმერ ჭანტურია, მურად სულთანოვი და გოჩა აბაშიძე უნდა გამოვიდნენ, მაგრამ ალბათ უფულობის გამო ვერ გაუშვებენ. ახლა ჩვენთან წონები დაყვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლუწები ლიცენზიებს ერთ ტურნირზე მიიღებენ, კენტები — მეორეზე. ეს მონაწილეთა რაოდენობის შესამცირებლად გაკეთდა. ყველა რეგიონს თავისი სალიცენზიო ტურნირი აქვს. თანაც კრივში ლიცენზიას იღებს სპორტსმენი და არა ქვეყანა, როგორც ეს ზოგ სხვა სახეობებშია., ამიტომ ლიცენზიის მოპოვების კანდიდატებს, მერე კი ლიცენზიამოპოვებულებს დიდი ხელშეწყობა სჭირდებათ, საქართველოში კი დაპირების მეტი არაფერია.

**— ამ სალიცენზიო ტურნირებისთვის როგორ ემზადებით?**

— მოსამზადებლად კისლოვოდსკში მივდივარ. შეკრებას რუსეთის ნაკრებთან ერთად გავივლი. ჩვენთან სპარინგების საშუალება არაა. ახლა დეპარტამენტისგან ფულს ვითხოვ იქ წასასვლელად. სპორტის სამმართველოს უფროსი ამირან აბესაძე დაგვპირდა დახმარებას, ვნახოთ... თუმც მარტო მე ხომ არ ვარ, საქართველოს ნაკრებს შეკრება ხომ უნდა მოუწყონ. წინ ოლიმპიადაა. ეტყობა, თვითონ სახელმწიფოს არ აინტერესებს ჩვენი წარმატებები.

**— დეპარტამენტისგან შეკრების ფულს ითხოვთ თუ ხელფასს?**

— თუ ორივეს მომცემენ, ხომ კარგი, თუ არა და ხელფასი მაინც მომცენ და წავალ ჩემი ფულით შეკრებაზე. ახლა ჩემთვის გადამწყვეტი ტურნირები იწყება. ამიტომ კარგად უნდა მოვემზადო. კისლოვოდსკის მერე პოდოლსკში მინდა წასვლა შეკრებაზე.

**ირაკლი თავაძე**



# ქორწინება მძლეოსნურად

## სევილიაში ერთ დღეში ორი ქვეყნის სახელით გამოსვლაც შეიძლებოდა

ბოლოდროინდელ მძლეოსნობას დაჩქარებული ნატურალიზაცია დასჩემდა. განვითარებული ქვეყნები ღარიბთა მოქალაქეებს ათასგვარი სიკეთით ხიბლავენ და მათი უმეტესობაც ადვილად იცვლის სამშობლოს. ასეთი ამბები სპორტის სხვა სახეობებშიც ხდება, მაგრამ მძლეოსნობაში განსაკუთრებით გახშირდა. ჰოდა, მსოფლიო მძლეოსნობის მმართველ ორგანიზაციას, იააფ-ს მობეზრდა ყოველივე და კონტრზომების მიღებაც გადაწყვიტა.

ამიერიდან თუ რომელიმე სპორტსმენს ახალი დროშით მოუნდება გამოსვლა, მან ახალი პასპორტი უნდა წარადგინოს, ისევე, როგორც ეს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვისაა საჭირო, თანაც, ბოლო სამი წლის მანძილზე თავისი „ყოფილი" სამშობლოს სახელით არც ერთ საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობას არ უნდა მიითვლიდეს. „უმოქმედობის" პერიოდი შეიძლება ერთ წლამდე შემცირდეს, თუ ორივე ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციები შეთანხმდებიან ამის შესახებ. რაც შეეხებათ პოლიტიკურ ლტოლვილებს, მათი შემთხვევები ცალკე განიხილება.

ეს ახალი წესი იააფ-მა სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატისას მიიღო და ძალიან დროულად, თორემ ზოგიერთი ქვეყანა უცხოელებს ისე „ყიდულობდა", როგორც ამას დიდი საფეხბურთო კლუბები აკეთებენ, ოღონდ მძლეოსნობაში ფაქტობრივი ლეგიონერების რიცხვი გაცილებით მეტი იყო. მათ მოქალაქეობის მიღების გაადვილებული წესიც უწყობდათ ხელს — ფიქტიური ქორწინების შემდეგ ესა თუ ის სპორტსმენი იმაზე მოკლე დროში იცვლიდა სამშობლოს, ვიდრე მე ამის დაწერას მოვანდომე.

— საქმე იქამდე მივიდა — ამბობს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მდივანი იშტვან გიულაი — რომ თუ ამ წესს არ შევცვლიდით, სავსებით შესაძლებელი იყო, სევილიაში რომელიმე სპორტსმენი ორ დისციპლინას შორის დაქორწინებულიყო და ერთ დღეში ორი სხვადასხვა ქვეყნის სახელით გამოსულიყო. ძალიან ხშირად გვხვდებოდა ჩაწყობილი ქორწინებების შემთხვევები. ერთი წლის განმავლობაში ამ გზით ერთ-ერთმა ქვეყანამ, რომლის დასახელებისგან თავს შევიკავებ, ათი მაღალი კლასის მძლეოსანი „შეიძინა".

სევილიაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მთელი ლეგიონი იყო იმ სპორტსმენებისა, რომლებმაც ნატურალიზაცია გაიარეს. უილსონ კიპკეტერის (კენია — დანია), ლუდმილა ენკვისტის (რუსეთი — შვედეთი), ფიონა მაის (დიდი ბრიტანეთი — იტალია), ანუკ ბარბერის (სიერა ლეონე — საფრანგეთი), ამ ყველასათვის ცნობილი მძლეოსნების გარდა, კიდევ უამრავი სახელის ჩამოთვლა შეიძლება. ზოგიერთი მათგანი ხშირად თავისი ახალი სამშობლოს ენაზე გაჭირვებით, ანდა სულაც ვერ ლაპარაკობს.

სამმაგ ხტომაში გიოტებორგის 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის მომგები ჟერომ რომენი, რომელიც მაშინ დომინიკელი იყო, სევილიაში საფრანგეთის ღირსებას იცავდა. მისმა გვარ-სახელმა შეიძლება ვინმე შეცდომაშიც შეიყვანოს და აფიქრებინოს, რომ ის დაბადებიდან ფრანგია, მაგრამ სხვათა შემთხვევებში ეს გამორიცხულია. ვინ იფიქრებს, რომ გრიგორიევა, მარკოვი და ჩისტიაკოვი ავსტრალიელები, მიკიტენკო — გერმანელი, ფუდიუშინა — ავსტრიელი, პორხომოვსკი კი ებრაელია? ალბათ, ვერავინ.

მძლეოსნობაში ყველაზე ძლიერი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატებიც კი გაფაციცებით ეძებს ხოლმე „სამემკვიდრეოს გარეშე დარჩენილ რაინდებს". მაგალითად, მაროკოელი ხალიდ ხანუჩი, ჩიკაგოს მარათონის ორგზის გამარჯვებული, ერითრიელი მებრატომ კეფლეზიგი, 10 კილომეტრზე რბენის ოსტატი და სხვანი დღე-დღეზე ელიან აშშ-ის მოქალაქეობის მიღებას, რათა სიდნეის ოლიმპიადაზე ასპარეზობა შეძლონ.

საბედნიეროდ, მძლეოსნები საქართველოდან არ გარბიან, თუმცა რაც არ გვყავს...

**გაიოზ თალაკვაძე**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# ვისი შანსი სჯობს

კვირას მონცას ავტოდრომზე გამართულმა რბოლამ სატურნირო ცხრილში მეტნაკლები სიცხადის შეტანის ნაცვლად სიტუაცია უკიდურესობამდე დაძაბა.

იტალიის დიდი პრიზის გათამაშებაში (70-ე საერთოდ და 50-ე ჩემპიონატების ისტორიაში) „მაკლარენის" უსახურმა გამოსვლამ „ფერარის" ჩემპიონობის იმედა საგრძნობლად გაუღვივა როგორც პირად, ასევე გუნდურ ჩათვლაში. მორიგი, დაგეგმილი გამარჯვების მაგივრად აღებული ორად ორი ქულით ინგლისურმა საჯინიბომ საკმაოდ გაირთულა მდგომარეობა. მართალია, შუა რბოლისას მიკა ჰაკინენის გავარდნით „ფერარის" ლიდერმა ედი ირვინმა ხელის მოთბობა ვერ შეძლო და მეექვსე ადგილსა და მხოლოდ ერთ ქულას დასჯერდა, მაგრამ ფინელი მრბოლისთვის ესეც ხომ მიუწვდომელი აღმოჩნდა. არადა, ედი სწორედ ამ კინკილა ქულის წყალობით წამოეწია მიკას საერთო ჩათვლაში. ზუსტად განმეორდა შარშანდელი სიტუაცია, როცა მხოლოდ „მონცაზე" რბოლის შემდეგ მოახერხა „ფერარიმ" ჰაკინენის დაწევა. ოღონდ მდევრის როლში მაშინ მიხაელ შუმახერი იყო, ამჯერად კი ირვინი გახლავთ.

სადღეისოდ ლიდერებს 60-60 ქულა დაუგროვდათ და ფინიშამდე სამი ეტაპით ადრე საჩემპიონო ბრძოლა თავიდან იწყება. მიკა სალოს მესამე ადგილით „ფერარიმ" გუნდური ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირა, რაც მართალია მინიმალური არ არის, მაგრამ არც ისეთი დაუძლეველი, კაცს გული გაუტეხოს.

ერთი სიტყვით, ჯერ არაფერია გარკვეული და ჩემპიონის ვინაობაც, ალბათ, ბოლო რბოლაშიღა გახდება ცნობილი.

იტალიაში ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის გამარჯვებამ პირველობისთვის ბრძოლას მეტი ინტრიგა და დაძაბულობა შეჰმატა. ამჟამად, ანუ დასკვნითი სამი რბოლის წინ ერთბაშად ოთხი პილოტი ინარჩუნებს ჩემპიონობის შანსს, მსგავსი ვითარება კი ბოლო 12 წელი არ ყოფილა.

ჰაკინენი და მისი თანაგუნდელი დევიდ კულჰარდი (48 ქულა) შარშანაც ოქროს მაძიებელთა შორის იყვნენ. აი, ირვინი და ფრენცენი (50) კი, რომლებიც თავიანთ საუკეთესო სეზონს ატარებენ, პირველად ჩაებნენ საჩემპიონო ბრძოლაში.

ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც უნდა დასრულდეს წლევანდელი პირველობა, ირვინს „ფერარიდან" აბარგება მოუწევს. ფორმულის ყველაზე სახელოვან გუნდში მას რუბენს ბარიკელო შეცვლის. მიზეზი გასაგებია — 27 წლის ბრაზილიელი 6 წლით უმცროსია და ამდენად, უფრო პერსპექტიულიც. საინტერესოა, თუ ირვინი ჩემპიონობას მოიპოვებს, მაშინაც ასე იოლად შეელევიან?

რუბენსს 110 რბოლიდან ჯერ ერთიც არ მოუგია (ირვინს 3 გამარჯვება აქვს) და ჩემპიონატებში მე-6 ადგილს ვერ ასცილებია. თუმცა, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ აქამდე არც ერთი ხეირიანი ბოლიდის საჭესთან არ მჯდარა, ერთთავად საშუალო დონის ბედაურებს დააჭენებდა — ოთხი წელი „ჯორდანს", ბოლო სამი სეზონი კი უარეს „სტიუარტს". მოკლედ, რუბინიოს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება ერთხელაც არ მისცემია. ახლა ორი წლით თვით შუმის პარტნიორობას გამოჰკრა ხელი, დანარჩენი კი თვითონ იცის.

# ედი მეცხრე ცაზე

ისეთი წარმატებული სეზონი როგორიც წლეულს, ედი ჯორდანის ბიჭებს არასოდეს ჰქონიათ.

1980 წელს შექმნილი გუნდის დებიუტი ფორმულაში 11 წლის თავზე შედგა. წლევანდელ სეზონამდე „ჯორდანს" ერთობ მწირი მონაგარი ჰქონდა — ერთადერთი დიდი პრიზი (შარშან, ბელგიაში, დეიმონ ჰილი) და მხოლოდ 155 ქულა. ჩემპიონატშიც მეოთხე ადგილს ვერ ასცილებოდა.

მიმდინარე, მისთვის ფანტასტიკურ სეზონში კი კონსტრუქტორთა თასზე მე-3 ადგილი პრაქტიკულად განაღდებული აქვს და, რაც მთავარია, გუნდის ლიდერი, ორი ეტაპის მომგები ფრენცენი რეალურად თუ არა, კარგა მაგრა მაინც უმიზნებს ჩემპიონობას.

შედარებისთვის: შარშან მეოთხე ადგილი „ჯორდანმა" 34 ქულით დაიკავა, წლეულს კი ფინიშამდე სამი რბოლით ადრე უკვე 57ქულა აქვს და ერთ დროს უძლეველ „უილიამსს" 27-ით უსწრებს. ფრენცენმა იტალიის დიდი პრიზი რომ მოიგო, ამიტომაც გაიხარა დარბაისელმა შეფმა ბავშვივით — პოდიუმზე მდგარმა ჯორდანმა ხელებიც ენერგიულად იქნია და მშობლიურ ბრიტანულ ჰიმნსაცააყოლა ხმა.

ფორმულის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში „ჯორდანი" მე-19 გუნდი გახდა, რომელსაც 3 და მეტი რბოლა მოუგია. 124 გამარჯვებით ამ სიას სათავეში ლეგენდარული „ფერარი" უდგას. ორი მოგებით ნაკლები აქვს „მაკლარენს", ხოლო „უილიამსის" აქტივში 103 დიდი პრიზია.

# სენა პოულის მეფეც იყო

რბოლისწინა კვალიფიკაციის მოგება, ანუ პირველ სასტარტო პოზიციაზე დგომა, სხვა სიკეთესთან ერთად, პილოტს ჩინებულ განწყობას უქმნის. იმას რა სჯობს, როცა შენს წინ არავინაა და გასწრებაზე სხვამ უნდა იმტვრიოს თავი. ამდენად, პოულის მოგებას, ცხადია, გადამწყვეტი არა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა კი ენიჭება.

შარშანდელ ჩემპიონატში ჰაკინენი 9-ჯერ იყო კვალიფიკაციაში უძლიერესი, მერე კი ხუთჯერ რბოლაშიც იმარჯვა. მიკა წლეულს უკეთ ირჯება და უკვე 11-ჯერ აჩვენა საუკეთესო დრო. „მონცას" მერე ფინელ მრბოლს 21 პოული დაუგროვდა და მიხაელ შუმახერს დაეწია. სულ 9 პილოტია, ვინც 20-ზე მეტი კვალიფიკაცია მოიგო, რეკორდი კი — ფანტასტიკური, „ჯადოქარ" აირტონ სენას ეკუთვნის. ლეგენდარულმა ბრაზილიელმა 65-ჯერ (!) აიღო სტარტი პირველი პოზიციიდან.

ირაკლი ნიჟოლაძე



აირტონ სენა

**პოული სულ**

| | პოული | რბოლა | მოგება |
|---|---|---|---|
| 1. აირტონ სენა (ბრაზილია) | 65 | 161 | 41 |
| 2. ჯიმ კლარკი (ბრიტანეთი) | 33 | 72 | 25 |
| 3. ალენ პროსტი (საფრანგეთი) | 33 | 199 | 51 |
| 4. ნაიჯელ მენსელი (ბრიტანეთი) | 32 | 187 | 31 |
| 5. ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა) | 28 | 51 | 24 |
| 6. ნიკი ლაუდა (ავსტრია) | 24 | 171 | 25 |
| 7. ნელსონ პიკე (ბრაზილია) | 24 | 204 | 23 |
| 8. მიკა ჰაკინენი (ფინეთი) | 21 | 125 | 13 |
| 9. მიხაელ შუმახერი (გერმანია) | 21 | 126 | 35 |
| 10. დეიმონ ჰილი (ბრიტანეთი) | 20 | 112 | 22 |

**პოული სეზონში**

| | პოული | წელი |
|---|---|---|
| 1. მენსელი (უილიამსი) | 14 | 1992 |
| 2. სენა (მაკლარენი) | 13 | 1988 |
| სენა (მაკლარენი) | 13 | 1989 |
| პროსტი (უილიამსი) | 13 | 1993 |
| 5. ჰაკინენი (მაკლარენი) | 11 | 1999 |
| 6. სენა (მაკლარენი) | 10 | 1990 |
| ჟაკ ვილნევი (უილიამსი) | 10 | 1997 |

ჭადრაკი

**კასპაროვი — მსოფლიო**



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კ:d4 e:d4 42 მფg2 b2 43 მფf3





# ბუტია მერაფერს გამორჩა

რომ არა ერთი საოცარი ფაქტი, მცველ აკი ბერგის სახელი [illegible] მიიპყრობდა ყურადღებას. შარაშნ 22 წლის ფინელმა, [illegible] არასრული სეზონის მანძილზე დიდად არ გამოუჩენია თავი (64 თამაში, 23 (2+21) ქულა), საკონტრაქტო პრობლემების გამო [illegible] მთელი წინა სეზონი ჯიუტმა მცველმა ევროპაში გაატარა და 16-თვიანი გაფიცვის შემდეგ ახლახანლა დათანხმდა ლოს ანჯელესის პირობებს. მან კლუბთან კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ (ზუსტი დეტალები უცნობია) ხანგრძლივმა ყოყმანმა ჯიუტ სკანდინაველს ბევრი არაფერი მოუტანა — მისი გასამრჯელო 600 ათასი დოლარია. მცველს ისღა დარჩენია, გაორმაგებული ენერგიით ითამაშოს, თავი გამოიჩინოს და „მეფეთა" ხელმძღვანელობას ბევრი რამ დაუმტკიცოს. სხვა თუ არაფერი, ბერგი ხომ 1995 წლის დრაფტზე მესამე ნომრად აირჩიეს, რაც ფინეთის ჰოკეის ისტორიაში უმაღლესი მიღწევაა (ეს მიღწევა შარშანწინ უკვე ლოს ანჯელესელმა ოლი იოკინესმა გაიმეორა).

# ამაგდარი ზანგი ალს მიეფიცხა

სახელოვანი მეკარე გრანტ ფიური, როგორც ჩანს, კარიერას კალგარიში დაასრულებს. ახლახან „ალებმა", რომელთაც გამოცდილი გოლკიპერი ჰაერივით სჭირდებოდათ, სენტ ლუისიდან ფიური სულ რაღაც მომავალი დრაფტის არჩევის ფასად მიიღეს.



გრანტ ფიური

36 წლის შავკანიანმა მეკარემ, რომელიც 80-იან წლებში დიდი ედმონტონის ღირსებას იცავდა, მანამდე განაცხადა, რომ ეს სეზონი მის კარიერაში უკანასკნელი იქნება. ტრავმების გამო ფიურმა წინა ჩემპიონატში სულ 39 მატჩი ჩაატარა, თუმც ოსტატობა შეინარჩუნა და პლეი ოფის პირველ რაუნდში ფინიქსის დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა, მაგრამ დიდების დარბაზის მომავალი უეჭველი წევრი ამ ზაფხულს პრაქტიკულად უსაქმოდ დარჩა, რადგან ძირითადი მეკარის პოსტზე „ბლუზმენებმა" 29 წლის რომან ტურეკი მიიწვიეს. ცხადია, ფიური სათადარიგო ვერ იქნებოდა და მისთვის კალგარიში გადასვლა ერთობ ხელსაყრელი გამოდგა, რადგან „ალებს" ერთი გამოცდილი მეკარეც არ ჰყავდათ.

ფიური თასის ხუთგზის მფლობელია. 1988 წელს იგი ნჰლ-ის საუკეთესო მეკარედ აღიარეს, ხოლო 398 მოგებით მოქმედ გოლკიპერთა შორის მხოლოდ პატრიკ რუას ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ ფიური და მისი ედმონტონი სწორედ კალგარის უბოროტესი მტრები იყვნენ. 80-იან წლებში ეს კლუბები პლეი ოფში ხუთჯერ შეეჯახნენ ერთმანეთს და ხუთჯერვე მარცხი „ალებმა" იწვნიეს.

# ბებერი ხარისა...

## დეტროიტში, ეტყობა, ქართული ანდაზები იციან

მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელი სეზონი ჩაუვარდა, დეტროიტის ხელმძღვანელობა კვლავ აპირებს დაცვაში ვეტერანთა გამწესებას. „წითელფრთიანებს" რომელთა უკანა ხაზის საშუალო ასაკი 30 წელია, კიდევ ერთი ვეტერანი დაემატა დაცვაში — სტივ დიუშენი. მან კლუბთან ერთწლიანი და მილიონდოლარიანი ხელშეკრულება გააფორმა. ისე, ბოლო სეზონი დიუშენმა ძალიან უხეიროდ ჩაატარა. მისმა ყოფილმა კლუბმა ლოს ანჯელესმა სწორედ ამიტომ გამოისყიდა მცველის კონტრაქტი (სამი წლის განმავლობაში მას 11,25 მილიონი დოლარი ეკუთვნოდა) და გასაყიდად წარადგინა. მყიდველიც მალე გამოჩნდა — ფილადელფია, მაგრამ, სამწუხაროდ, დიუშენს არც აქ გაუმართლა. თავად განსაჯეთ, რა არის ახლო წარსულში ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი მცველისთვის 71 თამაშში 30 (6+24) ქულა. საბოლოოდ „მფრინავებმაც" გაათავისუფლეს დიუშენი. ასეთი ძვირადღირებული ჰოკეისტი ამიტომაც დასჯერდა ესოდენ მცირე გასამრჯელოს. 34 წლის დიუშენი ლარი მერფისთან (38), კრის ჩელიოსსა (37) და უვე კრუპთან (34) ერთად დეტროიტის მეოთხე ხნიერი მცველია. თუმც ნჰლ-ში პასპორტში იშვიათად იყურებიან და ზოგ ვეტერანს სკოტი ბოუმენის ხელში მეორე ახალგაზრდობა დაუდგა (მაგალითად, მერფის). თუმც იქნებ ასაკოვან მცველთა რაოდენობა დეტროიტში შემცირდეს — უვე კრუპი გასულ სეზონში ძალიან ავადმყოფობდა, გუნდს ვერაფერში დაეხმარა (4 მილიონი კი ჩაიჯიბა) და არც ამჟამად გამომჯობინებულა. მას შემდეგ კი, რაც კრუპმა კლუბს თავისი სამედიცინო გამოკვლევის შედეგები აღარ ჩააბარა, „წითელფრთიანებმა" 3-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ასე რომ, კრუპის მომავალი ბუნდოვანია.

# ვის ვინ სჭირდება

ახლახან კიდევ სამმა მოთამაშემ გამოიცვალა კლუბი. უპირველესად უნდა აღინიშნოს ოტავას შენაძენი. „სენატორებმა" ცნობილი ფორვარდი კევინ დაინინი იყიდეს, რომელიც შარშან კაროლინაში ასპარეზობდა. მისი მიწვევა ერთობ დროულია კლუბისთვის, რომელიც ვერაფრით უთანხმდება თავის რამდენიმე წამყვან ჰოკეისტს, მათ შორის, რადეკ ბონკს და მაგნუს არვედსონს (ალექსეი იაშინის გაფიცვაზე უკვე გაუწყეთ). მებრძოლი სულისკვეთებით გამორჩეული დაინინი, რომლისთვისაც ეს სეზონი მე-16ეა, ძალიან გამოადგება გუნდს. კევინმა, ვინაც ჯერ ფილადელფიის (1992-93), მერე კი ჰართფორდის (1996-98) კაპიტანი იყო, ოტავასთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პიტსბურგმა თავისი ყურადღების ღირსად ტომ ჩორსკი ცნო. 33 წლის ჰოკეისტმა, რომელიც ძირითადად უმცირესობაში კარგი თამაშითაა ცნობილი, 10 სეზონის განმავლობაში 7 კლუბი გამოიცვალა, შარშან კი ერთბაშად სამშიაილენდერსში, ვაშინგტონსა და კალგარიში იასპარეზა. ისიც არასრულფასოვნად — ტრავმის გამო სულ 26 მატჩი ჩაატარა.

თავის ყოფილ კლუბს დაუბრუნდა ცნობილი მეკარე ბობ ესენცა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინდელ ვინიპეგში ძირითადი გოლკიპერის მოვალეობას ასრულებდა, ახლა კი, ფინიქსში, ნიკოლაი ხაბიბულინის დუბლიორობა მოუწევს. შარშან ბობი ედმონტონის ღირსებას იცავდა და კლუბში ტომი სალოს მისვლამდე ძირითად მეკარედ ითვლებოდა.

სამველ ლარიბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზედმეტი არავინაა

ჩემპიონთა ლიგა. I ტური

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## A ჯგუფი

### დინამო 0:1 მარიბორი

0:1 სიმუნჟა (74)

დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო (კონოვალოვი 70), გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კალაძე, კორმილცევი (ფიოდოროვი 60), გუსინი, კოსოვსკი, შატსკიხი (ვენგლინსკი 66), რებროვი

მარიბორი: სიმეუნოვიჩი, სესლარი, ზიდანი, კარიჩი, სიმუნჟა (ფილიპოვიჩი 79), კიპი, ბალაიჩი (ვუგდალიჩი 64), დიურანოვიჩი, გალიჩი, ბოზგო (პრეგელი 89), სარკეზი

მსაჯი: ლ. ირვინი (ჩრ. ირლანდია)

### ლევერკუზენი 1:1 ლაციო

1:0 ნოივილი (14), 1:1 მიხაილოვიჩი (18)

ლევერკუზენი: მატიშეკი, კოვაკი, ნოვოტნი, გრესკო (ბაინლიხი 67), შნაიდერი, რამელო, ემერსონი, ზე რობერტო, პეიდუკი, რაიხენბერგერი (პონტე 83), ნოივილი (ბრდარიჩი 74)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, სტანკოვიჩი, ალმეიდა, ლომბარდო, მანჩინი (ნედვედი 76), ვერონი (სიმეონე 51), ბოკშიჩი (სალასი 81)

მსაჯი: გ. პოლი (ინგლისი)

## B ჯგუფი

### აიკ 1:2 ბარსელონა

1:0 ნოვაკოვიჩი (73), 1:1 აბელარდო (86), 1:2 დანი (90)

აიკ: ასპერი, კიოლო, ლიუნგი, ბრუნდინი, კამარკი (კორნელიუსონი 85), ლაგერლოფი, ნორდინი, ო. ანდერსონი, ტიერნსტრომი (ბერგი 74), ნოვაკოვიჩი (მატი), ა. ანდერსონი

ბარსელონა: ჰესპი, რ. დე ბური, ფ. დე ბური, ბოგარდი (აბელარდო 27), სერხი, ხავი, კოკუ, ფიგუ, კლუივერტი (დანი 74), ლიტმანენი, რივალდო

მსაჯი: ა. სარსი (საფრანგეთი)

### ფიორენტინა 0:0 არსენალი

ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პადალინო, პიერინი (ადანი 83), ჰაინრიხი, დი ლივიო, რუი კოშტა, კოისი, მიატოვიჩი, ბატისტუტა, კიეზა

არსენალი: მანინგერი, ადამსი, კიოუნი, ლუენი, უინტერბერნი, გრიმანდი, ვიეირა, ლიუნგბერგი, ბერხკამპი (ანრი 81), ოვერმარსი, შუკერი (კანუ 61)

მსაჯი: პ. კრუგი (გერმანია)

## C ჯგუფი

### ბოავიშტა 0:3 რუსენბორგი

0:1 სიორენსენი (8), 0:2 ბერგი (43), 0:3 სტრანდი (73)

ბოავიშტა: ბასეი, პაულუ სოუზა, ემანუელი, მაგალიაეიში, მარიო სილვა, ბენტო, ლუის მანუელი, ტიმოფტე (ფორმოსო 6), ჟორჟე კოუტუ, ჟილმარ ესტევანი (სილვა 54), აინფული

რუსენბორგი: იამტფალი, იონსენი, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, სტანდი (ვინსენსი 89), სკამელსრუდი, ბერგი, იაკობსენი, სიორენსენი (დალუმი 81), კარეუ

მსაჯი: გ. ჩეზარი (იტალია)

### ფეიენოორდი 1:1 დორტმუნდი

1:0 ვან ვონდერენი (66), 1:1 ბობიჩი (71)

ფეიენოორდი: დუდეკი, ბოსველტი, ვან ვონდერენი, კონტერმანი, რჟასა (დე ვისერი 46), ვან გასტელი, ტომასონი, პააუვე, კალუ, ხულიო კრუსი, ვან ფოსენი (სამარჯიჩი 81)

დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, ევანილსონი, ნიიჰუსი (ბარბარესი 76), რიკენი, სტევიჩი (ფაიერზინგერი 65), ნერლინგერი, დედე, მიულერი, რეინა, ბობიჩი (ჰერლიხი 90)

მსაჯი: ხ. მ. გარსია არანდა (ესპანეთი)

## D ჯგუფი

### მარსელი 2:0 შტურმი

1:0 პირესი (9), 2:0 რავანელი (33)

მარსელი: პორატო, პერესი, გალასი, ბერიზო, ბლონდო, ბრანდო, დალმა (ბელმადი 77), ლუქსენი, პირესი, რავანელი (კეიტა 89), მორისი (დიავარა 83)

შტურმი: შიკლგრუბერი, ნოიკირხნერი (კუცუპისი 83), ფოდა, პრილასნიგი, ფელდჰოფერი, შუპი, მაეჰლიჩი, მარტენსი (კორხოსი 46), ვასტიჩი, რაინმაიერი (პანტელიჩი 46), კოჩიანი

მსაჯი: ო. სარვანი (თურქეთი)

### მანჩესტერი 0:0 კროაცია

მანჩესტერი: ვან დერ გოუ, კლეგი (ფორტუნი 83), სტამი, ბერგი, ფ. ნევილი, ბექემი, უილსონი (შერინგემი 60), სქოულზი, გიგზი, კოული, იორკი

კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, იურიჩი, ტომასი, სარიჩი, იურჩიჩი, მუიჩინი (მუმლეკი 70), ბისკანი, ცვიტანოვიჩი, სიმიჩი (მიკიჩი 68), რუკავინა

მსაჯი: ნ. ლევნიკოვი (რუსეთი)




REUTERS

მარსელი — შტურმი 2:0.
ავსტრიელი გიუნტერ ნოიკირხნერი (№3) ფრანგი ფლორიან მორისის მაკრატელს შეჰყურებს

ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის პირველი დღის შეხვედრებში მომხდარს ერთი მხრივ შეგვიძლია საბედისწერო მნიშვნელობისა ვუწოდოთ, მეორე მხრივ კი ვთქვათ, რომ ჯერ მხოლოდ დასაწყისია და მთავარი მოვლენები წინაა. ვგონებთ, ორივე პოზიცია მართალი იქნება. პირველი იმიტომ, რომ წუხელ დაკარგულმა ქულებმა A, B, C და D ჯგუფების გუნდებისთვის გვიან შემოდგომაზე შესაძლოა საბედისწერო როლი ითამაშონ, მეორე კი იმიტომ, რომ თავისთავად ჭეშმარიტებაა, — ჯერ მხოლოდ დასაწყისია.

A ჯგუფში ყველაზე მოულოდნელი კიევში გამართული მატჩის შედეგი გახლდათ. „დინამომ“ „მარიბორთან“ 0:1 წააგო. ამ შედეგის მოულოდნელობას კი „მარიბორის“ უსახელობა და დინამოელთა გასული სეზონის ხმაურიანი შედეგები განაპირობებს.

გოლი ანტე სიმუნჟამ შეხვედრის დამთავრებამდე 16 წუთით ადრე მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკისთან პირისპირ შესულმა გაიტანა. კიეველთაგან თამაშში მეორე ტაიმში ჩართულმა ოლეგ ვენგლინსკიმ ვერ გამოიყენა გათანაბრების ჩინებული შესაძლებლობა. „მარიბორის“ მეკარემ მარკო სიმეუნოვიჩმა ბოლოს წინა წუთზე სერგეი რებროვის თავურიც მოიგერია.

თასების თასის მფლობელმა „ლაციომ“ ლევერკუზენში 1:1 ითამაშა. ამ შეხვედრის ორივე გოლი პირველ ტაიმში, მეტიც, პირველ ოც წუთში გავიდა. მე-14 წუთზე ბერნდ შნაიდერის ჩაწოდებით გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა ოლივერ ნოივილმა გახსნა ანგარიში, მაგრამ ოთხი წუთის შემდეგ შორეული და ძლიერი დარტყმების დიდოსტატმა სინიშა მიხაილოვიჩმა დაახლოებით 20 მეტრიდან გაქვითა. მე-60 წუთზე ნოივილმა ახლოდან ძელს გაარტყა ბურთი.

B ჯგუფში სტოკჰოლმის აიკმა და „ბარსელონამ“ ბოლო 17 წუთამდე აგროვეს მუხტი, მერე კი სამი გოლი გაიტანეს. ჯერ მასპინძლებმა შეძლეს დაწინაურება — სტუმართა მარწუხებიდან დაღწეულმა იუგოსლაველმა თავდამსხმელმა ნებოისა ნოვაკოვიჩმა რუუდ ჰესპის მიღმა კარში შეაგდო ბურთი, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე აბელარდომ თავური შეაგდო, ხოლო მსაჯის დამატებულ დროში ლუიშ ფიგუს საჯარიმო დარტყმა დანის გამარჯვების გოლით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ აბელარდოს გოლის დროს აიკი ფეხბურთელს ცვლიდა და შესაბამისად მისმა მწვრთნელმა სტიუარტ ბაქსტერმა მსაჯს გაუქმება მოსთხოვა, მაგრამ უშედეგოდ.

ამავე ჯგუფში „ფიორენტინასა“ და „არსენალის“ ფრთხილი და ევროპულ სტანდარტებთან შედარებით დუნე თამაში 0:0 დასრულდა. მასპინძელთა მეკარემ ფრანჩესკო ტოლდომ ნვანკვო კანუს პენალტი აუღო.

C ჯგუფის შედეგთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი „რუსენბორგის“ მიერ სტუმრად პორტუგალიური „ბოავიშტას“ 3:0 ძლევა გახლავთ, „ფეიენოორდმა“ კი „დორტმუნდთან“ 1:1 ითამაშა. კეეს ვან ვონდერენის გოლს ფრედი ბობიჩმა ხუთ წუთში უპასუხა. შეხვედრას მხოლოდ „ფეიენოორდის“ გულშემატკივრები ესწრებოდნენ, რადგან ჰოლანდიურ-გერმანული ურთიერთობებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი ჩხუბებით დაშინებულმა ორგანიზატორებმა დორტმუნდელებს ბილეთების დაკვეთა გააუქმებინეს. მოსალოდნელია, რომ არც როტერდამელი ქომაგები ჩავლენ დორტმუნდში.

D ჯგუფის ყველაზე წარმატებული გუნდი კი ავსტრიული „შტურმის“ მძლეველი „მარსელი“ გამოდგა. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში ბოლოს, მარსელელებს 1993 წლის ფინალში ჰქონდათ ნათამაშევი. მაშინ, მოგეხსენებათ, მათ ჯილდო მოიპოვეს და წუხელ გაგრძელებაც ღირსეული შეძლეს.

„შტურმთან“ „მარსელმა“ ბოლო ექვს მატჩში პირველი გამარჯვება იზეიმა და, ეტყობა, გუნდის მწვრთნელი, როლან კურბისიც თუნდაც ცოტა ხნით აღარ მოისმენს კრიტიკას.

რაც შეეხება თასის მფლობელს, „მანჩესტერ იუნაიტედს“, მან შესუსტებული შემადგენლობით 0:0 ითამაშა მარად თავგანწირულ „კროაციასთან“. მოგეხსენებათ, „კროაციას“ სათავეში ცნობილი არგენტინელი ოსვალდო არდილესი უდგას, რომელმაც ამ შეხვედრაში ყრუ დაცვა აჯობინა და სასურველი შედეგიც მიიღო.

**მიხეილ სურგულაძე**




REUTERS

ლევერკუზენი — ლაციო 1:1.
კარსტენ რამელო და დეიან სტანკოვიჩი „კარატისტობენ“

## უეფას თასი. პირველი ეტაპი
პირველი წრე. 14 სექტემბერი

UEFA CUP

**პარტიზანი (იუგოსლავია) 1:3 ლიდსი (ინგლისი)**
1:0 ტომიჩი (20), 1:1 ბოიერი (26), 1:2 რადებე (39), 1:3 ბოიერი (82)

**ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:1 მონპელიე (საფრანგეთი)**
0:1 ლოკო (6)

**ვოლფსბურგი (გერმანია) 2:0 დებრეცენი (უნგრეთი)**
1:0 აკონორი (61), 2:0 იუსკოვიაკი (87)

**უდინეზე (იტალია) 1:0 ოლბორგი (დანია)**
1:0 სოტილი (9)

**სტაბეკი (ნორვეგია) 1:0 დეპორტივო (ესპანეთი)**
1:0 ფინსტადი (57)

**სტიაუა (რუმინეთი) 2:0 ლინცერი (ავსტრია)**
1:0 კიოჩიუ (64), 2:0 დანჩიულესკუ (82)

## ინგლისი

### ლიგის თასი. II ეტაპი.
I მატჩები

ბარნსლი — სტოკპორტი 1:1; ბირმინგემი — როვერსი 2:1; ბრედფორდი — რედინგი 1:1; კარდიფი — უიმბლდონი 1:1; ჩესტერი — ასტონ ვილა 0:1; ჩესტერფილდი — მიდლსბრო 0:0; ქრიუ — იფსვიჩი 2:1; კრისტალ პალასი — ლესტერი 3:3; ჯილინგემი — ბოლტონი 1:4; გრიმსბი — ლეიტონი 4:1; ჰადერსფილდი — ნოტსი 2:1; ჰალი — ლივერპული 1:5; ნორვიჩი — ფულემი 0:4; ოქსფორდი — ევერტონი 1:1; პორტსმუთი — ბლექბერნი 0:3; შეფილდი — პრესტონი 2:0; სტოკი — უესჰემი 0:0; სანდერლენდი — უოლსოლი 3:2; სუონსი — დერბი 0:0; ტრანმერი — ქოვენთრი 5:1; უოტფორდი — უიგანი 2:0; ვესტ ბრომვიჩი — უიკომბი 1:1; ჩარლტონი — ბორნმუთი 0:0

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიად სანიკიძე; უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტები მაია აზნაიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი; გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli